

„ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ბიზნესის ადმინისტრირების, მენეჯმენტისა და მარკეტინგის დარგობრივი
დეპარტამენტი

მირზა სუქნიშვილი

აგრობიზნესის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორები და
პრიორიტეტული საჭიროებები აჭარის ავტონომიური
რესპუბლიკის მაგალითზე

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი

დისერტაცია

სპეციალობა: - ბიზნესის ადმინისტრირება

მეცნიერ-ხელმძღვანელები::
ეკონომიკის დოქტორი, ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი,
ბადრი გეგზაია
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ს პროფესორი,,
ეთერ ხარაიშვილი

ბათუმი-2021

როგორც წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

მირზა სუქნიშვილი

ხელმოწერა,

: თარიღი:

სარჩევი

შესავალი.....	7
თავი 1. აგრობიზნესის განვითარების მოდელები და თეორიულ-მეთოდოლოგიური მიდგომები	
1.1 აგრობიზნესის განვითარების მოდელების თეორიულ-მეთოდოლოგიური მიდგომებისა და კონცეფციების ანალიზი.....	12
1.2 მდგრადი სასურსათო უზრუნველყოფის პრობლემები და აგრობიზნესის განვითარების საჭიროებები.....	22
თავი 2. აგრობიზნესის განვითარების ტენდენციები და თანამედროვე გამოწვევები	
2.1 აგრობიზნესის განვითარების კანონზომიერებები და ტენდენციები	55
2.2 აგრობიზნესის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორების შეფასება „გადაუდებლობა-ზეგავლენის ხარისხის“ მატრიცით	71
2.3 სასურსათო უსაფრთხოება და აგრობიზნესის განვითარების პოტენციური მოდელები.....	91
თავი 3. აგრობიზნესის განვითარების პრიორიტეტული საჭიროებები და პერსპექტიული მიმართულებები	
3.1 აგრობიზნესის განვითარების SWOT და PESTEL ანალიზი	103
3.2 აგრობიზნესის განვითარების შესახებ რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევების შედეგების ანალიზი.....	108
დასკვნები და რეკომენდაციები	125
გამოყენებული ლიტერატურა	139
დანართი.....	158

დიაგრამები

დიაგრამა N	დასახელება	გვერდი
დიაგრამა 1.1.1	აგრობიზნესის მოდელი როგორც საერთაშორისო და ეროვნული სისტემის ნაწილი	17
დიაგრამა 1.1.2	აგრობიზნესის მოდელი სასოფლო განვითარების მექანიზმებით	18
დიაგრამა 1.1.3	ენდოგენურ და ეგზოგენურ ფაქტორებზე დაფუძნებული აგრობიზნესის მოდელი	19
დიაგრამა 1.1.4	სოფლის მეურნეობის ღირებულების ჯაჭვი	20
დიაგრამა 1.1.5	აგრობიზნესის მოდელი ურბანიზაციის, მომხმარებელთა პრეფერენციებისა და მსყიდველობითი უნარიანობის გათვალისწინებით	22
დიაგრამა 1.2.1.	ერთწლიანი კულტურების საშუალო მოსავლიანობა, ტ/ჰა	31
დიაგრამა 1.2.2.	რძის წარმოების მაჩვენებელი ერთ სულზე (საშუალო წველადობა, ლიტრი წელიწადში)	32
დიაგრამა 1.2.3.	ძირითადი აგროსასურსათო პროდუქტების თვითურუნველყოფის კოეფიციენტები საქართველოში	32
დიაგრამა 1.2.4.	სოფლის მეურნეობის რეალური მაჩვენებელი, მშპ (მლნ ლარი; %)	37
დიაგრამა 1.2.5	ექსპორტის ღირებულების განაწილება ქვეყნების მიხედვით, 2020 წელს	41
დიაგრამა 1.2.6	ექსპორტის ღირებულების ცვლილება 2019-2020 წლებში ძირითადი ქვეყნების მიხედვით, მლნ აშშ დოლარი	42
დიაგრამა 1.2.7	ქართული აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტის დინამიკა ქვეყნების მიხედვით 2019-2020 წლებში, მლნ აშშ დოლარი	42
დიაგრამა 1.2.8	ექსპორტის ღირებულება ძირითადი პროდუქტების მიხედვით, 2020 წელს	43
დიაგრამა 1.2.9.	ქართული აგროსასურსათო ძირითადი პროდუქტების ექსპორტი, მლნ აშშ დოლარი	44
დიაგრამა 1.2.10.	აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტ-იმპორტის ბალანსი 2019-2020 წლებში, მლნ აშშ დოლარი	45
დიაგრამა 1.2.11.	სამომხმარებლო ფასების ინდექსი 2010 წლის საშუალოსთან შედარებით	46
დიაგრამა 1.2.12	ყოველთვიური ინფლაციის დონე, %	47
დიაგრამა 2.1.1	აგრობიზნესის პროდუქციის გამოშვების დინამიკა (მლნ ლარი)	58
დიაგრამა 2.1.2.	ეკონომიკის მთლიანი გამოშვების სტრუქტურა 2020 წელი, %	59

დიაგრამა 2.1.3	შუალედური მოხმარების სტრუქტურა 2020 წელი, %	61
დიაგრამა 2.1.4	მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, %	61
დიაგრამა 2.1.5	მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა რეგიონების მიხედვით 2019 წელს, მლრდ ლარი	62
დიაგრამა 2.1.6	მთლიანი შიდა პროდუქტის რეგიონული სტრუქტურა 2029 წელს, %	62
დიაგრამა 2.2.1.	სესხების რაოდენობის განაწილება რეგიონების მიხედვით	81
დიაგრამა 3.1.1	საქართველოს რეიტინგი მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით, 2012-2020 წწ	105
დიაგრამა 3.2.1	ფერმერთა რაოდენობა და სექსი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების მიხედვით	107
დიაგრამა 3.2.2	გამოკითხულ ფერმერთა ასაკობრივი ჭრილი	108
დიაგრამა 3.2.3	აგროსასურსათო პროდუქტების წარმოება ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრებისთვის	109
დიაგრამა 3.2.4	გაწევრიანებული ფერმერების წილი გამოკითხულთა საერთო რაოდენობაში	110
დიაგრამა 3.2.5	მიწის ფართობების განაწილება აჭარის ა/რ-ში	110
დიაგრამა 3.2.6	მიწის ფართობების განაწილება აჭარის ა/რ მუნიციპალიტეტების მიხედვით, ჰა.	111
დიაგრამა 3.2.7	წარმოების სფეროში გამოვლენილი პრობლემები	112
დიაგრამა 3.2.8	ფერმერთა რაოდენობა აგრობიზნესის სფეროში მოქმედი პროგრამებისა და დაფინანსების წყაროების ცოდნის შესახებ	113
დიაგრამა 3.2.9	ფერმერთა წილი აგრობიზნესის სფეროში მოქმედი პროგრამებისა და დაფინანსების წყაროების ცოდნის შესახებ	114
დიაგრამა 3.2.10	ფერმერთა რაოდენობა, რომელთაც დახმარება მიიღეს სახელმწიფოსაგან	115
დიაგრამა 3.2.11	ფერმერთა წილი, რომელთაც დახმარება მიიღეს სახელმწიფოსაგან	115
დიაგრამა 3.2.12	სარგებლობთ თუა რა აგროდაზღვევით?	117
დიაგრამა 3.2.13	ფერმერები, რომლებიც აგროდაზღვევით სარგებლობენ	117
დიაგრამა 3.2.14	ხართ თუ არა დაინტერესებული თქვენი პროდუქციის ექსპორტით?	118
დიაგრამა 3.2.15	აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტით დაინტერესებულ მწარმოებელთა წილი, %	119
დიაგრამა 3.2.16	რა ფაქტორები გიშლით ხელს ექსპორტის განხორციელებაში?	120
დიაგრამა 3.2.17	ექსპორტის ხელშემშლელი ფაქტორები აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, %	121

დიაგრამა 3.2.18	თქვენი აზრით აგრობიზნესის განვითარებისათვის რა პრიორიტეტული საქმიანობების განხორციელებაა საჭირო?	122
დიაგრამა 3.2.19	კორონავირუსის გავრცელებით რა დამატებითი პრობლემები შეგექმნათ?	123

ცხრილები

ცხრილი N	დასახელება	გვერდი
ცხრილი 1.2.1	ერთწლიანი კულტურების წარმოების მაჩვენებლების დინამიკა 2014-2020 წლებში, ათასი ტონა	29
ცხრილი 1.2.2	მრავალწლოვანი კულტურების წარმოება, ათასი ტონა	30
ცხრილი 1.2.3	ხორცის წარმოება, ათასი ტონა	31
ცხრილი 1.2.4	საქართველოში ძირითადი სასურსათო პროდუქტებით თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლები 2020 წელს	40
ცხრილი 1.2.5	სამომხმარებლო ფასების ინდექსი საქართველოში	46
ცხრილი 1.2.6	სამომხმარებლო კალათის წონა, %	48-49
ცხრილი 2.2.1	საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მიწის განაწილება ზომის მიხედვით	73
ცხრილი 2.2.2	სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი რეგიონების მიხედვით, ჰა	73
ცხრილი 2.2.3	მიწის საშუალო ფართობი ევროპის ქვეყნებში ერთ მეურნეობაზე, ჰა	75
ცხრილი 2.2.4	ერთწლიანი კულტურების ნათესი ფართობი რეგიონების მიხედვით	76

სქემა

სქემა N	დასახელება	გვერდი
სქემა 2.2.1	„გადაუდებლობა-ზეგავლენის ხარისხის“ მატრიცა	70
სქემა 2.2.2	აგრობიზნესის განვითარების პრიორიტეტული საჭიროებები	85
სქემა 2.3.1	საქართველოში აგრობიზნესის მოდელის ძირითადი სტრუქტურა	99

შესავალი

თემის აქტუალობა. საქართველოს დიდი და მდიდარი ტრადიციების მქონე სოფლის მეურნეობა აქვს. იგი უხსოვარი დროიდან ვითარდებოდა და მრავალმხრივი, უნიკალური თავისებურებებითა და ნიშან-თვისებებით ხასიათდება, რაც შესაბამისად განპირობებულია მრავალფეროვანი, ქვეყნის რეგიონების მიხედვით მკვეთრად განსხვავებული ნიადაგურ-კლიმატური და ეკონომიკური პირობებით. საქართველოს ტერიტორიის ფიზიკურ-გეოგრაფიული თავისებურებები მის ცალკეულ რეგიონებს სპეციფიკურ ხასიათს აძლევს და ქმნის ტიპიურ, ერთიმეორისგან განსხვავებულ ფიზიკურ-გეოგრაფიულ რაიონებსა და მიკრორაიონებს. ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობების სირთულე და მრავალფეროვნება განაპირობებს მისი ცალკეული ზონების დიდ განსხვავებას ჰიდროლოგიური თვალსაზრისით.

როგორც ცნობილია, მოსახლეობის სასურსათო უზრუნველყოფა გლობალურ პრობლემათა რიცხვს მიეკუთვნება და მისი გადაწყვეტა ნებისმიერი ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის განვითარების საფუძველს წარმოადგენს. საქართველოს ეკონომიკაში სოფლის მეურნეობას წამყვანი ადგილი უჭირავს. მრავალსაუკუნოვანმა ისტორიულმა ფაქტორებმა და წლების მანძილზე მბრძანებლურმა მმართველობამ საკმაოდ ძლიერი უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა ქართულ სოფელსა და სოფლის მეურნეობაზე. 2012 წლის შემდგომ სოფლის მეურნეობაში განხორციელებულმა ცვლილებებმა და მიზნობრივმა პროგრამებმა (როგორებიცაა „დანერგე მომავალი“, „აწარმოე საქართველოში“, „იაფი აგროკრედიტი“ და სხვ.) გამოკვეთა საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების და ქართული სოფლის გადარჩენის კონტურები. მიმდინარე ეტაპზე საქართველოს ეკონომიკა კრიზისშია, რაზეც დიდი გავლენა მოახდინა გლობალურმა ეპიდემიურმა სიტუაციამ, საქართველოს ეკონომიკაში არსებული მძიმე კრიზისული მდგომარეობა განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობა სურსათის წარმოებაში. ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის 17% პირდაპირ დამოკიდებულია სოფლის მეურნეობის სექტორზე. სურსათისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტი სამჯერ და მეტად ჭარბობს ექსპორტს. მსოფლიოს ცივილიზებული საზოგადოების მასშტაბური ძალისხმევის მიუხედავად, სურსათით მოსახლეობის უზრუნველყოფა ერთ-ერთ გლობალურ გამოწვევად და პრობლემად

რჩება. გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მონაცემებით მსოფლიოში შიმშილობს ერთი მილიარდი ადამიანი. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD), გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) სპეციალისტების მონაცემების საფუძველზე განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში 2030 წლისათვის 2015 წელთან შედარებით სასურსათო პროდუქციაზე მოთხოვნა 60%-ით გაიზრდება, ხოლო 2050 წლისათვის გაორმაგდება. ამ პერიოდისთვის მსოფლიოში არსებულთან შედარებით საჭირო იქნება 70%-ზე მეტი სურსათის წარმოება. საქართველოში სოფლის მეურნეობაში შექმნილი კრიზისიდან თავის დაღწევის მიზნით, საჭიროა შემუშავდეს სოფლის მეურნეობის მართვისა და წარმოების ეფექტიანი მექანიზმები. ასევე საჭიროა დამუშავდეს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიული მარკეტინგული მოდელი, რომლის მიხედვითაც, საბაზო მოტივაციების შესაბამისად განისაზღვრება სოფლის მეურნეობის რეგიონული პრიორიტეტები დარგობრივ ჭრილში, შეფასდება და დადგინდება ის ოპტიმალური ეკონომიკური პარამეტრები, რაც ეკონომიკური და სასურსათო უსაფრთხოების თვალსაზრისით რეალურად მისაღწევ მიჯნებსა და დასაბუთებულ ზღვრებს წარმოადგენს ამა თუ იმ დარგისათვის, როგორც ადგილობრივი საბაზრო სეგმენტების გაჯერების, ისე მყარი საექსპორტო პოზიციების დაკავების მიზნით.

საქართველოში დღეს შენარჩუნებულია აგრობიზნესის განვითარების დაბალი ტემპი, რაც განვითარების არასაკმარისი ტემპი უამრავ ობიექტურ და სუბიექტურ სიძნელეებს ქმნის როგორც სურსათის წარმოების, ისე მთელ რიგ მომიჯნავე დარგებში.

კვლევის მიზანი და ამოცანები.

კვლევის მიზანი. კვლევის მიზანია აგრობიზნესის სფეროში მოქმედი მოდელის საერთაშორისო გამოცდილების შესწავლის, საქართველოში, ასევე აჭარის რეგიონში, აგრობიზნესის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორების იდენტიფიცირების საფუძველზე, პრობლემების გადაჭრის გზებსა და განვითარების პრიორიტეტულ მოდელზე რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის ამოცანებია:

- მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში აგრობიზნესის განვითარების მნიშვნელობის შესახებ ბიბლიოგრაფიული კვლევა;
- მსოფლიო გამოცდილებაზე დაყრდნობით ფერმერული მეურნეობის ფუნქციონირებისა და თავისებურებების ბიბლიოგრაფიული კვლევა;
- აგრობიზნესის განვითარების ალტერნატიული მოდელების ანალიზი მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინებით;
- კოოპერატივების მნიშვნელობის გაანალიზება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანასა და საქართველოში;
- აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ფერმერულ მეურნეობებსა და გადამამუშავებელ საწარმოებში კოოპერატივების მდგომარეობის ანალიზი;
- სასოფლო-სამეურნეო მიწების რეფორმის შედეგების ანალიზი და მიწების კონსოლიდაციის სახელმწიფო სტრატეგიის აუცილებლობის დასაბუთება;
- აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მუნიციპალიტეტების მიხედვით ფერმერულ მეურნეობათა განვითარების ტენდენციების ანალიზი;
- აგრობიზნესის განვითარების ხელშემშლელი ფაქტორების იდენტიფიკაცია „გადაუდებლობა-ზეგავლენის მატრიცით“;
- აგრობიზნესის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორების გამოკვლევა და მისი გადაჭრის გზების დასახვა;
- აგრობიზნესის განვითარების მოდელების შემუშავება;
- აგრობიზნესის განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების დასახვა;

კვლევის საგანი. კვლევის საგანს წარმოადგენს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის დარგები: მემცენარეობის, მეცხოველეობის, სასათბურე მეურნეობის არსებული მდგომარეობა. პრობლემები და მათი განვითარების პერსპექტივები.

ნაშრომის მეთოდოლოგია. კვლევის მეთოდები შეირჩა დასმული საკითხების შესაბამისად. კერძოდ, გამოყენებულია ზოგადი და კონკრეტული მეთოდები:

- მონაცემთა სიზუსტის დასადგენად გამოყენებულია შეგროვებითი და შედარებითი მეთოდები;
- სტატისტიკური მეთოდების საშუალებით გაანგარიშებულია აგრობიზნესის განვითარების მაჩვენებლები, დადგენილია აგრობიზნესის ზრდის ტენდენციები;
- ანალიტიკურ და სტატისტიკურ შეფასებებს შორის კანონზომიერებების დასადგენად გამოყენებულია შინამეურნეობების გამოკვლევის მონაცემთა ბაზა, ასევე, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის პუბლიკაციები, შესწავლილია სტატისტიკური მონაცემები;
- „ზეგავლენა-გადაუდებლობის“ მატრიცით გამოვლენილია აგრობიზნესის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორები;
- რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების დასადგენად ჩატარებულია რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევა;
- „პრიორიტეტების სქემით“ დადგენილია აგრობიზნესის განვითარების პრიორიტეტები;

პრობლემების კვლევის მდგომარეობა თანამედროვე მეცნიერებაში

კვლევა ეყრდნობა ქართველ და უცხოელ მეცნიერთა სამეცნიერო ნაშრომებს, ასევე, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და სხვა ოფიციალურ მონაცემებს, საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებს, დადგენილებებსა და სხვა დოკუმენტებს. ნაშრომში, ასევე, გამოყენებულია ქვეყნისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში მოქმედი სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების კვლევები და ჩვენს მიერ ჩატარებული რაოდენობრივ და თვისებრივი კვლევების მასალები.

მეცნიერული სიახლეები:

- SWOT და PESTEL ანალიზით შეფასებულია აგრობიზნესის ძლიერი და სუსტი მხარეები, განვითარების შესაძლებლობები და საფრთხეები, ასევე, აგრობიზნესის განვითარების გარემო პირობები;
- შედარებითი ანალიზისა და ექსპერტული შეფასებების საფუძველზე შემუშავებულია საქართველოში აგრობიზნესის განვითარების მოდელი;
- გადაუდებლობა-ზეგავლენის მატრიცით გამოვლენილია აგრობიზნესის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორები;
- პრიორიტეტების სქემით დადგენილია აგრობიზნესის განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები;
- რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის საფუძველზე შეფასებულია აგრობიზნესის განვითარების ტენდენციები საქართველოსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, შემუშავებულია ამ სფეროს განვითარების რეკომენდაციები მოკლე და გრძელვადიანი პერიოდებისათვის.

თავი I

აგრობიზნესის განვითარების მოდელები და თეორიულ-მეთოდოლოგიური მიდგომები

1.1 აგრობიზნესის განვითარების მოდელების თეორიულ-მეთოდოლოგიური მიდგომებისა და კონცეფციების ანალიზი

გლობალიზაციის პირობებში ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ პრობლემად მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფა განიხილება, რომლის გადაჭრის ძირითადი გზა არის აგრობიზნესის განვითარება, რაც განსაკუთრებით აქტუალურია განვითარებად ქვეყნებში.

აგროსასურსათო სექტორი ყოველთვის გადამწყვეტ როლს ასრულებდა მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფასა და კეთილდღეობის გაუმჯობესებაში. გაეროს მონაცემებით 2030 წლისათვის მდგრადი განვითარების შესაბამისად საქართველოს აგროსასურსათო სექტორი ახალი გამოწვევებისა და მიზნების შემუშავების წინაშე აღმოჩნდება. განსაკუთრებით სასურსათო უსაფრთხოებისა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების პრობლემების გადაჭრის მხრივ (Хараიшвили 2016).

საქართველოს ეკონომიკა მცირე მოცულობის ბაზრების პირობებში ფუნქციონირებს. ასეთი ტიპის ქვეყნებისათვის მიზანშეწონილია ეკონომიკის განვითარება ტრადიციული ეკონომიკიდან (სოფლის მეურნეობიდან) დაიწყოს და შეიმუშაოს დარგის განვითარების ისეთი მოდელი, რომელიც ცოდნასა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებაზე იქნება დაფუძნებული.

საქართველოში აგრობიზნესის განვითარების პრიორიტეტულ საჭიროებებზე აქცენტების გაკეთება და თანამედროვე ტექნოლოგიებზე ორიენტირებული მოდელისადმი სისტემური მიდგომა უზრუნველყოფს მაღალხარისხიანი და უსაფრთხო აგროსასურსათო პროდუქტების წარმოების სტაბილურ ზრდას, სასურსათო უსაფრთხოების მიღწევას, სოფლად სიღარიბის დაძლევას, სურსათის დეფიციტის აღმოფხვრას, ადგილობრივი წარმოების ზრდით იმპორტის ჩანაცვლებას, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

საქართველოში კვლავ შენარჩუნებულია ტენდენცია, როდესაც სოფლად დასაქმებულთა დიდი რაოდენობა მცირე მოცულობის პროდუქტს ქმნის და მწარმოებლურობის დაბალი დონე უარყოფითად აისახება როგორც სასურსათო უსაფრთხოებზე, ასევე, სასურსათო პროდუქტების ექსპორტ-იმპორტის მაჩვენებლებსა და ზოგადად ბაზრების განვითარებაზე. 2020 წლის მონაცემებით მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა 49,4 მლრდ ლარს შეადგენს, მათგან გადამამუშავებელი მრეწველობის წილად მოდის 10,2%, ვაჭრობაზე - 13,9%, ტრანსპორტსა და დასაწყობებაზე - 6,3%, სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობაზე კი 7,8% (სმშპ 2019:6) აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტის მოცულობა მნიშვნელოვნად ჩამორჩება (დაახლოებით 3-ჯერ) (სსმს 2020) იმპორტის რაოდენობას. დასახელებული პრობლემების ძირითადი მიზეზია რესურსული პოტენციალის არაეფექტიანად გამოყენება. რესურსების ეფექტიანი გამოყენებისათვის, პირველ ყოვლისა, მნიშვნელოვანია აგრობიზნესის ისეთი კონცეპტუალური მოდელის შექმნა, რომლის მიხედვითაც აგრარულ წარმოებაში მთავარი მამოძრავებელი ძალა იქნება ბიზნესი და არა კონკრეტულად სოფლის მეურნეობა. ასეთი მოდელით უზრუნველყოფილი იქნება მისი ყველა რგოლის ეფექტიანი ფუნქციონირება. ერთიანი მოდელის გარეშე მოქმედი სისტემა არაეფექტიანია, მაგალითად, დღეს აგრობიზნესის სფეროში ერთ-ერთი სუსტი რგოლია მიწოდების ჯაჭვი. მიწოდების ჯაჭვის სრულყოფა არსებითად გააუმჯობესებს სურსათზე მოთხოვნის დაკმაყოფილებას, გამოიწვევს სასურსათო რეზერვებსა და საზოგადოებას შორის ახალი ურთიერთობების ფორმირებას (Renting...2010) მიწოდების ჯაჭვში არსებული პრობლემების გამო აგროსასურსათო ბაზრებზე დიდი რაოდენობით პროდუქტი არ მიეწოდება მომხმარებელს (Giovannucci...2012) მიწოდების ჯაჭვის სრულყოფა უზრუნველყოფს სურსათზე დანაკარგების შემცირებასაც. დღეს, გლობალურად, ადამიანთა მოხმარებისათვის წარმოებული სურსათის 1/3 ღირებულებათა ჯაჭვში იკარგება (ევროკავშირის...2020).

აგროსასურსათო პროდუქტებზე დღეს მოთხოვნა მაღალია როგორც საქართველოში, ასევე, მსოფლიოში, შესაბამისად თავისუფალი ბაზრის ფუნდამენტური კანონის მიხედვით საჭირო იქნება მიწოდებაც. მაგრამ ისიც ცნობილია, რომ საქართველოში აგრობიზნესის განვითარების ტემპები საკმაოდ

დაბალია. სწორედ ამით არის გამოწვეული, რომ ქვეყანაში დაბალია ეროვნული აგროსასურსათო პროდუქტებით თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლები. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია შეიქმნას თანამედროვე ტექნოლოგიურად განვითარებული აგრობიზნესის მოდელი, სადაც ყველა რგოლი ცოდნაზე დამყარების საფუძველზე ეფექტიანად იმუშავებს.

აგრობიზნესის განვითარება საქართველოსთვის მეტად მნიშვნელოვანია, რადგან დაბალია აგროსასურსათო პროდუქტებით თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლები და აქედან გამომდინარე არსებობს ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების საშიშროების პრობლემები. შესაბამისად, აუცილებელია მეცნიერული კვლევების საფუძველზე ეფექტიანი აგრობიზნესის მოდელების შემუშავება. აგრობიზნესის განვითარების მოდელების შემუშავებისათვის კი მნიშვნელოვანია იმ თეორიულ-მეთოდოლოგიური მიდგომებისა და კონცეფციების შესწავლა, რომლის საფუძველზეც უნდა აიგოს ეს მოდელები. სხვაგვარად შეუძლებელია მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ძირითად პროდუქტებზე, განსაკუთრებით ადგილობრივი წარმოების პრობლემის გადაჭრაც (Kharaihvili 2017). მოდელებზე დაფუძნებული აგრობიზნესის განვითარება, თავის მხრივ, გამოიწვევს ადგილობრივი სასურსათო ბაზრების განვითარებასაც (Enefiok... 2016). ასეთი ბაზრები მნიშვნელოვან როლს შეასრულებს მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფასა და სასოფლო დასახელებათა განვითარებაში (Daniel...2015). ამასთან, ამ ბაზრებზე მნიშვნელოვნად გაიზრდება სასურსათო პროდუქტების პირდაპირი გაყიდვების მოცულობა და სრულყოფილი გახდება მიწოდების ჯაჭვი (Ahearn..2013). მკვლევრები მიჩნევენ, რომ აგრობიზნესის მოდელები ლოკალურ ბაზრებზე ვერ ახდენენ მწარმოებლებისა და მომხმარებლების სრულყოფილ მოტივაციას, შესაბამისად აუცილებლობად მიიჩნევენ აგრობიზნესის განვითარების ისეთი მოდელების ფორმირებას, რომლებიც საერთაშორისო სასურსათო ბაზრების ფუნქციონირების თავისებურებების გათვალისწინებით იქნება შემუშავებული (Martinez...2010). გასათვალისწინებელია ისიც, რომ განვითარებად ქვეყნებში მოსახლეობის კვების სტრუქტურა დღეს მნიშვნელოვან ტრანსფორმაციას განიცდის, კერძოდ მიმდინარეობს ტრადიციული კალორიული კვების სტრუქტურიდან მაღალი დონის ტექნოლოგიებით გადამუშავებული სურსათით მოხმარებაზე გადართვა. მაშასადამე, აგრობიზნესის

მოდელში ეს მიმდინარეობაც გასათვალისწინებელია. აგრობიზნესის მოდელების ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის საჭირო იქნება შესაბამისი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება. ასეთ პოლიტიკაზე დაფუძნებული რეფორმები ხელს შეუწყობს აგრობიზნესის მდგრადი მოდელების ფუნქციონირებას და მდგრადი სასურსათო უზრუნველყოფის შენარჩუნებასაც გრძელვადიან პერიოდში (IPOEFS 2015).

მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის პრობლემის გადაჭრა დღეს ცალსახად უკავშირდება მაღალმწარმოებლური მოდელების შექმნას. სწორედ ასეთი მოდელები გამოიწვევს სასურსათო უსაფრთხოების პრობლემების მოგვარებას და სოფლის მეურნეობის დარგის შემდგომ განვითარებას (Giovannucci...2012).

გლობალიზაციის პირობებში განსაკუთრებით გასათვალისწინებელია, რომ ყველა ქვეყანას, ნებისმიერ ეკონომიკას, მასზე მორგებული ეკონომიკური მოდელი სჭირდება და გლობალური თეორიების მორგება ყველა ქვეყანასა თუ სიტუაციაზე, არასწორია (RODRIK...2015:113). თანაც, ყველა ქვეყანას თავისი წილი ვალდებულება გააჩნია თავისი წვლილი შეიტანოს მსოფლიო სასურსათო პროგრამის უზრუნველყოფის მხრივ.

აგრობიზნესის მოდელების შესახებ კვლევები განხორციელებულია სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე. მეცნიერები ძირითადად თანხმდებიან იმის შესახებ, რომ ბიზნეს მოდელში სრულად უნდა აისახოს აგრობიზნესის საქმიანობები, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს მომხმარებელთა და მწარმოებელთა სეგმენტებზე. ავტორთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ აგრობიზნესის მომხმარებელთა სეგმენტი მასობრივი ბაზარია, რადგან ამ პროდუქტების ძირითადი მომხმარებლები, უპირველესად, თვით სოფლის მოსახლეობაა და ასევე, შემსყიდველები, ითვლებიან მომხმარებლებად. მოდელების შემუშავების დროს ამ საკითხის გათვალისწინება აუცილებელია. არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ ბიზნეს მოდელში აისახოს საქმიანობის პროცესში გამოსაყენებელი რესურსები, ძირითადი საქმიანობები, დანახარჯების სტრუქტურა და სხვა (ამგ).

მდგრადი აგრობიზნესის მოდელის შემუშავება და დანერგვა დიდ როლს ასრულებს სურსათის წარმოების ზრდასა და მის დასაბუთებულ ტერიტორიულ გაადგილებაში. ზოგადად, სოფლის განვითარება განიხილება, როგორც პროცესი, რომელიც მიზნად ისახავს მოსახლეობის შესაძლებლობებისა და პოტენციალის

გაუმჯობესებას. მნიშვნელოვანია, რომ ეს პროცესი დეტალურად აისახოს აგრობიზნესის მოდელში. ამასთან, ნებისმიერი მოდელი უნდა ითვალისწინებდეს გაეროს ორგანიზაციის „ათასწლეულის განვითარების მიზნების“ სახელმძღვანელო პრინციპებს და განიხილავდეს სურსათისა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების კონცეფციას, მათ შორის სურსათის უვნებლობისა საკითხებს ჰოლისტიკური და სისტემური განზომილებით. მოდელი განსაკუთრებულად უნდა ითვალისწინებდეს აგრობიზნესის მდგრად ჯაჭვებს, რომლებიც დაკავშირებულია კონკრეტულ რეგიონში სოფლის მეურნეობის სასურსათო პროდუქტებთან. ეს მოდელი კორელაციაშია მეურნეობის (ტექნიკური მიზნები), ოჯახის (სოციალური მიზნები) და საზოგადოების (კოლექტიური ორიენტაციის) პროექტებთან. ამ განზომილების ფარგლებში განიხილება კვლევის მეთოდოლოგიაც. ბოლოს, აგრობიზნესის მოდელი უნდა შეესაბამებოდეს სოფლის განვითარების კონცეფციას. აღნიშნულის გათვალისწინებით აგრობიზნესის მოდელების ალტერნატივები შესაძლებელია სხვადასხვა გვარი იყოს. მეცნიერთა ერთი ჯგუფი მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია ნაციონალური და საერთაშორისო სტრუქტურების ჰარმონიზაცია, ასევე, არანაკლებ საჭიროა ურბანული პრობლემების გათვალისწინებაც. აგრობიზნესის მოდელს მკვლევრები განიხილავენ როგორც საერთაშორისო და ნაციონალური სისტემის ნაწილს (იხ. დიაგრამა 1.1.1) (Murcia 2011).

საერთაშორისო და ნაციონალური სისტემის კავშირი ასახავს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითად მიმართულებებს და განსაზღვრავს მთლიანობაში სოფლის კეთილდღეობის მაჩვენებლებსა და ცხოვრების დონეს.

დიაგრამა 1.1.1 აგრობიზნესის მოდელი როგორც საერთაშორისო და ეროვნული სისტემის ნაწილი



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ Héctor Horacio Murcia. „Agribusiness model approach to territorial food development“ საფუძველზე.


მეცნიერები აგრობიზნესის მოდელების შემუშავებისას ყურადღებას ამახვილებენ სასოფლო განვითარების პროექტების ელემენტებზე. მეცნიერთა ამ ჯგუფის მოსაზრებით შეუქცევადი და მდგრადი სოციალური განვითარებისათვის აუცილებელია ეროვნული და სექტორული გეგმების ორიენტაცია სოფლის განვითარებაზე, რაც აგრობიზნესის მექანიზმების გააქტიურებას გამოიწვევს და ხელს შეუწყობს ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაჭრას. სასოფლო განვითარების მექანიზმებს აგრობიზნესის მოდელში მეცნიერები შემდეგი სახით წარმოადგენენ (იხ. დიაგრამა 1.1.2).

დიაგრამაში მოცემული მექანიზმები ითვალისწინებს სოფლის განვითარებას ბიზნესის კონცეფციის გათვალისწინებით, ეროვნული და გარემოსდაცვითი სტრუქტურების ჩართულობითა და მდგრადი ფინანსური უზრუნველყოფით. მეცნიერთა დასკვნით აგრობიზნესის ასეთი მოდელი შეუქცევადი და მდგრადი სოციალური განვითარების საფუძველია.

შეუქცევადი და მდგრადი სოციალური განვითარების კონცეფცია ასახულია აგრობიზნესის ისეთ მოდელშიაც, სადაც მთავარი აქცენტები ენდოგენური და ეგზოგენური ფაქტორების გავლენებზეა გამახვილებული. მეცნიერთა ერთ ჯგუფს მიაჩნია, რომ გადაწყვეტილებების მიღების პროცესი სასოფლო-სამეურნეო

საწარმოებში უნდა ემყარებოდეს როგორც ენდოგენური, ისე ეგზოგენური ფაქტორების ანალიზს და აღნიშნულის საფუძველზე უნდა შემუშავდეს აგრობიზნესის ადმინისტრაციული მოდელები (იხ. დიაგრამა 1.1.3).

დიაგრამა 1.1.2 აგრობიზნესის მოდელი სასოფლო განვითარების მექანიზმებით



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ Héctor Horacio Murcia. „Agribusiness model approach to territorial food development“ საფუძველზე.


აგრობიზნესის მოდელები ძირითადად კერძო ბიზნესის განვითარებაზეა დამყარებული და სულ უფრო ხშირად წარმოაჩენს მას, როგორც განვითარების წამყვან აგენტს პოლიტიკაში. სწორედ კერძო სექტორი განაპირობებს ინკლუზიურ მიდგომებს მოდელების შემუშავებაში, თუმცა, გასათვალისწინებელია ინკლუზიური აგრობიზნესის შეზღუდვებიც (Mangnus...2019:64).

აგრობიზნესის მოდელების შემუშავება განსაკუთრებით აქტუალურია მცირემასშტაბიანი მეურნეობებისათვის. მოდელი საშუალებას იძლევა ოპტიმალურად შეფასდეს ბიზნესის დანახარჯები და განისაზღვროს რისკის შემცირების გზები. ასეთი მოდელის შემუშავება აჩენს შესაძლებლობას დასაბუთებულად განხორციელდეს მცირე მეწარმეების კონკურენტული

უპირატესობის მხარდაჭერის ღონისძიებები აგრობიზნესის განვითარებისთვის (Kelly 2012).

აგრობიზნესის მოდელები, რომლებიც შემუშავდება დასაბუთებულად, კვლევებზე დაყრდნობით, ხელს შეუწყობს აგრობიზნესის განხორციელების პროცესში ინსტიტუციური ინოვაციების დანერგვას. კარგად ორგანიზებული მოდელი, ასევე, მნიშვნელოვანია სამომხმარებლო დონის გასაუმჯობესებლად.

დიაგრამა 1.1.3 ენდოგენურ და ეგზოგენურ ფაქტორებზე დაფუძნებული აგრობიზნესის მოდელი




წყარო: შედგენილია ავტორის მიერ Héctor Horacio Murcia. „Agribusiness model approach to territorial food development“ საფუძველზე.

დიდია აგრობიზნესის მოდელის როლი სოფლის თემის გაძლიერებაში. მოდელი, განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს ასრულებს სოფლის საზოგადოების ბიზნესის სფეროში ჩართულობის თვალსაზრისით. ჩატარებული კვლევებით შემოთავაზებულია (განსაზღვრულია) პირველადი და მეორადი მონაცემების ანალიზის საშუალებით აგრობიზნესის მოდელის აგების მეთოდოლოგიური საკითხები. ყურადღება გამახვილებულია ისეთ საკითხებზე, რომლებიც აგრობიზნესზე დაფუძნებული საზოგადოების გაძლიერების მიზნით ასახავს ადგილობრივი პოტენციალის განვითარებას.

მეცნიერების ნაწილი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს აგრობიზნესის მოდელების კომპონენტებზე. ოპტიმალურად შერჩეული აგრობიზნესის მოდელი სოფლის მეურნეობის კომერციალიზაციის მთავარი ფაქტორია. იგი ხელს შეუწყობს სოფლის დასახლებებში ერთი ფანჯრისა და საცალო მაღაზიების გახსნას, გადამამუშავებელი მრეწველობის დაარსებას და ა.შ. მნიშვნელოვნად განვითარდება უკუკავშირები, გაფართოვდება დასაქმების შესაძლებლობები. წარმატებული აგრობიზნესის მოდელი განავითარებს კოოპერატივებსაც. მიჩნეულია, რომ აგრობიზნესის პროექტის განხორციელება შესაძლებელია როგორც საჯარო, ასევე, კერძო პირების მიერ, საჯარო და კერძო პარტნიორობის რეჟიმში. თუმცა, ნაშრომებში ხაზგასმით არის მითითებული, რომ სახელმწიფო მთავრობები, ასევე, ცდილობენ აგრობიზნესის მოდელების შემუშავებას მათი სამეურნეო უნივერსიტეტების დახმარებით, მაგალითად ასეთი მოდელი შექმნილია რძის წარმოების სფეროში (იხ. დიაგრამა 1.1.4) (Singh 2011)

დიაგრამა 1.1.4 სოფლის მეურნეობის ღირებულების ჯაჭვი



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ Saurabh Singh 2011. Integrated Agribusiness Model: “A Public Sector Success Story of Instructional Dairy Farm” საფუძველზე.

აგრობიზნესის ინკლუზიური მოდელები შექმნილია ამერიკის, აფრიკის, აზიის მრავალ ქვეყანაში. მოდელების ფუნქციონირება განსაკუთრებით აქტუალურია იმ ქვეყნებში, სადაც სოფლის მეურნეობას დიდი პოტენციალი აქვს და მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია მოსახლეობის კვების პროდუქტებით დაკმაყოფილებაში. ასეთი მოდელების არსებობის შემთხვევაში უკეთესი სოფლის მეურნეობის ღირებულების ჯაჭვი იქმნება (Mutemata...2014).

ინკლუზიური ბიზნეს მოდელების შემუშავებისას მკვლევრებს მიაჩნიათ, რომ საჭიროა კონცეპტუალური ჩარჩო პირობების განსაზღვრა. აუცილებელია ინკლუზიური ბიზნეს მოდელების ხელშემწყობი ფაქტორების გათვალისწინებაც. ამ მხრივ, განხილულია ნაშრომებში სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება ადგილობრივი კონტექსტის და ბაზრის სტრუქტურისა და სხვა მახასიათებლების გათვალისწინებით. ბიზნეს მოდელის სტრატეგიების შემუშავება აუმჯობესებს ბაზარზე მეურნეობების ადაპტაციას და გავლენას ახდენს მათი შემოსავლების ზრდაზე (Kelly...2015).


აგრობიზნესის მოდელების გავლენა ინტეგრირებულ შემოსავალზე მეცნიერების მიერ დეტალურად არის გაანალიზებული ტაივანის ეკონომიკის მაგალითზე. აღსანიშნავია, რომ ტაივანის ეკონომიკა დიდწილად ეყრდნობოდა სოფლის მეურნეობაზე დაფუძნებულ ბიზნესს. მეცნიერები აანალიზებენ აგრობიზნესს განვითარებადი ქვეყნების აგრობიზნესის მოდელებს მაკრო და მიკრო დონეზე. ამ ანალიზების საფუძველზე, შემუშავებულია პერსპექტიული მიმართულებები მომავალი კვლევებისა და აგრობიზნესის შემდგომი განვითარებისათვის (Lee...2020).

მცირე ფერმერები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსახლეობის ფართომასშტაბიან მომარაგებას აგროსასურსათო პროდუქტებით, მრავალი რისკის წინაშე დგანან. განსაკუთრებით დიდია შიგა ბაზარზე ფერმების არათანაბარი მოდერნიზაცია თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად და საჭირო ხდება მასშტაბური მომწოდებლების შენარჩუნება. ეს პროცესი განსაკუთრებით მძაფრია ლათინურ ამერიკისა და აზიის ქვეყნებში. ურბანიზაციამ, მომხმარებელთა პრეფერენციებისა და მსყიდველობითი უნარიანობის ცვლილებებმა გამოიწვია სურსათის საცალო ვაჭრობის ზრდა. შესაბამისად, იმ ქვეყნებში, სადაც ეს პროცესები

მიმდინარეობს, საჭირო ხდება მოცემული ფაქტორების გათვალისწინებით ადაპტირებული მოდელების შემუშავება (იხ. დიაგრამა 1.1.5) (Vorley ... 2008).

მოდელები ვერ პასუხობს თანამედროვე სასურსათო ბაზრის გამოწვევებს, თუ მუდმივად არ იქნა გათვალისწინებული ინოვაციები. ბოლო ათწლეულის განმავლობაში ჩატარებული კვლევით დადასტურებულია ინოვაციების გავლენა სოფლის მეურნეობის სექტორზე და პასუხი გაცემულია კითხვაზე აგრობიზნესის მოდელების პირობებში რა ელემენტებს შეუძლია ხელი შეუწყოს ინკლუზიური განვითარებას (Amador...2013). შემდგომ გამოკვლევას მოითხოვს აგრობიზნესის იმ კომპონენტების ურთიერთდამოკიდებულება, რომლებიც მოქმედებს ამ სექტორში ეკონომიკური ღირებულების შექმნაზე.

დიაგრამა 1.1.5 აგრობიზნესის მოდელი ურბანიზაციის, მომხმარებელთა პრეფერენციებისა და მსყიდველობითი უნარიანობის გათვალისწინებით



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ Bill Vorley (IIED) Mark Lundy (CIAT) James MacGregor (IIED) . „Business models that are inclusive of small farmers“ საფუძველზე.

1.2 მდგრადი სასურსათო უზრუნველყოფის პრობლემები და აგრობიზნესის განვითარების საჭიროებები.

სასურსათო უსაფრთხოების მიღწევა ნებისმიერი ქვეყნისთვის ფუნდამენტური სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევაა. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში, მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფა

მათი კეთილდღეობის პირამიდის საძირკველია. სურსათი ადამიანის ბიოლოგიური არსებობის საფუძველია და იგი მუდამ დარჩება ადამიანთა მოდგმის არსებობის მარადიულ პირობად (პავლიაშვილი...2014).

სასურსათო უსაფრთხოება თავდაპირველად განიხილებოდა, როგორც ძირითადი საკვები პროდუქტების მუდმივად ხელმისაწვდომი საკმარისი მარაგი (Colin 2018:1). მოგვიანებით ამ განმარტებამ ცვლილება განიცადა და მის შინაარსში აისახა ხელმისაწვდომობის სხვადასხვა პრობლემა, კერძოდ, სასურსათო უსაფრთხოების განმარტებამ მოიცვა არა მარტო ფიზიკური, წვდომა საკმარისი რაოდენობის სურსათზე, არამედ სოციალური, ეკონომიკური, უვნებელი და ხარისხიანი პროდუქტების მიწოდების აუცილებლობა (WDR 2008: 94).

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ სურსათზე მოთხოვნა მოკლე და გრძელვადიან პერიოდებშიც კვლავ ზრდადი იქნება (Ekanemza...2016:58). ამასთან, მნიშვნელოვნად გაიზრდება აგროსასურსათო პროდუქტების პირდაპირი გაყიდვების რაოდენობა და განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭება მიწოდების ჯაჭვის სრულყოფას (Ahearn... 2013:497).

სურსათზე გაზრდილი მოთხოვნის პირობებში აუცილებელია წარმოების განვითარების ტენდენციების შეფასება, არანაკლებ მნიშვნელოვანია აგროსასურსათო სექტორში მწარმოებლურობის გაზრდა (FAO 2017:46). განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში (Nsiah...2017).

სასურსათო ბაზრებზე აგროსასურსათო პროდუქტების მიწოდების თვალსაზრისით მნიშვნელოვან როლს ასრულებენ განვითარებადი ქვეყნები და ეს ტენდენცია გარკვეული პერიოდის განმავლობაში შენარჩუნებული იქნება (Dybowski...2016). სურსათის სტაბილური მიწოდება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ფასების ცვალებადობაზე (ჯეოველ რისერჩი 2017). სურსათზე ფასების გავლენა განსაკუთრებით ძლიერია საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნებში (Andersen 2014:197).

ზემოთ დასახელებული ფაქტორები დიდ გავლენას ახდენს სასურსათო უსაფრთხოებაზე. სასურსათო უსაფრთხოება გლობალურ დონეზეც მნიშვნელოვანი პრობლემა იყო მსოფლიოს მრავალი ქვეყნისთვის, თუმცა, პანდემიამ ეს პრობლემა კიდევ უფრო გაამწვავა. მაგალითად, მარტო სამხრეთ სუდანში საკვებ პროდუქტებზე

კრიზისი გასულ წელს მოსახლეობის 61%-ს შეეხო. კორონავირუსის პანდემიამდე აღმოსავლეთ აფრიკასა და სამხრეთ აზიაში ისედაც არსებობდა საკვების დეფიციტი ათწლეულების განმავლობაში და სიტუაციის გამწვავება კვლავ მოსალოდნელია.

პანდემიამ სურსათით მომარაგების ჯაჭვში გარკვეული დესტაბილიზაცია გამოიწვია, შესაბამისად მრავალ ქვეყანაში შეიზღუდა სურსათზე ხელმისაწვდომობა. თუ გავითვალისწინებთ, რომ მიმდინარე პერიოდში ქვეყნები მიმართავენ ექსპორტის შემზღუდველ პოლიტიკას, ნათელია პრობლემის კიდევ უფრო გამწვავების მოლოდინი. ასეთ პირობებში აქტუალური ხდება სურსათზე ხელმისაწვდომობის გაზრდის აუცილებლობა ეროვნულ დონეზე. მაშასადამე, ქვეყნებისათვის, მათ შორის საქართველოსთვის, აგროსასურსათო სფეროში ჩამოსაყალიბებელია ნათელი პოლიტიკის მიზნები და შესამუშავებელია მათი განხორციელების სასწრაფო გადაუდებელი ქმედებები.

საქართველოს ფერმერთა მეოთხე კონგრესის მიერ 2020 წელს ჩატარდა კვლევა, რომლითაც სამი ძირითადი პრობლემა გამოიკვეთა: 1. ბაზარზე ხელმისაწვდომობა; 2. საინვესტიციო რესურსებით უზრუნველყოფა; 3. სურსათის უვნებლობის სისტემის რეფორმის აუცილებლობა (სფკ 2020).

კვლევით გამოიკვეთა, რომ პანდემიამ ეს პრობლემები კიდევ უფრო გაამწვავა და სასურსათო უსაფრთხოების პრობლემები დღის წესრიგში დააყენა არა მარტო ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური უსაფრთხოების თვალსაზრისითაც. საქართველოშიც, ბოლნისისა და მარნეულის მაგალითებით ნათელი გახდა, რომ საჭიროა სურსათის მიწოდების ჯაჭვში სტრუქტურული ცვლილებები. მაგალითად, ევროპის ქვეყნებში ფერმერებისაგან სურსათის შექმნა ხდება სპეციალიზებული ორგანიზაციების მიერ და მათ მიერვე მარაგდება სუპერმარკეტები. ამის ნიშნები საქართველოში გამოჩნდა, საჭიროა მათი გაფართოება და ჯანსაღი კონკურენტული გარემოს შექმნა. ფერმერულ მეურნეობათა მასშტაბების ზრდა, მათ კონკურენტუნარიანობას გაზრდის და გააუმჯობესებს ბაზარზე დამოუკიდებლად გასვლას.

ამრიგად, საქართველოში სასურსათო უსაფრთხოების შესაფასებლად, გაანალიზებას მოითხოვს ძირითადი აგროსასურსათო პროდუქტების თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტები, ასევე, შესასწავლია ადგილობრივი

წარმოების ტენდენცია, იმპორტისა და ექსპორტის დინამიკა და ფასების ცვლილება. ამ მაჩვენებლების ანალიზზე დაყრდნობით შესაძლებელია გამოვლინდეს აგრობიზნესის განვითარების საჭიროებები და შემუშავდეს აგრობიზნესის მოდელი.

აგრობიზნესის განვითარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სასურსათო უსაფრთხოების პრობლემის გადასაჭრელად. პრობლემა აქტუალურია საქართველოსთვისაც, რადგან გამოკვეთილია სურსათზე ფასების ზრდა, ინფლაცია, აგროსასურსათო პროდუქტების დეფიციტი, ექსპორტ-იმპორტის უარყოფითი სავაჭრო ბალანსი და სხვ.

COVID-19-ის გავრცელებამ კიდევ უფრო მეტად აქტუალური გახდა აგრობიზნესის განვითარების საჭიროება. პანდემიამ ზემოქმედება მოახდინა ზოგადად ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე, მათ შორის აგრობიზნესზე. კორონავირუსის გამო ახალი გამოწვევები გაჩნდა შიგა და საერთაშორისო სასურსათო ბაზრებზე. Deutsche Welle-ს კვლევით კორონავირუსის დასაძლევად მსოფლიო მასშტაბით საჭირო იქნება 4.1 ტრილიონზე მეტი აშშ დოლარი, რომლის მობილიზება, თავის მხრივ, კიდევ უფრო გააღრმავებს მსოფლიოში მიმდინარე სასურსათო კრიზისს (FAO). გაეროს შეფასებით მსოფლიოში მოსალოდნელია „ბიბლიური მასშტაბის“ შიმშილი იმ შემთხვევაში, თუ მოკლევადიან პერიოდში არ იქნა მიღებული რადიკალური და ოპტიმალური გადაწყვეტილებები პანდემიის ფონზე ფორმირებული მოთხოვნების შესაბამისად. დღეს მსოფლიოში 135 მილიონი ადამიანი შიმშილობს, ეს რაოდენობა შესაძლოა, 250 მილიონამდე გაიზარდოს. თუმცა სურსათზე გარკვეული კრიზისი პანდემიამდეც იყო, და ეს ზევით მოყვანილი მაგალითებიდანაც ნათლად ჩანს. თუ ვითარება არ შეიცვალა სიტუაციის კიდევ უფრო გამწვავებაა მოსალოდნელი (FAO 2019:24).

ამ ქმედებების დაგეგმვა და რეკომენდაციების შემუშავება არ იქნება მარტივი. მინდა მოვიტანო აკადემიკოს ლადო პაპავას მოსაზრება პოსტკრიზისულ მოლოდინების შესახებ (03 აპრილი, 2020). ბატონ ლადოს აზრით ეს კრიზისი თვისებრივად განსხვავებულია წინა ეკონომიკური კრიზისისაგან, რადგან მისი საფუძველი მარტო ეკონომიკაში არ დევს.

კრიზისზე, აუცილებელია გავერკვეთ მის არსში, რადგან ეს კრიზისი თვისებრივად განსხვავებულია, ვიდრე ნებისმიერი წინა ეკონომიკური კრიზისი. მაგალითად,

ცნობილი ეკონომიკური გლობალური კრიზისი, რომელიც 2008-2009 წლებში იყო, ჩა- ისახა ეკონომიკაში, ანუ საფუძველი თავად ეკონომიკა იყო, ამიტომ ეკონომისტე- ბისთვის მეტ-ნაკლებად ცნობილი გახლდათ კრიზისის გამომწვევი მიზეზები და, შე- საბამისად, მათ იცოდნენ — როგორ უნდა ემოქმედათ მის წინააღმდეგ. რაც შეეხება ამ ახალ კრიზისს, ამის საფუძველი ეკონომიკაში არდევს (**პაპავა 2020:13**).

ბოლო პერიოდში აგრობიზნესის სფეროში ახალი მოთხოვნები გამოვლინდა, კერძოდ გაჩნდა მოთხოვნა ციფრული არხებით აგროსასურსათო პროდუქტების გაყიდვებზე, ასევე, აქტუალური გახდა ელექტრონული კომუნიკაციების განვითარება. აგრობიზნესში ეკონომიკური გადაწყვეტილებების უმეტესობა ისედაც გაურკვევლობის პირობებში მიიღებოდა, პანდემიის პირობებში კი მისი ალბათობა კიდევ უფრო გაიზარდა და აუცილებელი გახდა აგრობიზნესის განვითარება სასურსათო უზრუნველყოფის სასიცოცხლო ინდიკატორების მისაღწევად. საქმე ის არის, რომ სასურსათო კრიზისიც ისეთივე მნიშვნელოვან რისკებს შეიცავს, როგორც თვით პანდემია. შესაბამისად, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) ღია წერილით „ნუ დავუშვებთ, რომ COVID19 გახდეს შიმშილის თამაში“ (**FAO 2020**). რომლითაც ორგანიზაცია მიმართავს მსოფლიოს ქვეყნებს ამ სფეროს განვითარების აუცილებლობის შესახებ.

პანდემიის პირობებში საზღვრების ჩაკეტვამ მოსახლეობის სურსათით მომარაგების ჯაჭვის რღვევა გამოიწვია და შეიქმნა იმის დიდი საშიშროება, რომ დამატებით მრავალ ქვეყნებში მნიშვნელოვნად შეიზღუდება სურსათზე ხელმისაწვდომობა. პრობლემას ართულებს ისიც, რომ მრავალმა ქვეყანამ მიმართა ექსპორტის შემზღუდველ პოლიტიკას. პოლიტიკის მიზანია სურსათზე ხელმისაწვდომობის გაზრდა ეროვნულ დონეზე. დასახელებული ფაქტორები გამოიწვევს მსოფლიოს სასურსათო ბაზრის მნიშვნელოვან დესტაბილიზაციას, სურსათზე ფასების და მიწოდების ჯაჭვის რღვევას. აგრობიზნესის განვითარებას მნიშვნელოვნად შეაფერხებს წარმოების პარამეტრების ცვლილება მემცენარეობისა და მეცხოველეობის დარგებში.

მსოფლიოში კორონავირუსის პანდემიით გამოწვეულმა ვითარებამ შესაძლებელია სურსათის გლობალური დეფიციტი გამოიწვიოს (**Guardian 2020**). მთავრობებმა უკვე შემოიღეს თავისუფალი ვაჭრობის საწინააღმდეგო

დონისძიებები, რამაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად შეზღუდა სურსათის ნაკადების მოძრაობა ქვეყნებს შორის. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სურსათის წარმოება სეზონური ხასიათისაა და ზოგიერთი პროდუქტი (ხილი, ბოსტნეული და სხვ.) მალფუჭებადია. შესაბამისად, ნათელია, რომ კორონავირუსის პანდემია აუცილებლად გამოიწვევს სასურსათო კრიზისს (Leiroz 2020). მეცნიერები უკვე ასაბუთებენ, რომ ექსპორტის შეზღუდვების მზარდი ტალღის გამო გლობალურ დონეზე უდავოდ იქნება სასურსათო პროდუქტების წარმოებისა და მიწოდების კრიზისი (Reuters 2020). პრობლემას ამწვავებს ისიც, რომ სასურსათო უსაფრთხოება მრავალ ქვეყანაში კრიზისის გარეშეც მიუღწეველი იყო.

დღეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პრობლემის მოგვარების გზების ძიება მსოფლიოში არსებული თანამედროვე რეალობების გათვალისწინებით, განსაკუთრებით ჯანდაცვის სფეროსა და ეკონომიკურ საკითხებთან ურთიერთობის კონტექსტში, მით უმეტეს, რომ სწორედ დასახელებული ორი სფეროს მიჯნაზეა განმარტებული სასურსათო უსაფრთხოების ტერმინიც: „სასურსათო უსაფრთხოება არის ყველა ადამიანის ფიზიკური და ეკონომიკური ხელმისაწვდომობა აქტიური და ჯანმრთელი ცხოვრების შენარჩუნებისათვის საჭირო რაოდენობისა და კვებითი ღირებულების მქონე უვნებელ სურსათზე“ (WFS 1996). ამგვარ განმარტებას არაერთი მეცნიერიც იზიარებს (Muro...2010/2011).

მაშასადამე, გლობალური სასურსათო კრიზისი გარდაუვალი იქნება და ამ კრიზისიდან გამოსავალი გზების ძიება უპირველესად საკმარისი და ხელმისაწვდომი სურსათის წარმოების გაზრდისა და მიწოდების უზრუნველყოფით უნდა დაიწყო. პასუხი გასაცემი იქნება კითხვებზე: რა გავლენას მოახდენს პანდემია სურსათის წარმოებაზე? რა ფაქტორები უშლის ხელს სურსათის მოწოდებას? როგორ შეიცვლება სურსათის მიწოდების ჯაჭვი? როგორი იქნება სურსათზე წარმოების დანახარჯები? რა გავლენას მოახდენს კრიზისის პერიოდი სურსათის დეფიციტზე? როგორი იქნება სურსათით უზრუნველყოფის მაჩვენებლები? როგორი გახდება სასურსათო უსაფრთხოების დონის მაჩვენებლები პოსტკორონავირუსულ პერიოდში და სხვ. აღნიშნულ კითხვებზე პასუხის გაცემა აქტუალურია საქართველოსთვისაც. ამდენად,

მნიშვნელოვანია იმ გამოწვევების დადგენა, რომელიც ხელს უშლის ქვეყანაში სასურსათო უსაფრთხოების დონის მიღწევას, ასევე, მნიშვნელოვანია პოსტკორონავირუსულ პერიოდში სოფლის მეურნეობის განვითარების მოსალოდნელი სცენარების შეფასება. შესაბამისად, კვლევის მიზანია პოსტკორონავირუსულ კრიზისულ პერიოდში სასურსათო უსაფრთხოების სფეროში არსებული გამოწვევების გამოვლენის საფუძველზე საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პრიორიტეტების დასახვა.

აგროსასურსათო წარმოების ტრანსფორმაცია გლობალურ გამოწვევებს შორის ერთ-ერთი მთავარ საკითხად განიხილება (Kharashvili 2017). ასევე, აქტუალურობას არ კარგავს სასურსათო ბაზრების დივერსიფიკაციისა და სურსათის უსაფრთხოების პრობლემები (Kharashvili 2015). აღნიშნულ პროცესებზე ერთ-ერთ მთავარ გავლენას ახდენს ურბანიზაცია. ექსპერტების შეფასებით 2050 წლისთვის მოსახლეობის 65%-ზე მეტი ურბანული მაცხოვრებელი იქნება. ეს იმაზე მიუთითებს, რომ სასურსათო უზრუნველყოფასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას შეიძენს.

თანამედროვე ტექნოლოგიის მიღწევებმა გარკვეულწილად გააუმჯობესა მსოფლიოში სასურსათო ბაზრებზე სურსათის მიწოდება, ნაწილობრივ შენარჩუნდა სურსათის წარმოების ზრდის ტემპიც მოსახლეობის ზრდასთან მიმართებაში. თუმცა, აღნიშნული საკმარისი არ აღმოჩნდა მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის სფეროში რისკების შესამცირებლად (Blazhekovik...2014).

დღეს ბევრი მტკიცებულება არსებობს იმისა, რომ სოფლის მეურნეობის განვითარება უფრო მდგრადი უნდა გახდეს, კრიტიკულად მნიშვნელოვანია დარგის სტრუქტურული ტრანსფორმაცია, საჭიროა რესურსების მობილიზაცია, კვლევისა და ინოვაციის პოლიტიკის წახალისება (Campanhola...2019).

საქართველოში სასურსათო უსაფრთხოების პრობლემების კვლევა ბოლო პერიოდში მეცნიერთა და ექსპერტთა მიერ განსაკუთრებულად აქტუალურ პრობლემათა ჭრილში განიხილება (Kharashvili ...2015). პრობლემას ისიც ამწვავებს, რომ ადგილობრივი აგროსასურსათო პროდუქტების წარმოების ზრდის ტენდენციები ვერ უზრუნველყოფს სასურსათო ბალანსების


ოპტიმალური სტრუქტურის ფორმირებას, აგროსასურსათო პროდუქტების წარმოების არსებული პარამეტრებით ვერ მიიღწევა ადგილობრივი წარმოების პროდუქტებით თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლების უსაფრთხო დონე.

საქართველოში აგროსასურსათო პროდუქტების წარმოების მაჩვენებლების ტენდენციების შესწავლამ გვიჩვენა, რომ სტრატეგიული აგროსასურსათო პროდუქტების წარმოების მაჩვენებლები 2020 წელს წინა წლებთან შედარებით ხშირ შემთხვევაში კვლავ კლებადია, განსაკუთრებით სტრატეგიულ პროდუქტებზე

საქართველოში ბოლო ათწლეულში აგროსასურსათო წარმოების სფეროში გამოკვეთილია როგორც ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების, ისე მეცხოველეობის დარგების უმეტესობაში წარმოების შემცირების ტენდენციები (იხ. ცხრილი 1.2.1).


ცხრილი გვიჩვენებს, რომ 2020 წელს 2014 წელთან შედარებით არსებითად არ გაზრდილა ერთწლიანი კულტურების წარმოების პარამეტრები, უმნიშვნელოდ გაიზარდა ბოსტნეულის წარმოება, შედარებით გაზრდილია ხორბლის წარმოებაც. რაც შეეხება მრავალწლოვანი კულტურების წარმოებას, ამავე პერიოდში ყურძნის წარმოებაა გაზრდილი, საგრძნობლად არის შემცირებული ხილის წარმოება, თითქმის უცვლელია ციტრუსების წარმოების მონაცემები (იხ. ცხრილი 1.2.2).

ცხრილი 1.2.1 ერთწლიანი კულტურების წარმოების მაჩვენებლების დინამიკა 2014-2020 წლებში, ათასი ტონა



წყარო: სსეს 2020: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური., ერთწლიანი კულტურების წარმოება <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/196/soflis-meurneoba> მოძიებულია 27 აპრილი2021


ცხრილი 1.2.2 მრავალწლოვანი კულტურების წარმოება, ათასი ტონა



წყარო: სსეს 2020: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური., მრავალწლოვანი კულტურების წარმოება <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/196/soflis-meurneoba> მოძიებულია 27 აპრილი2021

დასახელებულ პერიოდში ფიქსირდება წარმოების მაჩვენებლების შემცირების ტენდენციაც მეცხოველეობის მთელ რიგ დარგებში, თუმცა, უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც გაზრდილია ხორცის წარმოების დონე (იხ. ცხრილი 1.2.3).

ცხრილი 1.2.3 ხორცის წარმოება, ათასი ტონა




წყარო: სსეს 2020: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.,
 ხორცის წარმოება <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/196/soflis-meurneoba> მოძიებულია 27
 აპრილი 2021

მონაცემების დეტალურმა შესწავლამ ისიც გვიჩვენა, რომ აგროსასურსათო სექტორში დაბალია მწარმოებლურობის მაჩვენებლები, მაგალითად, ხორბლის საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა 2.3 ტონას შეადგენს ჰე, კარტოფილსა 11.8 ტონას, ბოსტნეულსა 10 ტონას (სსეს 2019:34). და ა. შ. ეს მაჩვენებლები მნიშვნელოვნად ჩამორჩება ევროპის ქვეყნების საშუალო მაჩვენებლებს (იხ. დიაგრამა 1.2 1).


დიაგრამა 1.2.1. ერთწლიანი კულტურების საშუალო მოსავლიანობა, ტ/ჰა

ერთწლიანი კულტურების საშუალო მოსავლიანობა, ტ/ჰა



წყარო: სსეს 2020: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური., ერთწლიანი კულტურების საშუალო მოსავლიანობა <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/196/soflis-meurneoba> მოძიებულია 27 აპრილი 2021


დიაგრამა 1.2.2. რძის წარმოების მაჩვენებელი ერთ სულზე (საშუალო წველადობა, ლიტრი წელიწადში)



წყარო: სსეს 2020: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური., საშუალო წველადობა <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/196/soflis-meurneoba> მოძიებულია 27 აპრილი 2021

წარმოების მოცემული პარამეტრებისა და მწარმოებლურობის პირობებში ძირითადი სასურსათო პროდუქტებით თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლებიც დაბალია. სასურსათო ბალანსების შესწავლამ გვიჩვენა, რომ ხორბალზე ეს მაჩვენებელია 15%-ია, სიმინდზე - 71%, კარტოფილზე - 102%, ბოსტნეულზე - 59%, ყურძენზე - 152%, ხორციზე - 52%, რძესა და რძის პროდუქტებზე - 81%, კვერცხზე - 99% (სსეს 2020). როგორც ჩანს, დასახელებული მაჩვენებლები ძალიან დაბალია სტრატეგიულ პროდუქტზე ხორბალზე, ასევე, ბოსტნეულზე, ხორცის პროდუქტებზე (იხ. დიაგრამა 1.2.3).

დიაგრამა 1.2.3. ძირითადი აგროსასურსათო პროდუქტების თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტები საქართველოში



წყარო: სსეს 2020: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.,
სურსათის წარმოება <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/297/sasursato-usaftrkhoeba> მოძიებულია
27 აპრილი 2021

საქართველოში მაღალია შინამეურნეობების სასურსათო ხარჯების წილი მთლიან სამომხმარებლო ხარჯებში. 2020 წელს ეს მაჩვენებელი 42% იყო (სსეს 2020). ასევე, ბოლო წლების მონაცემების შედარებით ანალიზით გამოვლინდა, რომ სასურსათო პროდუქტებზე ფასების ინდექსი ზრდადი ტენდენციისაა. სურსათის უმეტესობაზე გაზრდილია ფასებიც (AOG 2019:19).

ქვეყანაში კვლავ მაღალია სიღარიბის დონე. სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი 2020 წელს 21.9%-ი იყო (სსეს 2020).

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს აგროსასურსათო სექტორი კვლავ დიდი რაოდენობით შინამეურნეობების ფუნქციონირებაზეა დაფუძნებული. შინამეურნეობების მასშტაბები მცირეა და სურსათით თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლებში არსებითი გარდატეხას ვერ უზრუნველყოფს (ხარაიშვილი...2019). მცირე ზომის შინამეურნეობებს ბაზართან შეზღუდული წვდომა აქვთ, ასევე, გააჩნიათ შეზღუდული რესურსები და ზრდის ნაკლები პოტენციალი (Kharaihvili 2018).

საქართველოში აგროსასურსათო პროდუქტების წარმოება ტრადიციული სფეროა, თუმცა, ეკონომიკურ პრობლემებს შორის განსაკუთრებით მძიმე სოციალურ ფონს ქმნის სასურსათო უსაფრთხოების დაბალი მაჩვენებელი, სურსათზე ფასების ზრდა, ინფლაცია, აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტ-იმპორტის უარყოფითი სავაჭრო ბალანსი და სხვ (Kharaihvili 2018).

აღსანიშნავია ისიც, რომ აგროსასურსათო პროდუქტებზე ექსპორტ-იმპორტს შორის წლების მანძილზე ფორმირებული უარყოფითი სალდო, კვლავ შენარჩუნებულია.

იმპორტის მოცულობა ექსპორტს 3-ჯერ და მეტად აღემატება და ქვეყანაში მრავალი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა არსებობს (Kharaihvili...2018:8).

საქართველოში სურსათის ექსპორტის წილი მთლიან მოცულობაში საშუალოდ 2018 წელს 9%-ს შეადგენდა. 2019 წლის პირველი სამი კვარტლის მიხედვით ეს მაჩვენებელი 7.5%-ია, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე ნაკლებია (სეს 2018:16).

მიმდინარე ეტაპზე, პანდემიის მიმდინარეობისა და კიდევ უფრო მეტად პოსტპანდემიურ პერიოდში, ზემოთ მოტანილი ეკონომიკური მაჩვენებლების გაუარესებაა მოსალოდნელი. ასეთ პირობებში, ცხადია, საქართველოში სასურსათო უსაფრთხოებაზე დიდ გავლენას მოახდენს COVID-19. როგორც მონაცემებმა ცხადყო, საქართველოში ძირითადი პროდუქტებით თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლები დაბალია, ასევე, ქვეყანა საკვები პროდუქტების წმინდა იმპორტიორია და პანდემიის გამო მთელი რიგი პრობლემები შეიქმნება მოსახლეობის უვნებელი, უსაფრთხო და ხელმისაწვდომი საკვებით უზრუნველსაყოფად. სასურსათო ბაზრებზე მოსალოდნელი ტენდენციებისა და პროცესების შეფასების საფუძველზე მკვლევრების მიერ გამოითქვა მოსაზრებები სასურსათო ბაზრებზე კრიზისის გაღრმავების შესახებ, უპირველესად სურსათის მიწოდების ჯაჭვში შექმნილი პრობლემების გამო (**მამარდაშვილი...2020**).

საერთაშორისო ვაჭრობა პანდემიის პირობებში მკვეთრად შეზღუდულია. საერთაშორისო ვაჭრობა მოსახლეობისათვის სურსათის მიწოდებაში მთავარ მამოძრავებელ ფაქტორს წარმოადგენს და განსაკუთრებული როლი ენიჭება ეკონომიკის სწრაფი განვითარებისათვის (**WHO 2018**). პანდემიის გახანგრძლივება საკვების მომმარაგებელ ქსელს მნიშვნელოვან ზარალს მიაყენებს. თუ გავითვალისწინებთ, რომ აღნიშნული ქსელი კომპლექსურია და მოიცავს ფერმერებს, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს, გადამამუშავებელ ქარხნებს, გადაზიდვებს, საცალო ვაჭრობას და ა.შ., კრიზისი ღრმა და სხვადასხვა ქსელის მომცველი იქნება (**TFALUC 2020**).

2020 წლის იანვარ-მარტში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვის შესწავლამ გვიჩვენა, რომ ეს მაჩვენებელი წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 2.7%-ით ნაკლებია. აქედან, ექსპორტი 5.9%-ით ნაკლები იყო, ხოლო იმპორტი 1.4%-ით ნაკლები. უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2020 წლის იანვარ-მარტში 1 217.6 მლნ აშშ დოლარი და საგარეო სავაჭრო ბრუნვის 43.9% შეადგინა (**სსეს 2020:1**).

2020 წლის მარტში წინა თვესთან შედარებით ინფლაციის დონე საქართველოში 0.7%, ხოლო წლიური ინფლაციის დონე 6.1% იყო. გასათვალისწინებელია, რომ ინფლაციის მაჩვენებლის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების

ცვლილებამ სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე. დასახელებულ ჯგუფში ფასების 2.0%-იანი მატება აღინიშნება. ფასები გაზრდილია ბოსტნეულსა და ბალჩეულზე (9.6%), ხილსა და ყურძენზე (8.9%), შაქარზე, ჯემსა და სხვა ტკბილეულზე (3.7%), ზეთსა და ცხიმზე (2.6%), მინერალურ და წყაროს წყალზე, უალკოჰოლო სასმელებსა და ნატურალურ წვენებზე (2.3%), პურსა და პურპროდუქტებზე (1.7%). ამასთან, ფასები შემცირდა რძეზე, ყველზე, კვერცხზე (-1.3%) და თევზეულზე (-1.2%) (სსეს 2020).

სასურსათო უსაფრთხოება ეხება მოსახლეობის პროდუქტებზე ხელმისაწვდომობას, ასევე, მათ ჯანმრთელობას. სასურსათო უსაფრთხოების პრობლემა დაკავშირებულია ურბანიზაციის, შემოსავლების უთანასწორობის, ეკოსისტემის დეგრადაციის და სხვა მნიშვნელოვან კომპონენტებთან (Erkomaisvili 2017). მეცნიერები დღეს სწორედ ამ ურთიერთკავშირებს იკვლევენ და ამუშავენ სამომავლო განვითარების პროგრამებს (Havas 2011).

აგროსასურსათო პროდუქტების წარმოებისათვის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რესურსებზე ხელმისაწვდომობა განიხილება. არანაკლებ მნიშვნელოვანია მიწისა და სასურსათო ბაზრების განვითარება, მწარმოებლურობის ზრდის სტრატეგიების შემუშავება და სხვა. აღნიშნულის მისაღწევად, თავის მხრივ, აუცილებელია კომპლექსური სასურსათო უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავება (FAO 2006). უსაფრთხოების პოლიტიკის შესამუშავებლად და სტრატეგიული გადაწყვეტილებების მისაღებად მნიშვნელოვანია აგროსასურსათო სფეროს განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრა (ერქომიშვილი 2016). ასევე, კვლევების საფუძველზე შესაბამისი კონცეფციებისა და მეთოდოლოგიების შემუშავება (FAOSDS 2020).

სასურსათო უსაფრთხოების მისაღწევად, სავსებით კანონზომიერად, მიჩნეულია სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება, აგროსასურსათო სექტორში შემოსავლების გაზრდა და სოფლად სიღარიბის შემცირება. სოფლის მეურნეობაში მდგრადი განვითარების მისაღწევად მეცნიერები რამდენიმე ძირითადი ამოცანის გადაწყვეტას მიიჩნევენ, მათგან აღსანიშნავია აგროსასურსათო სექტორში წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება, სასურსათო ბაზრების გაფართოება და ახალი ბაზრების ათვისება, აგრობიომრავალფეროვნების შენარჩუნება (პავლიაშვილი 2014).

ფერმერთა ასოციაციის კვლევის შედეგების მიხედვით, COVID-19-მა უკვე უარყოფითი გავლენა იქონია საწარმოო რესურსებისა ხელმისაწვდომობაზე. ამ კვლევით გამოკითხულ ფერმერთა უმრავლესობა - 61% - მიიჩნევს, რომ იმპორტირებული აგროსაშუალებების ფასი ეროვნული ვალუტის გაუფასურების გამო გაიზარდა; ამასთან ნაწილი მიიჩნევს, რომ აგროსაშუალებებზე წვდომა შეიზღუდა, ნაწილი კი ამ აზრს არ იზიარებს და ეწინააღმდეგება კიდევ, თუმცა, მათი უმრავლესობა - 42% თანხმდება იმაზე, რომ ისეთ საწარმოო რესურსებზე, როგორცაა სამშენებლო მასალები, მექანიზაცია და სხვა წვდომა შეზღუდულია (**მღებრიშვილი 2020**). მთავარ გამოწვევად ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა განიხილება (**Kharaishvili 2018**).

როგორც ზემოთ აღინიშნა, დღეს სოფლის მეურნეობაში მთავარი გამოწვევაა მწარმოებლურობა. შესაბამისად, პრიორიტეტებს შორის უნდა განვიხილოთ მიწის ფართობების გაზრდით მისგან მეტი ღირებულების შექმნის აუცილებელი ღონისძიებების გატარება.

მსოფლიოში ყველაზე მაღალი მწარმოებლურობა აგრარულ სექტორში არის აშშ-ში, კანადასა და ავსტრალიაში. ამ ქვეყნების მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა აგრარულ სექტორში ერთ დასაქმებულზე 100 ათას დოლარს აჭარბებს; დასავლეთ ევროპის ქვეყნებსა და იაპონიაში ეს მაჩვენებელი 30 ათასიდან 50 ათას დოლარამდე მერყეობს. საქართველოში იგივე მაჩვენებელი 1.6 ათასი დოლარია, თურქეთსა და რუსეთში - 10 ათას დოლარზე მეტი (**სუ 2015**). მაშასადამე, საქართველოში სოფლის მეურნეობაში მწარმოებლურობა თითქმის 20-ჯერ ნაკლებია, ვიდრე ევროპის ქვეყნებში და 60-ჯერ ნაკლები, ვიდრე აშშ-ში, კანადასა და ავსტრალიაში.


მწარმოებლურობის მოცემულ დონეზე, ცხადია, ქართული აგროსასურსათო პროდუქტები კონკურენტუნარიანი ვერ იქნება. მთავარი გამოწვევაა მწარმოებლურობის გაზრდა, საშუალოდ 7-8-ჯერ მაინც, რაც თავის მხრივ, მოითხოვს სასოფლო-სამეურნეო მიწის გამსხვილებას და წარმოების მასშტაბების ზრდას, ფინანსურ და სხვა სახეობის რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას, შესაბამისი ეკონომიკური პოლიტიკის მექანიზმების შემუშავებას (**Erkomaisvili 2018**).

მართალია სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობა ამ პერიოდში შემცირდა, მაგრამ ზემოთ მოტანილმა მონაცემებმა ცხადყო, მწარმოებლურობა კვლავ დაბალია და მისი ზრდის მექანიზმების ამოქმედება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სასურსათო უსაფრთხოების მისაღწევად.

წლების მანძილზე სოფლის მეურნეობის ზრდის საშუალო ტემპი მცირეა (იხ დიაგრამა 1.2.4).

2004-2018 წლებში ზრდის საშუალო ტემპმა 0.4% შეადგინა, თუმცა, 2013 წელს, როდესაც სოფლის მეურნეობა მნიშვნელოვან სფეროდ გამოცხადდა და მეტად დაფინანსდა, სექტორის 11.3%-იანი ზრდა დაფიქსირდა წინა წელთან შედარებით. მომდევნო წლებში კი ფინანსური რესურსების დეფიციტის პირობებში ზრდის ტემპი 1.5%-მდე შემცირდა, 2017-2018 წლებში კი სოფლის მეურნეობის სექტორში დაახლოებით წლიური 3%-იანი კლება აღინიშნება. 2016 წლის შემდეგ წარმოებული პროდუქცია დაახლოებით 100 მლნ ლარით შემცირდა. შემცირდა როგორც ნათესი ფართობები, ასევე პირუტყვის სულადობა (საქსტატი 2019).

დიაგრამა 1.2.4. სოფლის მეურნეობის რეალური მაჩვენებელი, მშპ (მლნ ლარი; %)



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური 2020: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემები <https://mepa.gov.ge/Ge/News/Details/17911> მოძიებულია 23 იანვარი 2021 წელი

პოსტკორონავირუსულ პერიოდში აუცილებელი იქნება სახელმწიფო პოლიტიკის მექანიზმების გამოყენება აგროსასურსათო პროდუქტებზე. პანდემიის პერიოდში პირველადი მოხმარების სასურსათო პროდუქტებზე ფასების შენარჩუნების მიზნით ამოქმედდა სახელმწიფო პროგრამა, რომლითაც ფასების სუბსიდირების გზით შენარჩუნდა პირველადი მოხმარების ძირითადი სასურსათო პროდუქტზე ფასები (ბრინჯი, მაკარონის ნაწარმი, წიწიბურა, მზესუმზირის ზეთი, შაქარი, ხორბალი, ხორბლის ფქვილი, რძის ფხვნილი, ლობიო). პროგრამის ამოცანას წარმოადგენს პროდუქტებზე სავალუტო კურსის ცვალებადობით გამოწვეული ფასის ზრდის შეჩერება სუბსიდირების გზით და ქვეყანაში პროდუქტების საჭირო მარაგების შექმნის სტიმულირება (**დადგენილება 2020**).

ძირითად აგროსასურსათო პროდუქტებზე ფასებზე სუბსიდირების პოლიტიკა გასატარებელი იქნება პოსტკორონავირუსულ პერიოდშიც.

საქართველოში სოფლის მეურნეობა ყოველთვის ასრულებდა ქვეყნის მოსახლეობის სასურსათო პროდუქტებით თვითუზრუნველყოფისა და თვითდამკვიდრების შენარჩუნების უმნიშვნელოვანეს ფუნქციას. უფრო მეტიც, სხვადასხვა კრიზისულ პერიოდში მოსახლეობამ შიმშილისაგან გამოსავალი სწორედ სოფლის მეურნეობაში დასაქმებით გამოიხსნა. დღეს სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია 1,5 მლნ ადამიანი, რაც ქვეყნის მოსახლეობის 41,3%-ს შეადგენს (**სსეს 2018:17**). მათი უმეტესობა თვითდასაქმებულად ითვლება. პოსტკორონავირუსულ პერიოდში კვლავ გაიზრდება თვითდასაქმებულთა კატეგორია, რადგან მოსალოდნელია ქალაქად უმუშევრად დარჩენილი მოსახლეობისა და ემიგრაციიდან დაბრუნებული მოსახლეობის ნაწილის გადანაცვლება სოფლის მეურნეობის დარგში, შესაბამისად, უახლოეს პერიოდში ნაკლებად მოსალოდნელია მცირემასშტაბიანი მიწის ნაკვეთების გამსხვილების პროცესის დაწყება. მათთანადავსება, მიღებული შემოსავლები მცირე იქნება და მხოლოდ ოჯახის წევრების დაკმაყოფილებას მოხმარდება.

საქართველოში აგრარული სექტორის განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი უნდა იყოს მიწის რესურსების ეფექტიანად გამოყენება. პოსტკორონავირუსულ პერიოდში აგროსასურსათო პროდუქტების წარმოების ზრდის ერთ-ერთი პრიორიტეტი უნდა იყოს მიწის ბაზრის განვითარების ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკის განვითარება ნაკვეთების გამსხვილების

თვალსაზრისით. მცირემიწიანობა მიწის ნაკვეთების არაეფექტიანად გამოყენებას იწვევს, მასშტაბიდან არაეკონომიურობის გამო ზრდის სურსათზე ფასებს. აუცილებელია მცირე საოჯახო მეურნეობის საშუალო ან მსხვილ ფერმერულ მეურნეობად გარდაქმნის პროგრამებისა და მასტიმულირებელი ეკონომიკური პოლიტიკის მექანიზმების შემუშავება.

სასურსათო უსაფრთხოება კომპლექსური საკითხია. ის მოიცავს, როგორც სოფლის მეურნეობის გააზრებულ და სტრატეგიულ დაგეგმარებას, ისე ჯანდაცვისა და განათლების ელემენტების გათვალისწინებას (სუ 2015).

აღნიშნულიდან გამომდინარე, პოსტკორონავირუსულ პერიოდში დადებითი მნიშვნელობა ექნება მცირე ფერმერების ხელშეწყობას შესაბამისი რესურსებით, მათთვის ეკონომიკისა და განათლების სფეროში თანამედროვე გამოწვევებისა და განვითარების მიმართულებების შესახებ განათლების მიწოდებას, რეფორმების განხორციელებას მიწის ბაზრის განვითარებისათვის, ბიომრავალფეროვნების ხელშეწყობას, ინფრასტრუქტურის განვითარებას და სხვ. სასურსათო უსაფრთხოების მისაღწევად უნდა შემუშავდეს რეალურ საჭიროებებზე მორგებული საჯარო პოლიტიკის იურიდიული ქტების და დაიგეგმოს მათი თანმიმდევრული განხორციელების ეტაპები.

FAO-ს მიერ შემუშავებული მაჩვენებელთა სისტემის მიხედვით ქვეყნებისთვის სტრატეგიული მნიშვნელობისაა ისეთი პროდუქტები, როგორცაა ხორბალი, სიმინდი, კარტოფილი, ბოსტნეული, ყურძენი, ხორცი (მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ღორის, ცხვრისა და თხის, ფრინველის), რძე და რძის პროდუქტები და კვერცხი. აღნიშნული პროდუქტებით თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლებით განისაზღვრება ქვეყნის სასურსათო დამოუკიდებლობის დონე და მოსახლეობის სურსათით უსაფრთხო უზრუნველყოფა. დასახელებული სასურსათო პროდუქტების წარმოება საქართველოში ბოლო ათწლეულში, როგორც ზემოთ მოტანილმა ანალიზმა გვიჩვენა, შემცირებულია, შესაბამისად მოსახლეობის ადგილობრივი საკვები პროდუქტებით დაკმაყოფილების დონე კვლავ დაბალი რჩება (Kharashvili...2018).

წარმოების მოცულობებისა და სურსათით თვითუზრუნველყოფის მოცემული ინდიკატორების პირობებში, ცხადია, იქმნება სურსათზე დეფიციტი და ამ დეფიციტის შევსება იმპორტული პროდუქციის ხარჯზე ხდება. აგროსასურსათო პროდუქტების იმპორტის მოცულობა 3-ჯერ და ზოგჯერ მეტადაც აღემატება ექსპორტის

რაოდენობას და წლების განმავლობაში უარყოფითი სასურსათო სავაჭრო ბალანსია ფორმირებული (ხარაიშვილი...2019).

FAO-ს მიერ შემუშავებული მაჩვენებელთა სისტემის მიხედვით საქართველოში ძირითადი სასურსათო პროდუქტებით თვითურუნველყოფის მაჩვენებლები შედარებით ფართო სპექტრით მოცემულია ცხრილში 1.2.4.

საკმარისია აღინიშნოს, რომ 2017 წლის მონაცემებით ხორბალზე თვითურუნველყოფის კოეფიციენტი შეადგენდა 15%-ს, სიმინდზე - 64%-ს, ბოსტნეულზე - 65%-ს, კარტოფილზე - 109%-ს, ყურძენზე - 183%-ს, ხორცზე - 46%-ს (მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცზე 76%-ს, ღორის ხორცზე 36%-ს, ფრინველის ხორცზე 32%-ს), რძესა და რძის პროდუქტებზე - 82%-ს[90]. 2020 წლის წინასწარი მონაცემებით მხოლოდ ზოგიერთ პროდუქტზე აღინიშნება უმნიშვნელო ზრდა.

ცხრილი 1.2.4 საქართველოში ძირითადი სასურსათო პროდუქტებით თვითურუნველყოფის მაჩვენებლები 2020 წელს

დასახელება	სულ გამოყენება (ათასი ტონა)	თვითურუნველყოფის კოეფიციენტი
ხორბალი	796	15%
სიმინდი	402	71%
კარტოფილი	286	102%
ბოსტნეული	286	59%
ყურძენი	427	152%
ხორცი	157,7	52%
მსხ. პირუტყვი რქოსანის ხორცი	30,5	77%
ღორის ხორცი	42,1	45%
ცხვრის და თხის ხორცი	9,9	295%
ფრინველის ხორცი	74,8	34%
რძე და რძის პროდუქტი	704	81%
კვერცხი	678	99%

წყარო: სსეს 2020: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური., საქართველოში ძირითადი სასურსათო პროდუქტებით თვითურუნველყოფის მაჩვენებლები 2020 წელს http://geostat.ge/?action=page&p_id=751&lang=geo მოძიებულია 12 მაისი 2021

მაშასადამე, აგრობიზნესის მოდელების განვითარება საქართველოსთვის კვლავ აქტუალურია ადგილობრივი წარმოების ზრდისათვის (Kharaihvili 2017).


ანალიზი ცხადყოფს ერთ მნიშვნელოვან კანონზომიერებასაც- თვითურუნველყოფის კოეფიციენტები ძირითადად იმეორებს ადგილობრივი წარმოების ცვლილების ტენდენციას. ადგილობრივი წარმოების ზრდის შემთხვევაში თვითურუნველყოფის კოეფიციენტიც იზრდება და პირიქით. თუმცა, არსებობს გამონაკლისებიც, როდესაც თვითურუნველყოფის კოეფიციენტზე ადგილობრივ

წარმოებაზე მეტად სხვა ფაქტორი ახდენს გავლენას, ზოგჯერ დადებითს, ზოგჯერ უარყოფითს. აღნიშნული ძირითადად დამოკიდებულია ექსპორტ-იმპორტის მაჩვენებლების ცვლილებაზე. ფანტასტიკურად წარმოუდგენელმა ზრდამ (წინა წელთან შედარებით გაიზარდა 25-ჯერ). მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ 2015 წელს ყურძნის ადგილობრივი წარმოება 30%-ით გაიზარდა წინა წელთან შედარებით, თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი შემცირდა 44%-ით. აღნიშნული ცვლილება გამოიწვია ექსპორტის 41%-ით შემცირებამ წინა წელთან შედარებით (იმპორტის უცვლელლობის პირობებში ადგილობრივი წარმოების ზრდამ ვერ გადაფარა ექსპორტის შემცირებით გამოწვეული უარყოფითი ეფექტი). იგივე პროცესები წარიმართა ზოგიერთი სხვა პროდუქტის მიმართაც.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ნათელია, რომ სურსათით თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლებისა და აგრობიზნესის მოდელების შემუშავებისას გასათვალისწინებელია არსებული და პოტენციური ექსპორტ-იმპორტის სტრუქტურაც.

საქართველოში აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტ-იმპორტის სტრუქტურა ბოლო პერიოდში აჩვენებს, რომ ქართული აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტის მოცულობა უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც გაზრდილია, კერძოდ, 2020 წლის მონაცემებით საქართველოდან ექსპორტირებულია 942.2 მლნ აშშ დოლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქცია, რაც 6.0%-ით აღემატება 2019 წლის მაჩვენებელს. ამ პერიოდში ძირითადი საექსპორტო ბაზრებია რუსეთი, ევროკავშირის ქვეყნები, აზერბაიჯანი, უკრაინა, სომხეთი, ყაზახეთი და ბელარუსი (იხ დიაგრამა 1.2.5).


დიაგრამა 1.2.5 ექსპორტის ღირებულების განაწილება ქვეყნების მიხედვით, 2020 წელს



წყარო: სსსს 2020: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური., ექსპორტის ღირებულების განაწილება ქვეყნების მიხედვით, 2020 წელს <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/637/eksporti> მოძიებულია 12 მაისი 2021

აღსანიშნავია, რომ პანდემიის პერიოდში ექსპორტის განაწილებას ქვეყნების მიხედვით არსებითი ცვლილება არ განუცდია (იხ. დიაგრამა 1.2.6).

დიაგრამა 1.2.6 ექსპორტის ღირებულების ცვლილება 2019-2020 წლებში ძირითადი ქვეყნების მიხედვით, მლნ აშშ დოლარი



წყარო: სსსს 2020: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური., ექსპორტის ღირებულების ცვლილება 2019- 2020 წელს <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/637/eksporti> მოძიებულია 12 მაისი 2021

ქართული აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტის მოცულობა ევროკავშირის ქვეყნებში 26%-ით გაიზარდა, რაც ძირითადად თხილის ექსპორტის


მატებამ გამოიწვია. ევროკავშირის ქვეყნებში, ასევე, გაიზარდა ღვინისა (19%-ით) და სპირტიანი სასმელების (16%-ით) ექსპორტის მოცულობაც.

ქვეყნების მიხედვით ქართული აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტის დინამიკის თვალსაზრისით პანდემიის პერიოდში რიგი დადებითი და უარყოფითი ტენდენციები შეინიშნება (იხ, დიაგრამა 1.2.7).

აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტის ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა როგორც ნეგატიური, ასევე, პოზიტიური შედეგები, კერძოდ ზოგიერთი პროდუქტის ექსპორტის მოცულობა შემცირდა რიგ ქვეყნებში (ირანში (82%-ით, რუსეთში 3%-ით, ჩინეთში 26%-ით). რუსეთში ექსპორტის შემცირება გამოიწვია მინერალური და მტკნარი წყლების, ასევე, ღვინის, ხოლო ირანში ცხვრის ხორცის, ჩინეთში კი ღვინის ექსპორტის შემცირებამ.

ქართული აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტის ღირებულების მაჩვენებელი გაიზარდა გერმანიაში (66%), თურქეთში (91%), აზერბაიჯანში (14%), საუდის არაბეთში (2.5-ჯერ), იტალიასა (40%) და საფრანგეთში (27%). თურქეთში ექსპორტის მაჩვენებლის ზრდა თევზის ცხიმისა და თევზის ფქვილის, ხოლო გერმანიაში თხილის ექსპორტის ზრდით არის განპირობებული.

დიაგრამა 1.2.7 ქართული აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტის დინამიკა ქვეყნების მიხედვით 2019-2020 წლებში, მლნ აშშ დოლარი




წყარო: სსეს 2020: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური., ქართული აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტის დინამიკა ქვეყნების მიხედვით 2019-2020 წლებში, <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/637/eksporti> მოძიებულია 12 მაისი 2021

აზერბაიჯანში ექსპორტის ზრდა ძირითადად გამოიწვია გაყინული ხორცისა და კარაქის ექსპორტის ზრდამ, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ორივე პროდუქტის შემთხვევაში რეექსპორტი მიმდინარეობდა. ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ 2019-2020 წლებში 37%-ით გაიზარდა ცოცხალი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ექსპორტი (სსეს 2020).

პროდუქტების მიხედვით ძირითად საექსპორტო პროდუქტებია: ყურძნის ნატურალური ღვინოები, სპირტიანი სასმელები, მინერალური და მტკნარი წყლები, თხილი, გაზიანი სასმელები და სიგარეტი (იხ. დიაგრამა 1.2.8).

დიაგრამა 1.2.8 ექსპორტის ღირებულება ძირითადი პროდუქტების მიხედვით, 2020 წელს




წყარო: სსეს 2020: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური., ექსპორტის ღირებულება ძირითადი პროდუქტების მიხედვით, 2020 წელს

<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/637/eksporti> მოძიებულია 18 თებერვალი 2021

პანდემიის პერიოდში 2019-2020 წლებში ძირითადი პროდუქტების ექსპორტის მაჩვენებლები ცვალებადია (იხ. დიაგრამა 1.2.9).

დიაგრამა 1.2.9. ქართული აგოსასურსათო ძირითადი პროდუქტების ექსპორტი, მლნ აშშ დოლარი



წყარო: სსეს 2020: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური., ქართული აგოსასურსათო ძირითადი პროდუქტების ექსპორტი, მლნ აშშ დოლარი

<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/637/eksporti> მოძიებულია 18 თებერვალი 2021

2019-2020 წლებში აგოსასურსათო პროდუქტების ექსპორტი 9.7%-ით გაიზარდა. 2020 წელს 2019 წელთან შედარებით მ

ნიშვნელოვანი ზრდა გამოვლინდა თხილის (41%), თევზის ქონის (3.4-ჯერ), ატმისა და ვაშლატამას (87%), თევზის ფქვილის და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის (2.1-ჯერ), გაყინული ხორცის (3.9-ჯერ) გარდა დასახელებული პროდუქტებისა, ასევე,


მნიშვნელოვანია სხვა პროდუქტების ექსპორტის ზრდაც, კერძოდ გაიზარდა ხურმისა (35%-ით) და მოცვის (4-ჯერ) ექსპორტი.

ამავე პერიოდში შემცირებულია სიგარეტის (46%-ით, ძირითადად რეექსპორტი), მინერალური და მტკნარი წყლების(13%-ით), ცხვრის ხორცის (93%-ით) და ღვინის ექსპორტში (6%-ით).

2019-2020 წლებში იმპორტირებულია 3.5%-ით ნაკლები აგროსასურსათო პროდუქცია. მნიშვნელოვნად გაიზარდა კოპტონის (70%-ით), ეთილის სპირტის (86%-ით), მზესუმზირის ზეთის (20%-ით), სიმინდის (31%-ით), მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის გაყინული ხორცის (36%-ით, რეექსპორტის მიზნით) იმპორტი. მნიშვნელოვნად შემცირდა სიგარეტის, შოკოლადის ნაწარმის, თამბაქოს შემცველების და სპირტიანი სასმელების იმპორტი, შესაბამისად, 15%-ით, 19%-ით, 51%-ითა და 25%-ით.

მონაცემების ანალიზი ნათლად აჩვენებს, რომ აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტ-იმპორტის ბალანსის უარყოფითი სალდო კვლავ შენარჩუნებულია (იხ. დიაგრამა 1.2.10)

დიაგრამა 1.2.10. აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტ-იმპორტის ბალანსი 2019-2020 წლებში, მლნ აშშ დოლარი



წყარო: სსეს 2020: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური., სურსათის ექსპორტი და იმპორტი http://geostat.ge/?action=page&p_id=751&lang=geo მოძიებულია 18 თებერვალი 2021

სასურსათო უსაფრთხოებასა და სურსათით თვითუზრუნველყოფის სტაბილურობაზე დიდ გავლენას ახდენს სურსათზე ფასები. მონაცემების ანალიზმა გვიჩვენა, რომ 2020 წლის აპრილში 2019 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ხილი 45%-ით, რძის ნაწარმი 23%-ით, ხორც-პროდუქტები 15%-ით, პურპროდუქტები კი 8.4%-ით გაძვირდა, წლიური ინფლაციის დონემ კი 6.9% შეადგინა (ინფლაცია 2020).

ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა მოახდინა ფასების ცვლილებამ სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე. ფასები ამ პროდუქტებზე 16.1%-ით გაიზარდა. ფასები, ასევე, გაზრდილია შემდეგ ქვეჯგუფებზე: ხილი და ყურძენი 45.4%-ით, რძეზე, ყველსა და კვერცხზე (23.2%-ით, შაქარზე, ჯემსა და სხვა ტკბილეულებზე 16.9%-ით, ხორცსა და ხორცის პროდუქტებზე 15%-ით, თევზებზე 14.9%-ით, ბოსტნეულსა და ბაღჩეულზე 14.1%-ით, ზეთსა და ცხიმზე 11.0%-ით, მინერალურ და წყაროს წყალზე, უალკოჰოლო სასმელებსა და ნატურალურ წვენებზე 10%-ით, ყავაზე, ჩაისა და კაკაოზე 10%-ით, პურსა და პურპროდუქტებზე 8.4%-ით (სსეს 2020).

FAO-ს სურსათის ფასების ინდექსის ანალიზით სამომხმარებლო კალათის 5 ძირითად პროდუქტზე (რძე, მარცვლეული, მცენარეული ზეთი, შაქარი, ხორცი) დადგინდა, რომ ეს მაჩვენებელი ბოლო რამდენიმე თვე უწყვეტად იზრდებოდა, რის შედეგადაც ფასების ინდექსმა ბოლო 5 წლის მანძილზე ყველაზე მაღალი ნიშნულს მიაღწია.

ფასების ზრდის ერთ-ერთ მთავარ პირობად მცენარეულ ზეთზე გაზრდილი ფასი დასახელდა, რამაც ნოემბრის თვესთან შედარებით დეკემბერში, ფასების 2.5%-ზე გაზრდა გამოიწვია. 2020 წლის მანძილზე FAO-ს საშუალო ფასების ინდექსი, 171.5 ქულაზე მაღლა არ ასულა, რითაც წინა, 2019 წლის მაჩვენებელს, მხოლოდ 1.8%-ით აღემატა, თუმცა, 2011 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ფასების ინდექსი 2020-ში 25%-ით დაბალი რჩებოდა. მცენარეულ ზეთზე, ფასების ზრდის მთავარ მიზეზებად მცენარეულ ზეთზე მოთხოვნის ზრდა მიიჩნევა ტექნიკურ საწარმოო პროცესებში. მნიშვნელოვნადაა შემცირებული, სოიოს, მზესუმზირის და სხვა მცენარეული ზეთის მარაგებიც, რომელთა ნიშნულმა 2020-ში, ყველაზე დაბალ ზღვარს მიაღწიეს 2007 წლის შემდეგ პერიოდში. FAO-ს ხორცის ფასების ინდექსი დეკემბერში მეტ-ნაკლები სტაბილურობით გამოირჩეოდა და 191.6 ქულა შეადგინა. ნოემბრის თვესთან შედარებით იგი თითქმის არ შეცვლილია, თუმცა, 2018 წლის დეკემბრის თვის ნიშნულს 18%-ით მეტია. FAO-ს მონაცემებით 1.4%-ით გაიზარდა მარცვლეულის ფასებიც, ზრდის მიზეზი, ჩინეთში ხორბლის ფქვილზე გაჩენილი მოთხოვნა და მთავარი მიმწოდებლის, საფრანგეთის მხრიდან მიწოდების შეფერხებით იყო განპირობებული. საფრანგეთში შეფერხება საპროტესტო დემონსტრაციებსა და

გაფიცვებს უკავშირდება. ხორბლის ფქვილისგან განსხვავებით უცვლელია სიმინდის ფქვილის ფასი.

3.3%-ითაა გაზრდილი რძისა და რძის პროდუქტების ფასების ინდექსი, რაც ყველზე გაზრდილი მოთხოვნითა და ევროკავშირისა და ოკეანის ქვეყნებიდან მწირი მიწოდებით აიხსნება (სფი 2020).

საქართველოში ბოლო წლების მონაცემებით სურსათზე ფასების ინდექსის შესახებ წარმოდგენას იძლევა ცხრილი 1.2.5.


ცხრილი 1.2.5 სამომხმარებლო ფასების ინდექსი საქართველოში

	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020
საშუალო წლიური წინა წლის საშუალო წლიურთან	99.1	99.5	103.1	104	102.1	106	102.6	104.9	105.2
დეკემბრის წინა წლის დეკემბერთან	98.1	102.4	102	104.9	101.8	106.7	101.5	107	102.4

წყარო: სსეს 2020: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური., სამომხმარებლო ფასების ინდექსი <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/26/samomkhmareblo-fasebis-indeksi-inflatsia> მოძიებულია 18 თებერვალი 2021

სამომხმარებლო ფასების ინდექსის შედარებამ 2010 წლის დონესთან შედარებით აჩვენა, რომ აღნიშნული მაჩვენებელი იზრდება, განსაკუთრებული ზრდა კი ბოლო წლებშია დაფიქსირებული (იხ. დიაგრამა 1.2.11).

დიაგრამა 1.2.11. სამომხმარებლო ფასების ინდექსი 2010 წლის საშუალოსთან შედარებით




წყარო: სსეს 2020: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური., სამომხმარებლო ფასების ინდექსი 2010 წლის საშუალოსთან შედარებით <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/26/samomkhmareblo-fasebis-indeksi-inflatsia> მოძიებულია 15 მარტი, 2021

თუ გავითვალისწინებთ, რომ ასევე, მაღალია შინამეურნეობების სასურსათო ხარჯების წილი მთლიან სამომხმარებლო ხარჯებში (ეს მაჩვენებელი საშუალოდ 41,7%-ს შეადგენს) (სხწმსხ 2020). ნათელია, რომ ქვეყანა სასურსათო გამოწვევების წინაშეა.

სასურსათო უსაფრთხოებაზე საკმაოდ უარყოფით გავლენას ახდენს ინფლაციის მაღალი დონეც (იხ. დიაგრამა 1.2.12).

დიაგრამა 1.2.12 ყოველთვიური ინფლაციის დონე, %



წყარო: სსეს 2020: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური., ყოველთვიური ინფლაცია <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/26/samomkhmareblo-fasebis-indeksi-inflatsia> მოძიებულია 22 მაისი 2021

სურსათზე ფასების მუდმივი ზრდისა და ზოგადად ინფლაციის პირობებში გასათვალისწინებელია სამომხმარებლო კალათის წონები (იხ. ცხრილი 1.2.6)

ცხრილი 1.1.6 სამომხმარებლო კალათის წონები, %

N	ჯგუფის/ქვეჯგუფის დასახელება	წელი								
		2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020
	სულ	100%	100%	100%	100%	100%	100%	100%	100%	100%
1	სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	30,32%	30,69%	30,25%	30,74%	31,10%	30,09%	30,29%	30,76%	31,27%
2	სურსათი	27,45%	28,01%	27,37%	27,95%	27,83%	26,92%	26,86%	27,27%	28,03%
3	უალკოჰოლო სასმელები	2,87%	2,68%	2,88%	2,79%	3,27%	3,17%	3,42%	3,49%	3,24%
4	ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო	5,50%	5,36%	5,08%	5,19%	6,02%	6,39%	6,72%	6,61%	6,39%
5	ალკოჰოლური სასმელები	2,16%	2,64%	2,19%	2,03%	3,18%	3,50%	3,43%	3,61%	3,54%
6	თამბაქოს ნაწარმი	3,33%	2,71%	2,89%	2,93%	2,84%	2,90%	3,29%	3,01%	2,85%
7	ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	2,65%	2,58%	2,87%	2,86%	3,13%	3,35%	3,56%	3,72%	3,92%
8	ტანსაცმელი	1,79%	1,75%	2,01%	1,98%	2,23%	2,27%	2,42%	2,49%	2,40%
9	ფეხსაცმელი	0,86%	0,82%	0,86%	0,87%	0,90%	1,08%	1,15%	1,22%	1,51%
10	საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელ.ენერჯი, აირი	8,23%	8,78%	8,38%	8,48%	8,24%	8,38%	8,49%	8,77%	9,04%

11	ფაქტიური გადასახადი საცხოვრებელზე	0,90%	1,07%	1,11%	1,15%	1,19%	1,15%	1,06%	1,14%	1,56%
12	საცხოვრების მიმდინარე მოვლა და შეკეთება	0,93%	0,78%	0,87%	0,85%	0,98%	0,91%	0,96%	1,12%	1,18%
13	წყალმომარაგება და საცხოვრებელთან დაკავშირებული ხვა ხარჯები	1,03%	1,50%	0,94%	1,36%	1,12%	0,99%	0,98%	0,95%	1,00%
14	ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა მასალები	5,38%	5,43%	5,46%	5,12%	4,95%	5,33%	5,49%	5,56%	5,29%
15	ავეჯი, საოჯახო ნივთები და მორთულობა	5,07%	4,80%	6,21%	6,43%	6,40%	6,56%	6,35%	6,45%	5,94%
16	ავეჯი, საოჯახო ნივთები, ხალიცები და სხვა იატაკის საფარი	0,34%	0,34%	0,56%	0,91%	0,82%	0,80%	0,70%	0,82%	0,70%
17	საოჯახო საფეიქრო ნაწარმი	0,09%	0,10%	0,13%	0,12%	0,14%	0,16%	0,14%	0,12%	0,13%
18	გამათბობელი და საჭმლის მოსამზადებელი მოწყობილობა	1,99%	1,81%	2,57%	2,29%	2,32%	2,52%	2,36%	2,13%	1,71%
19	მინი ჭურჭელი, მაგიდის და საოჯახო ჭურჭელი	0,70%	0,68%	0,73%	0,72%	0,80%	0,73%	0,70%	0,71%	0,82%
20	ინსტრუმენტები, მოწყობილობა და ტექნიკა სახლისა და ბაღი	0,07%	0,02%	0,04%	0,04%	0,07%	0,08%	0,07%	0,07%	0,05%
21	ყოველდღიური საყოფაცხოვრებო საჭიროების საქონელი	1,88%	1,85%	2,18%	2,35%	2,26%	2,26%	2,38%	2,55%	2,54%
22	ჯანმრთელობის დაცვა	7,54%	9,04%	10,09%	9,46%	9,81%	8,42%	8,61%	8,02%	8,84%
23	სამედიცინო პროდუქცია, აპარატურა და მოწყობილობა	2,87%	3,45%	2,38%	2,49%	2,60%	2,84%	3,01%	3,19%	3,42%
24	ამბულატორიული სამედიცინო მომსახურება	2,44%	2,48%	4,00%	3,85%	3,49%	2,80%	2,85%	2,30%	2,19%
25	საავადმყოფოების მომსახურება	2,23%	3,11%	3,71%	3,11%	3,72%	2,78%	2,75%	2,53%	2,22%
26	ტრანსპორტი	12,76%	12,74%	11,82%	11,80%	12,10%	13,12%	12,60%	12,14%	12,06%
27	სატრანსპორტო სამუალებების შექმნა	0,96%	0,87%	0,86%	0,74%	0,73%	0,96%	0,88%	0,89%	0,89%
28	პირადი სატრანსპორტო სამუალებების ექსპლუატაცია	7,98%	8,52%	7,75%	7,89%	7,85%	8,46%	8,21%	7,94%	7,85%
29	სატრანსპორტო მომსახურება	3,82%	3,35%	3,21%	3,17%	3,53%	3,69%	3,50%	3,30%	3,32%
30	კავშირგაბმულობა	5,60%	4,09%	3,61%	3,61%	3,24%	3,69%	3,90%	3,58%	3,81%
31	სატელეფონო და სატელეფაქსო მოწყობილობები	0,02%	0,04%	0,04%	0,89%	0,03%	0,69%	0,83%	0,70%	0,82%
32	სატელეფონო, სატელეგრაფო და სატელეფაქსო მომსახურებები	5,57%	4,05%	3,57%	2,72%	3,21%	3,00%	3,07%	2,88%	2,99%
33	დასვენება, გართობა და კულტურა	6,82%	6,73%	6,56%	7,11%	6,15%	6,36%	5,77%	5,65%	3,82%
34	აუდიო ვიზიალური, ფოტოგრაფიული და მონაცემთა დამუშავება	0,86%	0,84%	0,72%	0,78%	1,19%	1,22%	1,24%	0,66%	0,51%
35	დასვენება, გართობისა და კულტურის ხანგრძლივი მომსახურება	0,23%	0,02%	0,01%	0,04%	0,04%	0,02%	0,01%
36	დასვენებისა და გართობის აუცილებელი სხვა მოწყობილობა	0,67%	0,14%	0,21%	0,24%	0,11%	0,53%	0,48%	0,28%	0,36%
37	გასართობი და კულტურული მომსახურება	3,25%	4,20%	4,55%	4,31%	2,99%	2,63%	2,91%	0,83%	0,88%
38	წიგნები, გაზეთები და საკანცელარიო ნივთები	2,04%	1,55%	0,84%	1,76%	1,86%	1,93%	1,81%	0,92%	0,97%
39	ტურისტული მოგზაურობა	2,94%	1,08%
40	განათლება	6,07%	4,87%	5,42%	5,03%	4,98%	4,70%	4,61%	5,00%	5,00%

41	სკოლამდელი და დაწყებითი განათლება	0,29%	0,34%	0,34%	0,34%	0,33%	0,30%	0,32%	0,38%	0,32%
42	საშუალო განათლება	1,73%	2,04%	0,34%	2,21%	2,14%	2,01%	2,09%	2,20%	2,23%
43	უმაღლესი განათლება	3,84%	2,42%	2,67%	2,43%	2,35%	2,33%	2,15%	2,36%	2,40%
44	დონით განუსაზღვრელი განათლება	0,21%	0,07%	0,07%	0,06%	0,15%	0,06%	0,06%	0,06%	0,06%
45	სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	4,40%	5,23%	4,96%	4,80%	4,01%	4,06%	4,04%	4,03%	5,40%
46	საზოგადოებრივი კვება	4,16%	4,90%	4,64%	4,42%	3,60%	3,69%	3,65%	3,66%	4,87%
47	ლამის გაათვის მომსახურება	0,25%	0,32%	0,32%	0,37%	0,41%	0,37%	0,39%	0,37%	0,53%
48	სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	5,04%	5,09%	4,74%	4,50%	4,80%	4,88%	5,07%	5,28%	5,50%
49	პირადი ჰიგიენა	2,10%	2,07%	1,68%	1,66%	1,70%	1,76%	2,01%	2,11%	2,15%
50	პირადი ნივთები, სხვა კატეგორიებში ჩაუთვლელი	0,63%	0,65%	0,73%	0,72%	0,67%	0,68%	0,65%	0,71%	0,64%
51	დაზღვევა	0,82%	0,73%	0,86%	0,56%	0,58%	0,51%	0,51%	0,51%	0,55%
52	საფინანსო მომსახურება	0,79%	0,96%	0,83%	0,84%	1,22%	1,38%	1,37%	1,40%	1,50%
53	სხვა სახის მომსახურება	0,70%	0,69%	0,64%	0,73%	0,64%	0,55%	0,52%	0,55%	0,66%

წყარო: სსეს 2020: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური., სამომხმარებლო კალათის წონები <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/26/samomkhmareblo-fasebis-indeksi-inflatsia> მოძიებულია 22 მაისი 2021

როგორც ცხრილიდან ჩანს, სამომხმარებლო კალათაში სურსათის წილი საკმაოდ მაღალია და იგი 2020 წლის მონაცემებით 31,27%-ს შეადგენს. ფაქტიურად ასეთი მაღალი წილი წლების განმავლობაშია შენარჩუნებული, მაგალითად თუ 2012 წელს სურსათის წილი 30,32% იყო, მომდევნო წლებში თითქმის უცვლელია და 2020 წელს სამომხმარებლო კალათაში მისი წილი დაახლოებით 1%-ით გაიზარდა.

სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი საკითხია და ნებისმიერი ბიზნეს მოდელის, მათ შორის განსაკუთრებით აგრობიზნესის მოდელის აგების საფუძველთა საფუძველი უნდა იყოს. მით უმეტეს, რომ ეროვნულ დონეზე სასურსათო უსაფრთხოება განიხილება როგორც თანმიმდევრული პროგრამების ერთობლიობა, რომლის მთავარი მიზანია ქვეყნის მოსახლეობის ჯანსაღი და უვნებელი სურსათით სტაბილური მომარაგება. სასურსათო უსაფრთხოება სამ ასპექტს მოიცავს: რაოდენობრივს, ხარისხობრივს და სოციალურ-ეკონომიკურს, შესაბამისად, მისი შეფასება ამ ასპექტების ჩარჩოებში უნდა განხორციელდეს (**ახალაძე...2020**).

რაოდენობრივი ასპექტი ორიენტირებულია სურსათის საკმარისი რაოდენობით უზრუნველყოფაზე, ხარისხობრივი ნიშნავს მოსახლეობის უსაფრთხო და ხარისხიანი სურსათით უზრუნველყოფას, ხოლო სოციალურ-ეკონომიკური გულისხმობს

მოსახლეობის შემოსავლების ზრდას იმ დონემდე, რომელიც რეალურად უზრუნველყოფს სურსათზე ხელმისაწვდომობას.

აგრობიზნეს მოდელების აგების დროს უნდა გავითვალისწინოთ კიდევ ერთი გარემოება - FAO-ს მიხედვით, სასურსათო უსაფრთხოება, რამდენიმე ძირითად მიმართულებას მოიცავს: 1. მოსახლეობის უზრუნველყოფა საკმარისი რაოდენობის სურსათით; 2. მოსახლეობის უზრუნველყოფა სრულფასოვანი, ბალანსირებული სურსათით; 3. მოსახლეობის უზრუნველყოფა უვნებელი სურსათით; 4. მოსახლეობის უზრუნველყოფა ხელმისაწვდომი სურსათით.

სურსათის მოხმარების სტაბილურობა და გარანტირებული სასურსათო უსაფრთხოება აღნიშნულ ოთხ ინდიკატორზეა დამყარებული (Bridge 2020). წინააღმდეგ შემთხვევაში საზოგადოება ან ქვეყანა სასურსათო უსაფრთხოების რისკის წინაშე დადგება და ვერ მიიღწევა მდგრადი სასურსათო უზრუნველყოფა (Kharaiashvili 2017).

მოსახლეობის საკმარისი რაოდენობის სურსათით უზრუნველყოფა შესაძლებელია, ერთი მხრივ, ადგილობრივი სასურსათო პროდუქციის წარმოებით, მეორე მხრივ, დეფიციტური აგროსასურსათო პროდუქციის იმპორტით (ჩხეიძე 2017). ამ პრობლემის გადაწყვეტის თვალსაზრისით საქართველოსთვის მთავარი გამოწვევაა ადგილობრივი წარმოების ზრდა და იმპორტის ჩანაცვლების განხორციელების პროცესში სახელმწიფო სტრუქტურების თანამონაწილეობის პროცესის დაწყება-განვითარება. ამასთან არანაკლებ მნიშვნელოვანია მოსახლეობის უზრუნველყოფა ბალანსირებული, სრულფასოვანი სურსათით, ფიზიოლოგიური ნორმების შესაბამისად. გლობალიზაციის პროცესში განსაკუთრებული სიმწვავეთ დგას მოსახლეობისათვის უვნებელი სურსათით უზრუნველყოფის საკითხი. აღნიშნული პრობლემა მტკივნეულია და გადასაწყვეტია საქართველოშიც, რადგანაც სავაჭრო ქსელი ხშირად გაჯერებულია გაურკვეველი წარმოებისა და ხარისხის პროდუქტებით, სათანადოდ არ არის განვითარებული მონიტორინგისა და სასურსათო უვნებლობის სამსახურები, ასევე, მოსაწესრიგებელია შესაბამისი საკანონმდებლო ბაზაც.

ხელმისაწვდომი სურსათით უზრუნველყოფა გულისხმობს მოსახლეობისათვის აგროსასურსათო პროდუქტებზე ფიზიკური და მატერიალური წვდომის შესაძლებლობების შექმნას.

ზემოთ დასახელებული ფაქტორების ანალიზით დადასტურებულია, რომ საქართველოში სასურსათო უსაფრთხოების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი პრობლემებია და ოთხივე კომპონენტი დარღვეულია (ჩხეიძე 2017).

ბოლო წლების მონაცემების შესწავლით მხოლოდ ზოგიერთ კომპონენტში აღინიშნება უმნიშვნელო ცვლილებები, კერძოდ: აგროსასურსათო პროდუქტებით თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლები მცირედით არის გაუმჯობესებული; მოსახლეობა კვლავ არ არის უზრუნველყოფილი ბალანსირებული სურსათით; მხოლოდ ნაწილობრივ მოწესრიგდა სურსათის უვნებლობის პრობლემები; მცირედ გაუმჯობესდა მოსახლეობის სურსათზე ფიზიკური და მატერიალური წვდომა.

სასურსათო უსაფრთხოების მეორე კომპონენტი - მოსახლეობის უზრუნველყოფა სრულფასოვანი, ბალანსირებული სურსათით - როგორც ზემოთ აღინიშნა, უხეშად არის დარღვეული. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით მოსახლეობის უმეტესობა კვლავ სიღარიბეში ცხოვრობს და ასეთ პირობებში ვერ ახერხებს ფიზიოლოგიური ნორმების შესაბამისად საკვების შეძენას და მოხმარებას. ცხოვრების დონის ანალიზით ირკვევა, რომ მოსახლეობის 80% ღარიბ-ღატაკია და მათი 35% შიმშილობს (სსეს 2020).

მესამე კომპონენტის მიხედვით (მოსახლეობის უზრუნველყოფას უვნებელი სურსათით) პრობლემები ძირითადად ორი მიმართულებით არის გამოვლენილი: ჯერ ერთი, საქართველოში განუვითარებელი სურსათის უვნებლობისა და ხარისხის მონიტორინგის გამო შემოდის ფალსიფიცირებული გაურკვეველი წარმოებისა და დაბინძურებული სურსათი, მეორე მხრივ, დაბალი ღირებულების იმპორტულ პროდუქციას კონკურენციას ვერ უწევს შედარებით მაღალხარისხიანი ადგილობრივი წარმოების პროდუქციას.

მეოთხე კომპონენტის თვალსაზრისითაც (მოსახლეობის უზრუნველყოფა ხელმისაწვდომი სურსათით) საქართველოში არასახარბიელო მდგომარეობაა. მძიმე სოციალური პირობების გამო მოსახლეობა ჯერ კიდევ ვერ ახერხებს მისთვის საჭირო რაოდენობის სურსათის შეძენას.

ამრიგად, სასურსათო უსაფრთხოების ოთხივე კომპონენტის ანალიზით ირკვევა, რომ აგროსასურსათო სექტორის განვითარება სასიცოცხლოდ აუცილებელია ქვეყნისათვის არა მარტო ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური დამოუკიდებლობის

შენარჩუნების თვალსაზრისითაც. მით უმეტეს, რომ ექსპერტთა შეფასებით ქვეყანას რესურსების ეფექტიანად გამოყენებით შეუძლია ისეთი რაოდენობის სურსათის წარმოება, რომელიც ქვეყანაში სასურსათო უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს. პრობლემის აქტუალურობის გამო, სურსათით თვითუზრუნველყოფისა და სასურსათო უსაფრთხოების პრობლემების კვლევას მეცნიერები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ.

სხვადასხვა მკვლევარების მიერ შედგენილიც კი არის სოფლის მეურნეობის განვითარების ონციფცია ქვეყნის ბუნებრივ-კლიმატური შესაძლებლობების შესაბამისად. პოტენციალი იმდენად მაღალია, რომ

ქვეყნას შეუძლია აგროსასურსათო პროდუქციის წარმოების მხრივ თვითმყოფადი ქვეყანა იყოს, მოხდეს იმპორტის ჩანაცვლება ადგილობრივი პროდუქტებით და აგრობიზნესის განვითარება ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი კომპონენტი გახდეს (**Kharaisvili...2015**). თუმცა, მონაცემებმა გვიჩვენა, რომ დღეისათვის ადგილობრივმა წარმოებამ ვერ უზრუნველყო იმპორტის ჩანაცვლება, კვლავ დაბალია მწარმოებლურობა და სასურსათო პროდუქტებით მოსახლეობის თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლები, ქვეყანა კვლავ სასურსათო გამოწვევების წინაშე დგას. დასახელებული პრობლემების გადასაჭრელად მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ეფექტიანი აგრობიზნესის მოდელების შემუშავება და დანერგვა.

თუმცა სახელმწიფომ საწყის ეტაპზე პროტექციონისტური პოლიტიკაც უნდა გაატაროს. სხვა შემთხვევაში სოფლის მეურნეობაში, როგორც სარისკო სფერო საკაბანკო სისტემა ფულად სახსრებ არ აბანდებენ, საუკეთესო შემთხვევაში მაღალია საბანკო პროცენტები. სოფლად მომუშავე ფერმერებს, მეწარმეებს და სოფლის მეურნეობით დაკავებულ და დაინტერესებულ ადამიანებს ამის ფინანსური შესაძლებლობა აქ აქვს და ასეთ პირობებში უახლოეს პერსპექტივაშიც ვერ ექნება. განვითარებულ ქვეყნებში ეს პრობლემა მხოლოდ ამ გზით მოგვარდა. სტრატეგიული სასურსათო პროდუქტების (მარცვლეული, ხორცი, რძე და რძის პროდუქტები) წარმოების მხრივ ა.შ.შ, კანადა და მსოფლიოს ბევრი სხვა ქვეყნებიც დღესაც საქმიანად არიან ჩართული მეწარმეთა საქმიანობაში. ჩვენისთანა მცირემიწიანი ქვეყნისთვის ამგვარი მიდგომა კიდევ უფრო მნიშვნელოვანია.

თავი II

აგრობიზნესის განვითარების ტენდენციები და თანამედროვე გამოწვევები

2.1 აგრობიზნესის განვითარების კანონზომიერებები და ტენდენციები

აგრობიზნესის განვითარება მნიშვნელოვანია არამარტო სოფლად მცხოვრები მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის, არამედ დიდია მისი როლი და სოფელსა და ქალაქს შორის დღეს არსებული ეკონომიკური უთანაბრობის შესამცირებლად. ეფექტიანი, კონკურენტუნარიანი და მდგრადი აგროსასურსათო სექტორის განვითარება შეუძლებელია აგრობიზნესის კონცეპტუალური საკითხების შესწავლისა და გადაწყვეტილების გარეშე.

ტერმინი „აგრობიზნესი“ პირველად ჰარვარდში იქნა გამოყენებული, 1955 წელს, ხოლო მომდევნო 1956 და 1957 წლების ნაშრომებში „სოფლის მეურნეობიდან აგრობიზნესამდე“ (ჯონ დევისი) (NEVES 2014:21). და „აგრობიზნესის კონცეფცია“ (რეი გოლბერგი, ჯონ დევისი) (GOLBERG 2001). აგრობიზნესის ტერმინმა ახალი ფუნქცია შეიძინა და ჩამოყალიბდა აგრობიზნესის შესახებ სრულიად ახალი ხედვები და პარადიგმები სოფლის მეურნეობის, როგორც აგრობიზნესის თვალსაზრისით განხილვის შესახებ. კლასიკური განმარტებების მიხედვით აგრობიზნესის კონცეფცია რამდენიმე მთავარ მიმართულებას აერთიანებს: სოფლის მეურნეობისა და სურსათის მწარმოებელი დარგებისათვის საწარმოო საშუალებების მიწოდება (სპეციალიზირებული საინჟინრო, ქიმიის, ენერგეტიკისა და სხვა); პირველადი სასოფლო-სამეურნეო წარმოება, სურსათის წარმოება, სოფლის მეურნეობისა და სურსათის მწარმოებელი დარგების მომსახურება (მიწოდება, შექმნა, მოვლა, გამოყენებითი კვლევა, გაუმჯობესება და სათესლე მასალების წარმოება, მეცხოველეობა, განათლება, კონსულტაციები და ა.შ.), სურსათის წარმოება და სხვა გადამამუშავებელი დარგები, სურსათით ვაჭრობა და საზოგადოებრივი კვება (Marcos 2014:21).

გლობალიზაციის პირობებში გაძლიერდა წარმოებაზე გენეტიკური და ბიოლოგიური კვლევების გავლენა. შესაბამისად, აღნიშნული პროცესიც აისახა

აგრობიზნესის კონცეფციაში. არანაკლებ მნიშვნელოვანია აგრობიზნესის კონცეპტუალური საკითხების მიმოხილვისას საოჯახო ბიზნესის განვითარების ახალი შესაძლებლობის განხილვაც.

აგრობიზნესის ნებისმიერი კონცეპტუალური საკითხის განხილვის საფუძველზე, საბოლოოდ აგრობიზნესის სფეროში სამი მთავარი მიმართულება უნდა გამოვყოთ: 1. დარგები, რომლებიც უზრუნველყოფენ სოფლის მეურნეობისათვის საწარმოო საშუალებებისა და შესაბამისი მომსახურების მიწოდებას; 2. საკუთრივ სოფლის მეურნეობა; 3. დარგები და საწარმოები, რომლებიც ახდენენ პროდუქციის გადამუშავებას, დამზადებას, გაყიდვებს და აგროსასურსათო პროდუქტის მომხმარებლებამდე მიტანას.

ამასთან, აგრობიზნესში მრავალი სახეობის რესურსების გამოყენება ხდება, შესაბამისად აუცილებელია ამ რესურსების კლასიფიკაცია დასახელებული მიმართულებების მიხედვით გამოყენებისათვის, არამედ მისი კატეგორიებად დაყოფა. მეცნიერთა მიერ აგრობიზნესის სფეროში გამოყენებულ რესურსებს ძირითადად ხუთ კატეგორიად ყოფენ:: ა) ბუნებრივი რესურსები; ბ) ბიოლოგიური რესურსები; გ) შრომითი რესურსები; დ) წარმოების ძირითადი საშუალებები; ე) წარმოების საბრუნავი საშუალებები; ვ) საწარმოო პოტენციალი (**მახარაშვილი 2011:11**).

აგრობიზნესის სფეროში, ასევე, განიხილება სხვა მიდგომებიც მიმართულებების ფორმირების თვალსაზრისით. მაგალითად მკვლევარი გ. თეთრაძე ამ სფეროში გამოყოფს ოთხი მთავარ მიმართულებას: 1. სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება; 2. სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავება; 3. სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაცია; 4. სოფლის მეურნეობის მომსახურება (**თეთრაძე 2017**).

აგრობიზნესის განვითარების პოტენციალის მაქსიმალურად და მიზანმიმართულად გამოყენება ყველა ზემოთ განხილულ მიმართულებაში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკისთვის. შესაბამისად, აუცილებელია კონკურენტუნარიანი წარმოებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა მისი ნებისმიერი მიმართულებისათვის, რაც თავის მხრივ, ლოგიკურად უზრუნველყოფს სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფისა და ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების პრობლემების გადაჭრას.

აგრობიზნესის განვითარების მიმართულებები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიული დოკუმენტებს და ითვალისწინებდეს სამოქმედო გეგმების თავისებურებებს. სოფლის მეურნეობის დარგის სტრატეგიულ მიმართულებებად კვლავ აქტუალურად განიხილება: აგრარულ სექტორში დასაქმებულთა კონკურენტუნარიანობის ამაღლება; ინსტიტუციური განვითარება; მელიორაცია და ნიადაგის ნაყოფიერება; რეგიონული და დარგობრივი განვითარება - დამატებული ღირებულების შემქმნელი სრული ციკლის წარმოების განვითარების ხელშეწყობა; სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა; სურსათის უვნებლობა, ვეტერინარია და მცენარეთა დაცვა; კლიმატის ცვლილებები, გარემო და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება.

აგრობიზნესის სფეროში სტრატეგიის მიზანია, საბაზრო პრინციპებზე დაყრდნობით, ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო ღირებულებითი ჯაჭვის განვითარება. მიუხედავად იმისა, რომ ეს სფერო ძირითადად საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე დაყრდნობით უნდა ვითარდებოდეს, მიზანშეწონილია სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამების გამოყენებაც ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე. ამ პროცესის განხორციელება აუცილებელია სწრაფი მოდერნიზაციისა და პროდუქტიულობის ზრდის ხელშეწყობისათვის. აგრობიზნესის განვითარების კონცეფცია შესაბამისობაში უნდა იყოს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგიის მთავარ ამოცანებთან, რომელთაგან მნიშვნელოვანია:

- 1) მეწარმეთა, მათ შორის, ფერმერთა, კონკურენტუნარიანობის ამაღლება:
- ✓ სამეცნიერო-კვლევითი სადგურების და ექსტენციის ცენტრების დაარსება რეგიონებში;
- ✓ სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ რეესტრირებულ ფერმერთა რეესტრის შექმნა;
- ✓ მიწის ბაზრის განვითარება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწების პრივატიზების გზით და მიწის ბანკის შექმნა;
- ✓ სოფლის მეურნეობის სექტორში საკრედიტო, სალიზინგო და სადაზღვევო ბაზრის განვითარება;
- ✓ პირველადი წარმოებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის სექტორებში პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა.

ქ დარგის ინსტიტუციური განვითარება:

- ✓ სამინისტროს შესაბამისი კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტება, მათი გადამზადება და სტრუქტურული განვითარება;
- ✓ სოფლის მეურნეობის დარგში დასაქმებულ პირთა კვალიფიკაციის დონის ამაღლება;
- ✓ სოფლის მეურნეობის დარგში უმაღლესი განათლების ხარისხობრივი გაუმჯობესება;
- ✓ აგროსფეროში ფერმერებისა და აგრობიზნესში მომუშავე კადრების სამეწარმეო/ტექნიკური უნარ-ჩვევების განვითარება.

ქ რეგიონული და სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის განვითარება:

- ✓ საირიგაციო სამელიორაციო ინფრასტრუქტურის რეგისტრაცია, დამატებითი განვითარება, ასევე შესაბამისი საინფორმაციო სისტემის შექმნა;
- ✓ შესაბამის სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარებზე და სერვისცენტრებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;
- ✓ სოფლის მეურნეობის ინფრასტრუქტურის განვითარება სახელმწიფო და კერძო სექტორების ურთიერთ თანამშრომლობით;
- ✓ სოფლის ინფრასტრუქტურის (ელექტროენერჯია, წყალი, გაზი, გზები და სხვ.) განვითარება საერთაშორისო და ადგილობრივ სტრუქტურებთან თანამშრომლობით;

ქ სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა:

- ✓ სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით სამოქმედო გეგმის შემუშავება;
- ✓ სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინდიკატორების განსაზღვრა სამომხმარებლო კალათის გათვალისწინება (სტრატეგია 2019).

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგიის მთავარ ამოცანებში და მათი შესრულების პროცესში აუცილებელია რესურსების ეფექტიანად გამოყენების გზების დასახვაც. „აუცილებელია ქვეყანაში შექმნათ ისეთი მოდელი, რომელიც საშუალებას მოგვცემს შევამციროთ ბუნებრივ რესურსებზე ზეწოლა, შექმნათ უნარჩენო ტექნოლოგია და წავახალისოთ ცირკულარული

ეკონომიკის მოდელი. ერთიანი ძალისხმევით, ეს პროექტი წარმატებული იქნება” (პავლიაშვილი 2021). პროექტი „საქართველოს ეკონომიკის ცირკულარების შეფასება“, რომელიც შედეგით მთავრობის მიერ არის დაფინანსებული, მიზნად ისახავს, საქართველოს მთავრობასთან თანამშრომლობით, საქართველოსთვის ცირკულარული ეკონომიკის სტრატეგიისათვის რეკომენდაციების შემუშავებას, რაც, ცხადია, დააჩქარებს ქვეყანაში ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის პროცესს.

აგრობიზნესის კონცეპტუალური საკითხების სრულყოფილად გააზრება მოითხოვს მისი განვითარების კანონზომიერებებისა და ტენდენციების გაანალიზებას. აგრობიზნესის სფეროს ტენდენციების შესწავლამ ეროვნული ანგარიშების მიხედვით გვიჩვენა, რომ 2018 წლის მე-3 კვარტალში წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით აგრობიზნესის მთლიანი მოცულობა 185.9 მლნ ლარით (7.5%) გაიზარდა. აგრობიზნესის მთლიანი შემოსავლებიდან, პირველადი სოფლის მეურნეობის პროდუქციის წილი გაიზარდა 9.5%-ით, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავების შედეგად მიღებული მზა პროდუქციის წარმოება კი 6.1%-ით ამავე პერიოდში.


აგროსასურსათო სექტორში შექმნილი დამატებული ღირებულება მიმდინარე ფასებში 8.2%-ით არის გაზრდილი (მთლიანი შიდა პროდუქტი მიმდინარე ფასებში), კერძოდ, სოფლის მეურნეობის სექტორში შექმნილი დამატებული ღირებულება მიმდინარე ფასები გაიზარდა 9.1%-ით, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელ სექტორებში შექმნილი დამატებული ღირებულება 7.1%-ით. სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა; თევზჭერასა და მეთევზეობის სექტორში შექმნილი მთლიანი შიდა პროდუქტი მუდმივ ფასებში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით მშპ 17.5 მლნ ლარით არის გაზრდილი, რაც 3.8%-ს შეადგენს.

2018 წლის 3 კვარტალში ჯამურად, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით: აგრობიზნესის მთლიანი მოცულობა გაიზარდა 5.2%-ით. აქედან, პირველადი სოფლის მეურნეობის პროდუქციის ნაწარმი 151.1 მლნ ლარით, ხოლო სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავების შედეგად მიღებული პროდუქციის ოდენობა 186.1 მლნ ლარით. აგროსასურსათო სექტორში შექმნილი დამატებული ღირებულება მიმდინარე ფასებში 215.2 მლნ ლარით (6.3%) გაიზარდა (მთლიანი შიდა

პროდუქტი მიმდინარე ფასებში). კერძოდ, სოფლის მეურნეობის სექტორში შექმნილი დამატებული ღირებულება მიმდინარე ფასებში 79.9 მლნ ლარით (4.0%) გაიზარდა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელ სექტორებში შექმნილი დამატებული ღირებულება 135.3 მლნ ლარით (9.7%) გაიზარდა (სგდსმს 2021).

საქართველოში ბოლო წლებში აგრობიზნესის განვითარებაში ზოგადად აღინიშნება ზრდის ტენდენციები (იხ. დიაგრამა 2.1.1).

დიაგრამა 2.1.1 აგრობიზნესის პროდუქციის გამოშვების დინამიკა (მლნ ლარი)




წყარო: სსეს 2020: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური., დიაგრამა შედგენილია მონაცემების საფუძველზე www.geostat.ge; www.mof.ge მოძიებულია 25 მაისი 2021

აგრობიზნესში შექმნილი პროდუქციის ღირებულება 2015 წელს 14,2%-ით აღემატება 2014 წლის მაჩვენებელს, ხოლო 2009 წელთან შედარებით მნიშვნელოვანი მატებაა (99%). ამავე პერიოდში გაზრდილია როგორც პირველადი წარმოება, ასევე, გადამამუშავების შედეგად მიღებული პროდუქციის ოდენობაც. თუმცა, 2015 წელს წინა წელთან შედარებით შემცირებულია აგრობიზნესის მთლიანი წარმოების წილი ქვეყნის პროდუქციის მთლიან წარმოებაში (Хараიшвили 2016). 2015-2019 წლებში

აგრობიზნესის განვითარების სფეროში შედარებით თანაბარზომიერი ზრდის ტენდენცია აღინიშნება. თუმცა, აგრობიზნესის განვითარების თვალსაზრისით მთელი რიგი პრობლემები და შემაფერხებელი ფაქტორებია, რაც იწვევს კიდევ ეროვნული აგროსასურსათო პროდუქტებით თვითუზრუნველყოფის დაბალ მაჩვენებლებს. სწორედ ამიტომ სასურსათო უსაფრთხოების მხრივ საქართველოში სერიოზული პრობლემებია (Kharaiashvili 2017). სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშების შესაბამისად შევისწავლეთ აგრობიზნესის წილი მთლიან გამოშვებაში. საქართველოში ეკონომიკის მთლიანი გამოშვების სტრუქტურა 2020 წლის მონაცემებით შემდეგნაირია (იხ. დიაგრამა 2.1.2).

დიაგრამა 2.1.2. ეკონომიკის მთლიანი გამოშვების სტრუქტურა 2020 წელი, %



წყარო: სსეს 2020: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური., ეკონომიკის მთლიანი გამოშვების სტრუქტურა 2020 წელი <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp> მოძიებულია 25 მაისი 2021

როგორც დიაგრამიდან ჩანს, სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის წილად მოდის ეკონომიკის მთლიანი გამოშვების 7.4%, დამამუშავებელი მრეწველობის წილია 19.7%, საბითუმო და საცალო ვაჭრობისა 11.8%. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დამამუშავებელ მრეწველობაში ცალკე არ არის გამოყოფილი სურსათის წილი, ასევე,

საბითუმო და საცალო ვაჭრობის წილში არ ჩანს სურსათით ვაჭრობის ხვედრითი მაჩვენებლები.


საქართველოში 2019 წლის მონაცემებით ბაზრებისა და ბაზრობების რაოდენობამ 207 ერთეული შეადგინა, რომელთა 30% თბილისშია განთავსებული, იმერეთში ეს მაჩვენებელია 28%, კახეთსა და სამეგრელო-ზემო სვანეთში 12,1%, ქვემო ქართლში 7,7%-ს, დანარჩენ რეგიონებში კი 1,4%-დან (გურია) 4,8%-მდე (აჭარა) მერყეობს. შემოსავლების მიხედვით ანალიზმა გვიჩვენა, რომ თბილისის წილად მოდის ბაზრობებიდან მიღებული მთლიანი შემოსავლების 69,3%, იმერეთს, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში 10,9%, ქვემო ქართლს - 7,8%, აჭარაში - 6,9%, შიდა ქართლში - 1,5%, კახეთში - 1%. დასახელებულ ბაზრობებზე ხორციელდება როგორც სასურსათო, ისე არასასურსათო საქონლით ვაჭრობა. ბაზრობების 31,4% ვაჭრობს მხოლოდ არასასურსათო საქონლით, მხოლოდ ერთ-ერთ ბაზრობაზე მიმდინარეობს სასურსათო საქონლით ვაჭრობა; ოთხი ბაზრობის ტერიტორიაზე ვაჭრობა მიმდინარეობს ავტომობილებითაც. ბაზრობების 95,9% არის კერძო, 4,9% კი საჯაროა. სასურსათო ბაზრების ადგილმდებარეობის შესწავლით დადგინდა, რომ სასურსათო ბაზრები არათანაბარზომიერად არის განაწილებული, როგორც თბილისში, ასევე, რეგიონებში. თუმცა, სასურსათო ბაზრების არათანაბარზომიერების მაჩვენებელი უფრო მაღალია რეგიონებში, მათ შორის აჭარაში. უთანაბრო განაწილება უარყოფითად აისახება აგრობიზნესის განვითარებაზე, შესაბამისად აუცილებელია სასურსათო ბაზრებზე ხელმისაწვდომობის პოლიტიკის მექანიზმების შემუშავება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე ფერმერებისათვის სასურსათო ბაზრებზე მეტი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, რისთვისაც საგზაო სისტემებისა და შესაბამისი სატრანსპორტო საშუალებების განვითარება იქნება საჭირო, განსაკუთრებით აჭარის მაღალმთიან რეგიონებში.

გარდა იმისა, რომ სასურსათო ბაზრების რაოდენობის შესახებ მიზანშეწონილია ცალკე აღრიცხვიანობა, არანაკლებ მნიშვნელოვანია ბაზრების შესახებ საინფორმაციო სისტემების შექმნა. მაგალითად, ესპანეთში და ევროპის მრავალ ქვეყანაში, ასეთი საინფორმაციო სისტემების საშუალებით ხორციელდება სასურსათო ბაზრების შესახებ მწარმოებლებისა და მომხმარებლებისათვის შესაბამისი ინფორმაციების მიწოდება და სასურსათო ბაზრების ეფექტიანი მართვა. საქართველოში სურსათის

ექსპორტის შესახებ ძირითადი ინფორმაცია განთავსებულია მეწარმეობის განვითარების სააგენტოს პორტალის „ივაჭრე საქართველოში“ საშუალებით, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში ინფორმაცია მიეწოდება მხოლოდ უცხოელ პარტნიორებს. სასიცოცხლოდ აუცილებელია უცხოური ბაზრების შესახებ ინფორმაციის მიწოდება ადგილობრივი აგრობიზნესის წარმომადგენლებისთვისაც.

განსხვავებულია შუალედური მოხმარების სტრუქტურა. 2020 წლის მონაცემების მიხედვით სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობის წილად მოდის შუალედური მოხმარების 6.2%, დამამუშავებელი მრეწველობის წილია 30.5%, საბითუმო და საცალო ვაჭრობისა 8.5% (იხ. დიაგრამა 2.1.3).


დიაგრამა 2.1.3 შუალედური მოხმარების სტრუქტურა 2020 წელი, %



წყარო: სსეს 2020: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური., შუალედური მოხმარების სტრუქტურა 2020 წელი <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp> მოძიებულია 25 მაისი 2021

ამასთან, პანდემიის პერიოდში დაფიქსირდა მთლიანი შიდა პროდუქტის მნიშვნელოვანი შემცირება (იხ. დიაგრამა 2.1.4). 2019-2020 წლებში 2011 წელთან შედარებით მთლიანი შიდა პროდუქტის მკვეთრი ვარდნა გამოიხატა.

დიაგრამა 2.1.4 მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, %




წყარო: სსსს 2020: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური., მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით

<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp> მოძიებულია 25 მაისი 2021


რაც შეეხება რეგიონებს, მთლიანი შიდა პროდუქტის ყველაზე მეტი რაოდენობა მოდის თბილისის წილად. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ასევე, იმერეთში, ქვემო ქართლსა და სამეგრელო ზემო სვანეთში ეს მაჩვენებლები მეტ-ნაკლებად თანაბარია, ხოლო რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში ყველაზე მცირე (იხ. დიაგრამები 2.1.4 და 2.1.5).

დიაგრამა 2.1.5 მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა რეგიონების მიხედვით 2019 წელს, მლრდ ლარი



სსსს 2020: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური., მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა რეგიონების მიხედვით 2019 წელი <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp> მოძიებულია 25 მაისი 2021

დიაგრამა 2.1.6 მთლიანი შიდა პროდუქტის რეგიონული სტრუქტურა 2029 წელს, %



სსსს 2020: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური., მთლიანი შიდა პროდუქტის რეგიონული სტრუქტურა 2029 წელი <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp> მომიებულია 25 მაისი 2021

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აგრობიზნესის განვითარების დასაბუთებული მოდელების შემუშავების შემთხვევაში შესაძლებელია რეგიონის რესურსული პოტენციალის უფრო ეფექტიანად გამოყენება.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი უჭირავს და ერთიან ფიზიკურ-გეოგრაფიულ ოლქს წარმოადგენს. მისი უკიდურესი წერტილებია: ჩრდილოეთით - მდინარე ჩოლოქის შესართავი (ჩ.ს. 41 0531), სამხრეთით - ხეზას მთა (ჩ.ს. 410261), აღმოსავლეთით - ღმანის მთა (ა.გ. 420351), დასავლეთით - სოფელი სარფი (ა.გ. 410331). ადმინისტრაციულად ჩრდილოეთით ოზურგეთის და ჩოხატაურის, ხოლო აღმოსავლეთით - ადიგენის მუნიციპალიტეტები ესაზღვრება. სამხრეთით აჭარის საზღვარი ემთხვევა სახელმწიფო საზღვარს საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფართობი 2.9 ათას კვ. კმ-ს შეადგენს, საიდანაც დაბლობზე მოდის 1.7%, მთისწინეთზე - 0.8%, მთაზე - 97.5%. აჭარის მთების უმაღლესი წერტილია ყანლის მთა

ანუ კენჭული (2992 მეტრი), რომელიც მდებარეობს არსიანის ქედის ნაწილში იმ ადგილას, სადაც მას შავშეთის ქედი უკავშირდება. დაბალი წერტილია ისპანის ჭაობი (10 მეტრი) - ქობულეთის დაბლობზე. ტერიტორია საშუალო და მაღალმთიანეთის, მთა-ტყისა და ტენიანი სუბტროპიკული ლანდშაფტური კატეგორიების რთული კომპლექსია, რომელთაც ერთმანეთთან მჭიდრო კავშირი აქვთ, მაგრამ ამავე დროს თითოეული მათგანი თვითმყოფადი და მკაცრად ინდივიდუალურია. გეოგრაფიული მდებარეობით, კლიმატური პირობებით, მცენარეული საფარისა და ლანდშაფტის მრავალფეროვნებით 2 ნაწილად იყოფა - აჭარის ზღვის სანაპირო მხარედ და შიდამთიან აჭარად. ზღვისპირა ზოლი ტენიანი სუბტროპიკული ჰავით ხასიათდება, ხოლო შიდამთიან მხარეში ხმელთაშუა ზღვის მშრალი სუბტროპიკული ჰავის მსგავსი კლიმატით (აკცს 2013).

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა ქვეყნის მასშტაბით ერთ-ერთი მცირე მიწიანია, ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქცეული 290.0 ათასი ჰექტარი მიწის ფონდიდან სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა შეადგენს 72.9 ათას ჰექტარს, რაც მთლიანი ფონდის მხოლოდ 25.1%-ია. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებიდან რეგისტრირებულია სულ 27.9 ათასი ჰექტარი, რაც საერთო სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 38%-ია. შესაბამისად, რეგისტრაციის გარეშე დარჩენილი სავარგულები შეადგენს 45.2 ათას ჰექტარს, ანუ დაურეგისტრირებელია - 62%. საკუთრებაში რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულიდან ფიზიკურ პირებზე, ანუ მათზე ვინც უშუალოდ არის დაკავშირებული სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან, მოდის მხოლოდ 45%, რაც 12.6 ათას ჰექტარს შეადგენს, ხოლო შემდგომ მოდის სახელმწიფო 42%-ით, რომლის საკუთრებაში რეგისტრირებულია 11.6 ათასი ჰექტარი, ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაშია - 10%, რაც 2.9 ათას ჰექტარს შეადგენს, მუნიციპალიტეტების, კერძო სამართლის იურიდიული პირებისა და სხვ. საკუთრებაში - 3%, რაც 0.8 ათასი ჰექტარია (სამინისტრო 2020:). აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად რჩება მიწის რეფორმა და რეფორმის ფარგლებში გასატარებელი სხვადასხვა ღონისძიებები. რის გარეშე აღნიშნული საკითხი ეფექტიანი მოდელის ფუნქციონირების გზაზე მნიშვნელოვანი პრობლემა იქნება.

თუ შევადარებთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აგრარული სექტორისა და ფერმერული მეურნეობების სტრუქტურულ მაჩვენებლებს დანარჩენი რეგიონის მონაცემებთან თვალნათლივ დავინახავთ, რომ რეგიონში სოფლის მეურნეობის განვითარების ეტაპიდან უნდა გადავიდეთ სოფლად მცხოვრები ოჯახების განვითარების ეტაპზე. მცირემიწიანობიდან გამომდინარე აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის განვითარების სხვადასხვა მეთოდების დაგეგმვა არის აუცილებელი, როგორებიცაა ეკოლოგიურად სუფთა და ბიო მეურნეობების შექმნა, ამ მიმართულებებით ექსტენციის გაძლიერება, ასევე, მცირე საწარმოების შექმნა და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა.

ხოლო შედარებას თუ მოვახდენთ ქვეყნის აგრარული სექტორის ევროგაერთიანების ქვეყნებთან და ამერიკის შეერთებული შტატების მონაცემებთან, შემდეგ სურათს მივიღებთ: გერმანიაში ერთი ფერმერული მეურნეობა საშუალოდ სურსათით უზრუნველყოფს 144 მაცხოვრებელს, ევროგაერთიანების ქვეყნებში საშუალოდ 51-ს, ამერიკის შეერთებული შტატებში კი 126 მაცხოვრებელს, ხოლო საქართველოში თუ დამატებული ღირებულების რეალურ მოცულობას მივიღებთ მხედველობაში, მაშინ აღმოჩნდება, რომ დღევანდელ პირობებში ერთ დასაქმებულს საშუალოდ თავის გამოკვებაც კი არ ძალუძს. მიზეზები სხვადასხვა გვარია, მფლობელობაში არსებული სასოფლო სამეურნეო სავარგულების სიმცირით დაწყებული ზოგჯერ თანამედროვე ტექნოლოგიების არ ცოდნით და მისი გამოყენებით დამთავრებული

ასე მაგალითად, საქართველოს მეზობელ ქვეყნებთან ერთი ფერმერული მეურნეობის მიერ გამოყენებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულის საშუალო სიდიდის შედარებითი ანალიზის შედეგად შემდეგი სურათი გამოიკვეთა: სომხეთში ეს მაჩვენებელი შეადგენს 1,5 ჰა-ს, აზერბაიჯანში - 4 ჰა-ს, რუსეთში - 42 ჰა-ს შეადგენს, უკრაინაში - 22 ჰა-ს, ყირგიზეთში - 22 ჰა-ს, ყაზახეთში - 44,4 ჰა-ს, ბელორუსიაში - 20 ჰა-ს, უზბეკეთში - 10 ჰა-ს, ტაჯიკეთში 45 ჰა-ს, თურქმენეთში - 1 ჰა-ს, მოლდავეთში - 3 ჰა-ს, ბალტიისპირეთის ქვეყნებში - 24,5 ჰა-ს, საქართველოში კი - 1,5 ჰა-ს (FAO 2012). სხვაობა კიდევ უფრო მეტია ევროპისა და მსოფლიოს ქვეყნებთან მიმართებაში, ამიტომ აგრარულ სექტორში გასატარებელი ღონისძიებათა ჩამონათვალის

ავტომატურად გადმოტანა და აქაურ ბიზნეს გარემოზე მორგება ეკონომიურადაც და ეკოლოგიურადაც უარყოფითი შედეგის მომცემი იქნება.

ბოლო წლებში აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის მიმართულებით განხორციელებულმა სხვადასხვა რეფორმამ რეგიონის სოფლის მეურნეობის განვითარების საწყისი დადებითი ეფექტი, ხოლო რეგიონში განხორციელებულმა საგრანტო პროგრამებმა აგრობიზნესის განვითარების საინტერესო მიმართულებები გამოავლინა.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 2014 წლიდან ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარებისთვის ხელშეწყობის მიზნით ფუნქციონირებს საგრანტო პროგრამა ENPARD-ი. 2014 წელს ENPARD -1 ფარგლებში განხორციელდა ფერმერთა გაერთიანებების დახმარება, რომლის საგრანტო ბიუჯეტი იყო 850 000 ევრო (ENPARD 2015:13) დაფინანსდა სხვადასხვა ფერმერთა გაერთიანებით და შეიქმნა მცირე საწარმოები. მაგალითისთვის ამ პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული საწარმოებიდან ბაზარზე წარმატებით ოპერირებს ჩირის საწარმო სახელწოდებით „ნინოს მშრალი ხილი“.

ევროკავშირსა და საქართველოს შორის, 2014 წლის 27 ივნისს გაფორმებული ასოცირების შეთანხმების მეათე თავის 332-ე მუხლში, რომელიც ეხება სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარებას ხაზგასმულია, რომ მხარეები ითანამშრომლებენ სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, კერძოდ, პოლიტიკისა და კანონმდებლობის პროგრესული თავსებადობის მიღწევის მეშვეობით. აღნიშნული თავის 333-ე მუხლში აგრეთვე, ხაზგასმულია მხარეებს შორის სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების პოლიტიკის საკითხზე ურთიერთგაგების ხელშეწყობა. ასევე, ამავე თავის 333-ე მუხლში, წარმოდგენილია სოფლის განვითარების პოლიტიკის შესახებ ცოდნისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება სოფლის თემებში ეკონომიკური კეთილდღეობის უზრუნველყოფის მიზნით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, 2016 წელს დაიწყო და 2017 წლის გაზაფხულზე დასრულდა 45 ამაგის (აქტიურ მოქალაქეთა ადგილობრივი გაერთიანება) შექმნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხუთ მუნიციპალიტეტში, კერძოდ: ქობულეთში - 13, ხელვაჩაურში - 15,

ქედაში - 6, შუახევში - 4 და ხულოში - 7. (უნდა აღინიშნოს რომ პირველი ამაგი შეიქმნა ხულოს მუნიციპალიტეტში, კერძოდ რიყეთის თემში, საპილოტე პროექტის ფარგლებში. შესაბამისად აჭარაში ამჟამად ფუნქციონირებს 46 ამაგი)

ამაგები მოიცავს მთლიან აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის 333 სოფელს და სოფლის მსგავს დასახლებას (გარდა ქალაქებისა: ბათუმი და ქობულეთი).

ამაგის წევრების განაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით შემდეგია: ქედა - 87 წევრი, ხულო - 150 წევრი, შუახევი - 69 წევრი, ქობულეთი - 192 წევრი და ხელვაჩაური - 204 წევრი. სულ ამაგებში გაერთიანებულია 702 წევრი, საიდანაც 245 (36.2%) ქალია. ქალების წილი მუნიციპალიტეტების მიხედვით კი შემდეგნაირად არის წარმოდგენილი: ქედა - 33 ქალი (37.9%), ხულო - 41 ქალი (32.8%), შუახევი - 24 ქალი (34.8%), ქობულეთი - 64 ქალი (33.3%) და ხელვაჩაური - 83 ქალი (40.7%). აჭარაში, ამაგები შექმნილია LEADER მიდგომის დასაწერად.

ამ პროექტის ფარგლებში ENPARD-2ის ფაზის მიერ განხორციელდა 115 000 ევროს გამოყოფა (ENPARD II 2015:21). „ამაგები“-ს ფარგლებში დაფინანსდა მცირე საამქროები, სოციალური პროექტები, ტურიზმზე ორიენტირებული და გადამამუშავებელი საწარმოები.

ENPARD-3 მხარდაჭერის ფარგლებში დაიწყო სოფლის განვითარების და სოფლად მცხოვრები მოსახლეობის მხარდაჭერა. პროექტის ბიუჯეტია 2 3000 00 ევრო და სრულად მოხმარდება ქედისა და ხულოში მცხოვრებ მოსახლეობას (ENPARD III 2015:43). პროექტის ფარგლებში დაფინანსებულია პლასტმასის ყუთების საწარმო ქედაში, სამკერვალო ხულოში და კიდე სხვა მრავალი სოციალური თუ სოფლის განვითარებაზე ორიენტირებული პროექტები.

ასევე ENPARD-2ის პროექტის ფარგლებში ქედისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში ადგილობრივ გაერთიანებების (ლაგი) ჩართულობით დასრულდა საგრანტო პროექტები. ქედის მუნიციპალიტეტში კავკასიის გარემოსდაცვითი ორგანიზაცია SENN-მა განახორციელა 95 პროექტის დაფინანსება, ქედის მუნიციპალიტეტში შეიქმნა ახალი საწარმოები როგორებიცაა მშრალი ხილის გადამამუშავებელი საწარმო, გაყინული კარტოფილის ფრის წარმოება და ა.შ. პროექტის ბიუჯეტი იყო 2 000 000 ევრო (ENPARD III 2015:43).

ხულოს მუნიციპალიტეტში ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასი საქართველოში ადგილობრივი განვითარების ჯგუფთან (ლაგი) ერთად განახორციელა 75 პროექტის დაფინანსება, მათ შორის იყო როგორც სასოფლო ასევე არასასოფლო პროექტები. პროექტის ფარგლებში ხულოს მუნიციპალიტეტში დაფინანსდა და ფუნქციონირება დაიწყო ახალმა საწარმოებმა, აშენდა ახალი ლუდსახარში, დაფინანსდა ეკოლოგიურად სუფთა ხის სათამაშოების საწარმო, საკალმახე მეურნეობები, სასტუმროები და ა.შ.

2013 წლიდან აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერით ფერმერთა ხელშეწყობის მიზნით განხორციელდა ხვადახვა პროგრამები რომლებიც შეეხებოდა როგორც მრავალწლიანი ბაღების გაშენებას, სასათბურე მეურნეობების შექმნას, ასევე მცირე მექანიზაციის ხელშეწყობას. 2013 წლიდან 2021 წლამდე გაშენებულია 527,21 ჰა მრავალწლიანი კულტურები როგორცაა: საადრეო მანდარინის; კაკლის; მოცვის; ჟოლოს; კივის; ვაზის; ლიმონის; ხურმის, თხილისა და სხვა კულტურები. სასათბურე კონსტრუქციებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით ფერმერებზე გადაცემულია 709 ცალი სხვადასხვა ზომის (50მ², 100მ², 200მ², 300მ² და 500მ²) სასათბურე კონსტრუქციები. სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ტექნიკური საშუალებებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით ფერმერებს თანადაფინანსებით გადაეცათ 7299 ერთეული მრავალფუნქციური მოტობლოკი; ბადის მობილური შესასხურებელი აპარატი; მისაბმელი ურიკა; თხილის შესაგროვებელი აპარატები და გამრჩევი დანადგარები (ასმს 2021)

2020 წლიდან ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრი ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე (გარდა ქ.ბათუმისა და ქ.ქობულეთისა) ახორციელებს სოფლად მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამას, პროგრამის ბიუჯეტია 1 000 000 ლარი (აგროსერვისი 2021). 2020 წელს პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა სხვადასხვა პროექტები, მათ შორის კბილი ჩხირების საწარმო ქობულეთის მუნიციპალიტეტში, თევზის საკვები საწარმო ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, ხის გადამამუშავებელი საწარმო ხულო მუნიციპალიტეტში და ა.შ.

საგრანტო პროექტების განხორციელება ხელს უწყობს ადგილობრივ მოსახლეობას შექმნან დამატებითი დოვლათი და უზრუნველყოს სტიმული სოფლად ცხოვრების.

2.2 აგრობიზნესის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორების შეფასება „გადაუდებლობა-ზეგავლენის ხარისხის“ მატრიცით

აგრობიზნესი საქმიანობის რთული სფეროა. შესაბამისად მნიშვნელოვანია იმ ფაქტორების გამოვლენა, რომლებიც ხელს უშლის მის განვითარებას. აგრობიზნესის განვითარების ხელშემშლელი ფაქტორების გამოვლენა და გადაჭრის რეკომენდაციების შემუშავება დღესათვის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს.

დღეს საქართველოში აგრობიზნესის განვითარებას სხვადასხვა ფაქტორი აფერხებს. მაგალითად, მნიშვნელოვანი პრობლემაა ნედლეულის წარმოების სფეროში მწარმოებლურობის დაბალი დონე, რაც ძირითადად ნაკვეთების წვრილკონტურიანობითა და მცირემიწიანობით არის გამოწვეული. თუმცა, აღნიშნულის საპირისპიროდ უნდა ითქვას, რომ ისრაელიც მცირემიწიანი ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება, მაგრამ ამ ქვეყანაში სოფლის მეურნეობა შეფასებულია როგორც მაღალმწარმოებლურობის ფენომენი. ამის დასამტკიცებლად შეგვიძლია მოვიყვანოთ მონაცემები, რომლის მიხედვითაც მიწის ფონდის შეზღუდული რესურსის პირობებში ისრაელში ფერმერთა 3,7% თითქმის 95%-ით აკმაყოფილებს საკუთარი მოსახლეობის მოთხოვნებს (**ხარაიშვილი 2017**). ამასთან, ისრაელს ევროპის ყველაზე მომთხოვნ ბაზარზე გააქვს აგროსასურსათო პროდუქციის 75%. შესაბამისად, აუცილებელია ისრაელის სოფლის მეურნეობის გამოცდილებისა და აგრობიზნესის სფეროს კონკურენტული მოდელების გამოყენება და სხვა სახის გამოცდილებათა გაზიარება.

თუმცა მწარმოებლურობის გაზრდა ნაწილობრივ დაუმუშავებელი მიწების ათვისებითაც არის შესაძლებელი (**ლუკაშვილი 2016**). დღეს საქართველოში გამოყენებულია სასოფლო-სამეურნეო სახნავი მიწის მესამედი. მწარმოებლურობის ამაღლება მასშტაბიდან ეკონომიასაც უზრუნველყოფს და ქართული აგროსასურსათო პროდუქტებისათვის კონკურენტულ გარემოში ადაპტირებას შეუწყობს ხელს.

საქართველოში აგრობიზნესის განვითარებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ბუნებრივი და სხვა სახის რესურსების შენარჩუნება და ეფექტიანად გამოყენება. ეს იქნება გლობალურ დონეზე სურსათის მიწოდების გაზრდის შესაძლებლობა მდგრადი განვითარების საფუძველზე. სოფლის მეურნეობის მწარმოებლურობის ზრდას დიდი გავლენა ექნება სასურსათო ბაზრების მდგრადობასა და მოქნილობაზე, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე, კეთილდღეობის გაუმჯობესებასა და მდგრადი განვითარების პოპულარიზაციაზე (Kharaisvili...2019:200-202).

აგრობიზნესის განვითარებას აბრკოლებს განუვითარებელი საბითუმო და საცალო სასურსათო ბაზრები. მათი დივერსიფიკაციითა და ეფექტიანი მართვით შესაძლებელია დამატებული ღირებულების გაზრდა ამ სფეროში, მით უმეტეს, რომ ეს ბაზრები განთავსებულია ეკონომიკურად და სოციალურად ხელსაყრელ ტერიტორიებზე, გაჩნიათ განვითარებისა და მოდერნიზაციის პერსპექტიული შესაძლებლობები (Kharaisvili...2019:44-53).

აგრობიზნესის განვითარებასა და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში, მწარმოებლურობის ზრდაში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია ფერმერთა კოოპერირებას. მიუხედავად იმისა, რომ მკვლევართა ნაწილის აზრით სოფლის მეურნეობაში მასშტაბის ეკონომიის არსებობა საკამათოა (livny 2012), კოოპერაცია სავარაუდოდ გამოიწვევს მასშტაბის ეკონომიას, ასევე, გაზრდის ფინანსურ რესურსებზე წვდომის შესაძლებლობებს, წარმოების მასშტაბების ზრდით შესაძლებელი გახდება პროდუქტის ექსპორტზე გატანა, გაუმჯობესდება სასურსათო ბაზრებზე გასვლის პირობები და სხვ.

აგრობიზნესის განვითარების ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორად უნდა მივიჩნიოთ ფერმერთა და სპეციალისტთა ცოდნის დაბალი დონე აგროსასურსათო პროდუქტების წარმოებისა და მიწოდების მთელ ჯაჭვში. ასევე, სურსათის უვნებლობისა და გარემოს დაცვის მიზნით სოფლის მეურნეობაში შესაქმნელია ინოვაციების მდგრადი სისტემები (SAIS). ასეთი სისტემების გამოყენება მოითხოვს ახალ, ინოვაციურ ცოდნას, რისთვისაც, თავის მხრივ, საჭიროა ახალგაზრდობის ჩართულობის გაზრდა წარმოებისა და გასაღების სფეროებში. გასათვალისწინებელია, რომ დღეს საქართველოში ახალგაზრდების მხრიდან ამ დარგში დასაქმების


სურვილი დაბალია (სტრატეგია 2017). რაც ძირითადად იმით არის განპირობებული, რომ დარგში მომგებიანობის დონე უმნიშვნელოა, აქედან გამომდინარე აგრობიზნესის განვითარება ერთგვარი სტიმული უნდა გახდეს ახალგაზრდების აგროსასურსათო სექტორში ჩასართველად და აგრობიზნესის განსავითარებლად. განვითარების ესოდენ აგრობიზნესის განვითარების საკმაოდ დაბალ ტემპს ფაქტორთა გარკვეული ჯგუფი განაპირობებს. რისთვისაც, მნიშვნელოვანია აგრობიზნესის განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორების გამოვლენა დასაბუთებული კვლევების საფუძველზე და მიღებული შეფასებით რეკომენდაციების შემუშავება. აგრობიზნესის განვითარების ხელშემშლელი ფაქტორების გამოსავლენად გამოვიყენეთ „გადაუდებლობა-ზეგავლენის ხარისხის“ მატრიცა. უპირველესად გამოიკითხა აგრობიზნესის სფეროს ექსპერტები და ამ სფეროში დასაქმებული სპეციალისტები. მასალების შინაარსობრივად ერთგვაროვნების დაჯგუფების შედეგად „გადაუდებლობა-ზეგავლენის ხარისხის მატრიცამ“ შემდეგი სახე მიიღო (იხ, სქემა 2.2.1).

ექსპერტებთან და სპეციალისტებთან გამოკითხვის შედეგებმა გვიჩვენა, რომ საქართველოში აგრობიზნესის განვითარების დაბალ ტემპებს შემდეგი ძირითადი ფაქტორები განაპირობებს:

1. წარმოების მცირე მასშტაბები და მწარმოებლურობის დაბალი დონე განსაკუთრებით ნედლეულის წარმოების სფეროში;
2. ნედლეულის დამამუშავებელი საწარმოებისა და პროდუქტების შენახვის საცავების ნაკლებობა;
3. ტექნიკურ საშუალებებსა და თანამედროვე ტექნოლოგიებზე შეზღუდული წვდომა;
4. შეზღუდული ფინანსური რესურსები, მათ შორის იაფ კრედიტებზე ხელმისაწვდომობის დაბალი დონე;
5. შიდა და საერთაშორისო სასურსათო ბაზრების, რესურსების შესახებ ინფორმაციების ნაკლებობა;
6. აგრობიზნესის სფეროს თანამედროვე გამოწვევების შესახებ ცოდნის დაბალი დონე;
7. არასრულყოფილი და ზოგჯერ ბუნდოვანი საკანონმდებლო ბაზა და სხვა.

დღევანდელი მონაცემებით სასოფლო-სამეურნეო მიწების დიდი ნაწილი კვლავ სახელმწიფო საკუთრებაშია. ფერმერთა დიდ ნაწილს იგი დარეგისტრირებული არ აქვს, ამის მიზეზი სხვადასხვაგვარია. ამიტომაც არის აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აღრიცხულია 70491,7 ჰა სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მათ შორის: ქობულეთის მუნიციპალიტეტში 16 874 ჰა. ხელვაჩაურში-7723,69 ჰა, ბათუმში-2126,2 ჰა, ქედაში-7596,8 ჰა, შუახევში 14480 ჰა და ხულოში 21691 ჰა. მრავალწლიანი ნარგავები განთავსებულია 15 114,4 ჰა-ზე, საკარმიდამოა 7216,3 ჰა, სახნავი 9827 ჰა ხოლო საძოვრები და სათიბი შეადგენს 8334 ჰა (აჭარისსმს 2021).

სქემა 2.2.1. „გადაუდებლობა-ზეგავლენის ხარისხის“ მატრიცა



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის N2-1258 ბრძანებით 2020 წლის 01 იანვრიდან შეიქმნა მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული ბიურო. რომლის მთავარი ფუნქციაა:

- ⌋ მიწის ბალანსის შედგენა;
- ⌋ სასოფლო სამეურნეო მიწის რესურსების აღრიცხვა და მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნა;

J მიწათმოსარგებლის სახელმწიფო მონიტორინგი და შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება (სსმ 2020:30).

საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობის ნახევარზე მეტი ჯერ კიდევ გამოუყენებელია, მაშასადამე, მიწის ამ ნაკვეთებს ეკონომიკაში წვლილი არ შეაქვს. დაუმუშავებელი და დანაწევრებული მიწები ფუნდამენტურ ბარიერს ქმნის აგრობიზნესის განვითარებისათვის. პრობლემას ამწვავებს დაურეგისტრირებელი მიწების გადაუჭრელი საკითხიც. გასათვალისწინებელია ისიც, რომ კერძო მესაკუთრეების ხელში არსებული მიწების დიდ ნაწილზე, მათ შორის აჭარაში, საკუთრების უფლება გარკვეული არ არის. რადგანაც მიწის რეფორმა არ გატარებულა. ცხადია, ყოველივე აღნიშნული აფერხებს მიწის ბაზრის განვითარებას და ნაკვეთების გამსხვილების პროცესს.

მიწების მცირე მასშტაბები და წვრილკონტურიანობა არის დაბალმწარმოებლურობის გამომწვევი ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი. ისრაელში ერთი ფერმერი კვებავს 98 ადამიანს, საქართველოში ეს მაჩვენებელი საშუალოდ არის 3-4 ადამიანი. საერთოდ ცნება ფერმერი საქართველოში სხვა კრიტერიუმებით უნდა ფასდებოდეს (იზომებოდეს) ვიდრე ზოგადად მსოფლიოში. ამიტომაც მიდგომები ამ კუთხით, ყოველშემთხვევაში ამ ეტაპზე განსხვავებული უნდა იყოს, რადგანაც წვრილმასშტაბური მეურნეობები საქართველოში ძირითადად საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას უზრუნველყოფენ. ისრაელში გამოყენებულია თანამედროვე ტექნოლოგიები (მაგალითად, კონვეიერულ ლენტზე თითოეული ნაყოფის ფოტოგრაფირება საშუალოდ 32-ჯერ ხდება). საქართველოში ასეთი და ბევრი სხვა ტექნოლოგიები თითქმის შეზღუდულია წვრილ მასშტაბურობის გამო.

მიწის ბაზრის განვითარების ოპტიმალური გზის მოძიებაში სასურველია უცხოური გამოცდილების გაზიარება. ამასთან ამ პროცესის განხორციელება წახალისებას მოითხოვს, რაშიც დიდი როლი შეუძლია სახელმწიფომ უნდა შეასრულოს შესაბამისი მასტიმულირებელი მექანიზმების გამოყენებით. მიზანშეწონილია ჩარევა იყოს მინიმალური, რათა არ დაირღვეს საბაზრო ეკონომიკის პრინციპები. სტიმულირების მექანიზმების გამოყენება ძირითადად მიწის ბაზარზე არსებული ინფორმაციული ასიმეტრიულობის აღმოფხვრას უნდა ემსახურებოდეს.

წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს პროცესი ათწლეულები შეიძლება გაგრძელდეს და დარგის განვითარება დიდი ხნით შეაფერხოს (მიწის სტრატეგია 2017).

აგრობიზნესის განვითარებას საქართველოში არაერთი ფაქტორი უშლის ხელს. ნაკვეთების მცირე მასშტაბი ერთ-ერთი მათგანია და ეს პრობლემა მწარმოებლურობის დაბალ დონესაც განაპირობებს. სასოფლო-სამეურნეო მიწების აღწერის მიხედვით, საქართველოში სულ 642 209 მეურნეობაა, რომელთაგან 68 132 (10.6%) საერთოდ არ ფლობს სასოფლო-სამეურნეო მიწას, ხოლო დანარჩენი 574 077 მეურნეობიდან 442 540 (77.1%) ფლობს 1 ჰა ფართობზე ნაკლებ მიწას. მეურნეობების ზუსტი განაწილება სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობის მიხედვით მოცემულია ცხრილში 2.2.1

ცხრილი 2.2.1 საქართველოში სასოფლო-სამეურნეო მიწების განაწილება ზომის მიხედვით


N	ფართობი	მეურნეობის რაოდენობა	წილი
1	<0.13ა	86 988	15,2%
2	0.1-0.19ჰა	61 332	10,7%
3	0.2-0.49 ჰა	13 9914	24,4%
4	0.5-0.99ჰა	15 4306	26,9%
5	1-1.99ჰა	95 399	16,6%
6	2-2.99ჰა	1 7915	3,1%
7	3-3.99ჰა	6 349	1,1%
8	4-4.99ჰა	3 297	0,57%
9	5-9.99ჰა	4 505	0,78%
10	10-19.99ჰა	1 630	0,28%
11	20-49.99	965	0,17%
12	50-99.99ჰა	538	0,09%

წყარო: სსმამ 2014: 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო მიწების აღწერის მონაცემები., მოძიებულია 12 მაისი 2021

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო მიწების საშუალო ფართობი ერთ ფერმერზე 0.4 ჰექტარს შეადგენს (იხ. ცხრილი 2.2.4), რაც იმაზე


მიუთითებს, რომ მიწების განაწილების ასეთი სტრუქტურის პირობებში, როგორც საქართველოში, ისე აჭარაში, რთულია მასშტაბის ეკონომიის მიღწევა და აგრობიზნესში კონკურენტუნარიანობის მიღწევა. საკმარისია აღინიშნოს, რომ მაგალითად, ევროკავშირში ერთ მეურნეობაზე საშუალოდ 16 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწა მოდის (იხ. ცხრილი 2.2.2).

ცხრილი 2.2.2 სასოფლო-სამეურნეო მიწების ფართობი რეგიონების მიხედვით, ჰა



წყარო: საქსტატი 2014: 2014 წლის სასოფლო-სამეურნეო მიწების აღწერის მონაცემები. გვ 4 მოდიებულია 12 მაისი 2021

ცხრილი 2.2.3 მიწების საშუალო ფართობი ევროპის ქვეყნებში ერთ მეურნეობაზე, ჰა



მართალია ზუსტი სტატისტიკა არ მოიპოვება სახელმწიფო მიწების წილის შესახებ სასოფლო-სამეურნეო მიწების მთლიან რაოდენობაში, მაგრამ ექსპერტული შეფასებით ეს მაჩვენებელი მაღალია. საქართველოში მიწების ინვენტარიზაცია ჯერ კიდევ დამუშავების პროცესშია. თუმცა, FAO-ს კვლევის მიხედვით, მთლიანი სასოფლო-სამეურნეო მიწების მხოლოდ 25%-ია პრივატიზებული. შესაბამისად, 801,8 ათასი ჰა სახნავ-სათესი მიწის 55% პრივატიზებულია და 363,3 ათასი ჰა კვლავ სახელმწიფოს საკუთრებაა. სახელმწიფო მიწების იდენტიფიკაციის სირთულე, რა თქმა უნდა, ხელს უშლის მათი შეძენით დაინტერესებულ პირებს და შესაბამისად, მიწების გამსხვილების პროცესს (FAO 2012).

ზემოთ აღნიშნული ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოში მიწის ბაზრის განვითარების დაბალი დონეა. არ არსებობს ერთიანი მექანიზმი, რომლის საშუალებით მარტივად და ეფექტიანად მოხდება მიწის გაყიდვისა და შეძენის მსურველთა დაკავშირება. საკმაოდ რთულია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების შესახებ ინფორმაციის მოპოვება და შეძენა. საბოლოო ჯამში, აღურიცხაობა და ინფორმაციული ასიმეტრიულობა ხელს უშლის მიწების დანაწევრების აღმოფხვრის პროცესს.

ცხრილი 2.2.4. ერთწლიანი კულტურების ნათესი ფართობი რეგიონების მიხედვით

	2016	2017	2018	2019
საქართველო	240.0	220.3	207.1	203.0
ქ. თბილისი	0.3	0.2	0.1	0.1
აჭარის არ	4.4	3.4	3.5	3.4
გურია	7.9	5.3	4.4	3.5
იმერეთი	30.0	28.6	23.0	24.3
კახეთი	78.5	76.1	71.9	72.6
მცხეთა-მთიანეთი	5.5	3.7	4.2	2.5
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	1.2	1.1	1.0	1.0
სამეგრელო-ზემო სვანეთი	29.2	24.9	24.2	22.4
სამცხე-ჯავახეთი	24.0	24.2	21.7	21.9
ქვემო ქართლი	31.0	29.7	31.2	28.0
შიდა ქართლი	28.0	23.1	22.0	23.3

წყარო: საქსტატი 2020: საქართველოს სოფლის მეურნეობა , საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, თბილისი, 2020. გვ. 30. https://www.geostat.ge/media/31931/soflis_meurneoba_2019.pdf
 მოძიებულია 12 მაისი 2021

მცირემიწიანობა და ნაკვეთების დანაწევრება პრობლემურია ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვისაც. ამ ქვეყნების უმეტესობაში დაწყებულია მიწების გამსხვილებისთვის სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენების პროცესი. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის (CEE) 25 ქვეყნიდან 7-ს უკვე აქვს მიწის კონსოლიდაციისთვის გამიზნული სპეციალური პროგრამა, ხოლო 13 ქვეყანამ დაიწყო მიწის გამსხვილების პოლიტიკაზე მუშაობა, თუმცა, სამოქმედო გეგმა ჯერ არ აქვთ. დარჩენილ 5 ქვეყანას (მათ შორის საქართველოს) ამ მიმართულებით ცვლილებები ჯერ არ განუხორციელებია.

FAO-ს რეკომენდაციით მიწების გამსხვილება-გაერთიანება ხელს შეუწყობს მწარმოებლურობის ზრდას და ზოგადად აგრობიზნესის განვითარებას, გააუმჯობესებს სოფლად ცხოვრების დონეს.

ამ კუთხით საინტერესოა, დასავლეთ ევროპის ქვეყნების გამოცდილების გაზიარება. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მიწის კონსოლიდაციის მოდელები ეფუძნება დასავლეთ ევროპის ქვეყნების გამოცდილებას. დასავლეთ ევროპაში გავრცელებულია სამი ქვეყნის - გერმანიის, ჰოლანდიისა და დანიის მოდელები. თითოეული ქვეყნის გამოცდილება დაფუძნებულია საერთო პრინციპზე და შემდეგ მცირედი სახესხვაობებით მორგებულია ამა თუ იმ ქვეყნის კანონმდებლობასა და გარემო პირობებს.

საერთაშორისო გამოცდილების თანახმად, სავალდებულო კონსოლიდაციის დროს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ შექმნილი ჯგუფების საშუალებით დგება მიწის მფლობელებისა და ფერმერების ინტერესთა გათვალისწინებით მიწის გადანაწილების პროექტი. მაგალითად, თუ ერთი ფერმერი ფლობს 3 ან 4 მიწის ნაკვეთს სხვადასხვა ადგილას, იგი თავის მიწას გაუცვლის მეზობელ ფერმერს, რომელსაც ასევე, აწყობს გაცვლა, რადგან მიწის ნაკვეთებიც გაფანტულია, ჯამში ყველა ფლობს ერთი და იგივე ღირებულების მიწას, მაგრამ ერთად კონსოლიდირებულს. სხვადასხვა მხარის ინტერესების გათვალისწინების საფუძველზე შედგენილი პროექტი მტკიცდება ერთიანი გეგმის სახით ფერმერთა და მიწის მფლობელთა უმეტესობის მხარდაჭერით.

FAO-ს ექსპერტთა კვლევით 2015 წელს 7 ქვეყანაში (პოლონეთი, სლოვაკეთი, ჩეხეთი, ლიტვა, სერბეთი და აღმოსავლეთი გერმანია) მიწის გამსხვილება წინასწარ

შემუშავებული პროგრამის მიხედვით წარიმართა. 7 ქვეყნიდან 6 ქვეყანაში აირჩიეს სავალდებულო მიდგომა, კერძოდ, ადმინისტრაციამ შეადგინა მიწის განაწილების პროექტი, დაამტკიცა იგი მიწის მფლობელთა უმრავლესობის შეთანხმების საფუძველზე. შედეგად, ფერმერებმა მიიღეს იმავე ღირებულების მიწას, რაც მათ ჰქონდათ მიწის გადანაწილებამდე. ნებაყოფლობითი მიდგომა გამოიყენება მხოლოდ ლიტვაში. რაც შეეხება აღმოსავლეთ გერმანიას, აქ ორივე მიდგომა გამოიყენება.

მიწის ბაზრის განვითარების ხელშემწყობი ფაქტორების ამოქმედებით შესაძლებელია მიწის ნაკვეთების ფრაგმენტაციის აღმოფხვრისა და გამსხვილების პროცესის დაჩქარება. მიწების წვრილკონტურიანობის აღმოფხვრისა და გამსხვილების პროცესში დიდი როლს შეასრულებს მიწის ერთიანი ბანკის შექმნა, რაც გაადვილებს მიწის შესახებ ერთიან საინფორმაციო ბაზაზე ხელმისაწვდომობას.

მიწის ბანკის შექმნა ითვალისწინებს შემდეგი სახის საქმიანობის განხორციელებას:

- 1) რეგიონებში არსებული ინფორმაციის სისტემატიზაციას მიწის დანიშნულების (სადოვრები, სახნავი, სათიბი და კერძო ნაკვეთები) და ნიადაგის შემადგენლობის მიხედვით;
- 2) მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნას დაინტერესებულ ინსტიტუტებთან მუშაობის კოორდინაციის გზით;
- 3) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკადასტრო რუკების შედგენას.

მიწის ბანკის მუშაობა დაემყარება ნაკვეთების საიდენტიფიკაციო სისტემას (LPIS), რაც საშუალებას მისცემს მომხმარებელს ინტერნეტის ან ინტრანეტის საშუალებით ერთი და იმავე მონაცემთა ბაზაზე ჰქონდეს წვდომა. სისტემა საშუალებას მისცემს ფერმერებს და სხვა დაინტერესებულ მხარეებსა და ნებისმიერ მომხმარებელს ონლაინ რეჟიმში განსაზღვრონ დამუშავებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობა, ფართობი და დანიშნულება. დასახელებული სისტემის საშუალებით განხორციელდება მონაცემთა ანალიზი და სხვადასხვა ოპერაციები, მოხდება საჭირო ინფორმაციების მოძიება მონაცემთა ბაზებში, დამუშავდება ეს მონაცემები და ადვილად და შესაბამის მონაცემებზე დაყრდნობით მომზადდება საბოლოო ანგარიშები. მიწის ნაკვეთების საკადასტრო ციფრიზაცია მოაწესრიგებს

მიწათმფლობელობის საკითხებს და შექმნის სასოფლო-სამეურნეო მიწების გრაფიკული გამოსახულებების მიღების მნიშვნელოვან შესაძლებლობებს. არანაკლებ მნიშვნელოვანია აგრობიზნესის სფეროს განვითარების სხვა დამაბრკოლებელ ფაქტორებზე მოხდეს ორიენტაციის აღება, მათგან აღსანიშნავია აგრარული ექსტენციის მიწოდების უზრუნველყოფა.

წვრილმასშტაბური მეურნეობების ეფექტიანად წარმართვასა და შედარებით მდგრადი განვითარების პირობების შესაქმნელად მნიშვნელოვანია აგრარული ექსტენციის მიწოდების მექანიზმების შექმნა რეგიონებში.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შემუშავებულია პროგრამა „აგრარული ექსტენციის მიწოდება,“ რომლის ბიუჯეტი შეადგენს 215 961 ლარს. ამ პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია აჭარაში მოქმედი ფერმერული მეურნეობებისა და ინდივიდუალური მწარმოებლებისთვის პირველად წარმოებასთან დაკავშირებული ექსტენციის სრული ციკლის მიწოდება - ნიადაგის მომზადებით დაწყებული და მცენარეთა დაცვის ღონისძიებებით დამთავრებული. თითოეული კულტურის ექსტენცია მოიცავს 4-5 ფაზას (ნიადაგის მომზადება, თესვა, სხვლა, სასუქის შეტანა, მორწყვა და მცენარეთა დაცვა). თითოეული ფაზის ფარგლებში ფერმერებს უტარდებათ როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული კურსი. ექსტენციის პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია აგროტურების ორგანიზება და მონაწილე ფერმერების სხვადასხვა სახის ტექნიკური და აგროტექნოლოგიური ლიტერატურით უზრუნველყოფა.

1. ნედლეულის დამამუშავებელი საწარმოებისა და პროდუქტების შენახვის საცავების ნაკლებობა;
2. ტექნიკურ საშუალებებსა და თანამედროვე ტექნოლოგიებზე შეზღუდული წვდომა;
3. შეზღუდული ფინანსური რესურსები, მათ შორის იაფ კრედიტებზე ხელმისაწვდომობის დაბალი დონე;

ცნობილია, რომ აგრობიზნესის სფეროში მაღალია რისკები, მცირეა ამ სფეროდან მიღებული შემოსავლები, აგროსესხებზე საპროცენტო განაკვეთები კი მაღალია. ამასთან, სათანადოდ არ არის განვითარებული სალიზინგო მომსახურება,

რაც სხვა ქვეყნებში კერძო სექტორის დაფინანსების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. საკრედიტო და სალიზინგო სისტემების განვითარებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სოფლის მეურნეობის პროდუქტების პირველადი წარმოების, გადამუშავებისა და შენახვა-რეალიზაციის საწარმოო პროცესების გასაუმჯობესებლად. როგორც აღინიშნა, საქართველოს სოფლის მეურნეობაში აუცილებელია მწარმოებლურობის ზრდა და წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება. ეს მიუღწეველი იქნება შეღავათიანი აგროკრედიტების გარეშე. 2013 წლიდან საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ დაიწყო „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის“ განხორციელება, მაგრამ დღემდე არ არის ფორმირებული დამატებული ღირებულების შემქმნელი ეფექტიანი სისტემა, არასრულყოფილია სესხების გაცემის მექანიზმები და პროცედურები, ჩამოუყალიბებელია ფინანსურ ინსტიტუტებთან თანამშრომლობის ფორმები და სხვა.

აგრობიზნესის სფეროში შეღავათიან აგროკრედიტებზე მოთხოვნა-მიწოდების შემაფერხებელი ფაქტორების გამოვლენა ხელს შეუწყობს ამ სფეროში დამატებული ღირებულების ზრდას და სოფლად არსებული პრიორიტეტული პრობლემების მოგვარებას.

ევროპის მრავალ ქვეყანაში აგრობიზნესისა და სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამების რეალიზაციის მთავარ პირობად, მიჩნეულია ფერმერთა ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და ფინანსური ინსტრუმენტების ეფექტიანი გამოყენებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა (European 2016). მკვლევართა მიერ ძირითადი აქცენტები, ასევე, გაკეთებულია საკრედიტო რესურსების ფორმალურ და არაფორმალურ მოთხოვნათა მოქმედ ფაქტორებზე, შესწავლილია ფერმერთა დამოკიდებულება სესხების მიმართ. დადგენილია, რომ შესაბამისი განათლების მქონე ფერმერები და მსხვილმასშტაბიანი მეურნეობების მფლობელები უპირატესად ფორმალური სექტორის სესხებით სარგებლობენ. მკვლევარების მიერ შემოთავაზებულია ამ სექტორში სესხების გაცემის ეფექტიანი საკრედიტო წყაროები და მექანიზმები, იდენტიფიცირებულია სესხების მიწით უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პრობლემები (Ejaz 2011). უახლოეს პერსპექტივაში მოსალოდნელია მოთხოვნის ზრდა აგროსასურსათო პროდუქტებზე, რაც ცხადია, თავის მხრივ, მოთხოვნადს გახდის აგრობიზნესის განვითარებას,

რომლის მიზანი იქნება დააჩქაროს წარმოების ზრდის, დასაქმებისა და ექსპორტის სტიმულირების მნიშვნელობა, შემუშავდეს აგრობიზნესის მდგრადი ფინანსური უზრუნველყოფის მექანიზმები (**World Bank 2010:5**).

ევროპისა და აზიის ქვეყნებში აგრობიზნესის განვითარებაში მკვლევარები განსაკუთრებულ როლს ანიჭებენ საფინანსო სფეროს ინსტიტუციურ რეფორმებსაც. სოფლად მდგრადი საფინანსო და საკრედიტო სისტემების განსავითარებლად დასაბუთებულია სახელმწიფოს როლი, აგრობიზნესში საკუთრებისა და წარმოების სტრუქტურის ცვლილებების შესაბამისად და აუცილებლად არის მიჩნეული საბანკო სექტორის ინოვაციური მიდგომების ფორმირება (**OECD 2001**).


არა ახალი, რომ აგრობიზნესის ფინანსურ უზრუნველყოფაზე გავლენას ახდენს ბიზნეს-გარემო. ამ თვალსაზრისით მეცნიერთა მიერ შეფასებულია ნეოკლასიკური და ნეოსტრუქტურული მიდგომები, რომლის თანახმადაც განსაკუთრებული ყურადღება საინვესტიციო კლიმატს ექცევა. დასაბუთებულია საინვესტიციო კლიმატის ფორმირებაში რეგიონული თავისებურებების როლი და გამოვლენილია აგრობიზნესის განვითარების შესაძლებლობები (**Gabor...2013**).

აგრობიზნესის სფეროში მომხმარებლები და მწარმოებლები მეტნაკლებად ფინანსური რესურსების შეზღუდულობით გამოირჩევიან, განსაკუთრებით მწვავეა პრობლემა მცირე შესაძლებლობების ფერმერთა შემთხვევაში. ისეთ ქვეყნებში, სადაც ძირითადად წვრილმასშტაბური ფერმებია, სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს შეღავათიან აგროკრედიტებს. ამასთან, მცირე ფერმერებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს შეღავათიანი აგროკრედიტის მიწოდების სქემაც (**Patsuria 2013**).

საქართველოში რეგიონების შედარებით თანაბარზომიერი განვითარებისათვის განსაკუთრებული როლი ენიჭება შეღავათიანი აგროკრედიტების რეგიონების მიხედვით განაწილების შესწავლას. ბოლო წლების მონაცემების ანალიზმა გვიჩვენა, რომ სესხების ყველაზე დიდი წილი გაცემულია კახეთის რეგიონზე - 45.7%. სესხების მიღების მაღალი მაჩვენებელი აქვს ქვემო ქართლის რეგიონსაც - 22.2%, შიდა ქართლში ეს მაჩვენებელი 13.8%-ია. დანარჩენ რეგიონებში გაცემული სესხების წილი უმნიშვნელოა და ვერ ასრულებს ამ რეგიონებში სოფლის მეურნეობის განვითარების მასტიმულირებელ როლს: სამცხე-ჯავახეთის რეგიონში გაცემულია სესხების მთლიანი რაოდენობის 6.3%, იმერეთის რეგიონში - 5.4%, სამეგრელოში - 3.2%, მცხეთა-

მთიანეთში - 1.4%, თბილისში - 1%, დანარჩენი რეგიონებში, მათ შორის აჭარაში, ეს მაჩვენებელი 1%-ზე ნაკლებია (იხ. დიაგრამა 2.2.1). შედეგი ფერმერთა საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთებისა და სხვა ფასეულობების იდენტურია.

დიაგრამა 2.2.1. სესხების რაოდენობის განაწილება რეგიონების მიხედვით



წყარო: დიაგრამა აგებულია ავტორის მიერ კრებული „შელავათიანი აგროკრედიტის პროგრამის შეფასება“ მონაცემების საფუძველზე

ექსპერტებთან და ფერმერებთან ინტერვიუებმა შელავათიანი აგროკრედიტების მიმართულებით შემდეგი პრობლემები გამოავლინა:

- 1) სესხებზე ხელმისაწვდომობა დაბალია, რაც ძირითადად მაღალი დონის უზრუნველყოფის მექანიზმების არ არსებობით არის გამოწვეული;
- 2) არ არსებობს საშელავათო პერიოდი;
- 3) გაცვლითი კურსების არასტაბილური და ხშირი ცვალებადობა, განსაკუთრებით პანდემიის პირობებში, ძირითადად უარყოფითად აისახა უცხოურ ვალუტაში აღებულ სესხებზე;
- 4) სირთულეებია ბანკებთან კომუნიკაციის პროცესში;
- 5) შელავათიანი აგროკრედიტების პროგრამა არ ითვალისწინებს მცირე ფერმერებზე ან გლეხურ მეურნეობებზე სესხების გაცემას;
- 6) შესამუშავებელია სესხების დაზღვევის მექანიზმები და სხვა.

აგრობიზნესის განვითარებაზე შელავათიანი კრედიტების გავლენის ეფექტიანობის შეფასება მხოლოდ ზემოთ გაანალიზებულ მონაცემებზე დაყრდნობით

რთულია. მნიშვნელოვანია რამდენად სიცოცხლისუნარიანი იქნება აგრობიზნესის სფეროს საქმიანობა ამ პროგრამის ვადის გასვლის შემდეგ. მაშასადამე, აგრობიზნესის განვითარებაზე შეღავათიანი აგროკრედიტების გავლენის საბოლოო შეფასება გრძელვადიან პერიოდს მოითხოვს. თუმცა, პროგრამის ზეგავლენის ზოგადი ტენდენციის გამოვლენა შედარებით მოკლევადიან პერიოდშიც შეიძლება, ძირითადად მონაცემთა ანალიზის, ფერმერთა და ექსპერტთა შეფასებებისა და ხედვების მიხედვით. ასეთმა გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ შეღავათიანი აგროკრედიტების გაცემა აგრობიზნესის განვითარებაზე ახდენს როგორც დადებით, ასევე, ნეგატიურ გავლენას.

აგრობიზნესის სფეროში ხშირად გადაწყვეტილებები ინფორმაციული ვაკუუმის პირობებში მიიღება. ექსპერტულმა გამოკითხვამაც დაადასტურა, რომ აჭარაში აგრობიზნესის განვითარების ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორია შიგა და საერთაშორისო სასურსათო ბაზრების, რესურსების შესახებ ინფორმაციების ნაკლებობა, ასევე, ევროპისა და სხვა სასურსათო ბაზრის სტანდარტებთან და საკანონმდებლო სივრცესთან შეუსაბამობა.

სასურსათო ბაზრების განვითარების მასტიმულირებელ პოლიტიკაში მნიშვნელოვანია ბაზრების შესახებ საინფორმაციო ვაკუუმის აღმოფხვრა. ევროპის მრავალ ქვეყანაში სასურსათო ბაზრების შესახებ ყველა საჭირო ინფორმაცია შესაბამის პორტალებზეა განთავსებული და მისი მართვა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ხდება. სასიცოცხლოდ აუცილებელია, რომ საქართველოშიც შეიქმნას ადგილობრივი და უცხოური ბაზრების შესახებ ინფორმაციული სისტემები და მწარმოებლებსა და მომხმარებლებს ჰქონდეთ მათზე თავისუფალი წვდომა. აღნიშნულის გარეშე აგრობიზნესის განვითარებაში მნიშვნელოვანი შეფერხებები ყოველთვის მოსალოდნელია.


გამოკითხვებმა აჩვენა, რომ აჭარაში ადგილობრივ ექსპორტიორებს შეზღუდული წვდომა აქვთ მარეგულირებელ წესებზე, საერთაშორისო სტანდარტებზე, დაფინანსების წყაროებსა და მექანიზმებზე, სავაჭრო მისიებისა და გამოფენების შესახებ და სხვ. სრულყოფილი საინფორმაციო პაკეტების შექმნა და მიწოდება, ასევე, მიწოდების სიხშირის გაზრდა ხელს შეუწყობს ექსპორტის

დივერსიფიკაციას. არანაკლებ მნიშვნელოვანია ევროპისა და სხვა ქვეყნების სტანდარტებთან და საკანონმდებლო სივრცესთან ჰარმონიზაცია.

აგრობიზნესის განვითარების ერთ-ერთი დამაბრკოლებელი ფაქტორია ამ სფეროში მომსახურე პერსონალის ცოდნის დაბალი დონე, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის თანამედროვე ტექნოლოგიების, ასევე, მწარმოებლურობისა და მომგებიანობის ზრდის ფაქტორების, ბაზრებზე აგროსასურსათო პროდუქტების კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლების შესახებ და სხვა. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ამ პრობლემის გადაჭრის საქმეში გარკვეული როლის შესრულება შეუძლია ექსტენციის პროგრამას, კერძოდ, საველე პირობებში ტრენინგების სახით შესაძლებელია ფერმერებისა და აგრომეწარმეების თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარჩვევების ამაღლება, ასევე მცენარეთა დაცვისა და სხვა აქტუალურ საკითხებზე სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის, სასწავლო-მეთოდური მასალების, ბროშურების, გზამკვლელების მიწოდება და თეორიული და პრაქტიკული სწავლების პროცესის განხორციელება. სასოფლო-სამეურნეო ექსტენცია წარმოადგენს არაფორმალურ საგანმანათლებლო პროცესს, რომელიც მოიცავს ფერმერთათვის შესაბამისი კონსულტაციებისა და ინფორმაციის მიწოდებას, უშუალოდ თავიანთი ბიზნესის ირგვლივ სხვადასხვა საფეხურზე, რაც გამიზნულია მათი წარმოების, მოცულობისა და კონკურენტუნარიანობის, ასევე მათი ცხოვრების საერთო დონის ამაღლებისთვის. ფერმერული მეურნეობის ეფექტიანობა პირდაპირ კავშირშია სასოფლო-სამეურნეო წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიების ცოდნასა და ხელმისაწვდომობასთან. აჭარის რეგიონის აგრარული სპეციფიკის გათვალისწინებით (ნიადაგობრივ-ბუნებრივ კლიმატური პირობები), ასევე, იმპორტირებულ პროდუქტებთან შედარებით დაბალი კონკურენტუნარიანობის პირობებში, სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის მიწოდებას განსაკუთრებული დატვირთვა და მნიშვნელობა ენიჭება.

აგრობიზნესის განვითარების ხელშემშლელი ფაქტორების გამოვლენის შესაბამისად მნიშვნელოვანია იმ პრიორიტეტული საჭიროებების განსაზღვრა, რომელიც უნდა განხორციელდეს როგორც კერძო, ასევე, სახელმწიფო სტრუქტურებში. გამოვლენილი ხელშემშლელი ფაქტორების ანალიზისა და ექსპერტთა მონაცემების შედეგების დაჯგუფების შედეგად აჭარის ავტონომიურ

რესპუბლიკაში აგრობიზნესის განვითარების პრიორიტეტული საჭიროებები შემდეგნაირად განისაზღვრა (იხ. სქემა 2.2.2) და შემდეგი თანმიმდევრობით შეფასდა:



წყარო: სქემა შედგენილია ავტორის მიერ.

- (1) წარმოების მასშტაბების ზრდისა და მიწის ბაზრის განვითარების ხელშეწყობა;
- (2) დამამუშავებელი საწარმოებისა და პროდუქტების შესახვის საცავების შექმნა;
- (3) ტექნიკისა და ტექნოლოგიების მიწოდების მექანიზმების სტიმულირება;
- (4) აგრობიზნესის სფეროს დაფინანსების წყაროების მოზიდვა, იაფფასიანი გრძელვადიანი კრედიტების მიწოდების უზრუნველყოფა;
- (5) მიწის ფონდის, სასურსათო ბაზრებისა და რესურსების შესახებ საინფორმაციო სისტემების შექმნა;

(6) აგრობიზნესის სფეროში ცოდნისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამების მიწოდება;

(7) საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება და საერთაშორისო კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია.

ფერმერული მეურნეობების გამსხვილება აუცილებელია როგორც სასურსათო უზრუნველყოფის პრობლემის გადასაჭრელად, ასევე, ეკონომიკური განვითარებისათვის (Dobermann...2013). მასალების ანალიზმა გვიჩვენა, რომ საქართველოში ფერმერთა საერთო რაოდენობაში მცირე ფერმერული მეურნეობების წილი საკმაოდ მაღალია და ეს მაჩვენებელი საშუალოდ 75-80%-ს შეადგენს. წვრილმასშტაბური მეურნეობები 1-3 ჰექტრამდე მიწის ფართობს ფლობენ და სასურსათო ბაზრებზე ნაკლებად გადიან, მათ მიერ წარმოებული პროდუქტის უმეტესობას ძირითადად თვითდაკმაყოფილების მიზნით მოიხმარენ. ასეთი მეურნეობები, შესაბამისად საკმაოდ მწირი შემოსავლების გამო, თითქმის ვერ იყენებენ წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიებს, ვერ იღებენ შესაბამის აგრო და ვეტერინარურ და სხვა სახის მომსახურებას, ვერ ახდენენ ჯიშთა გაუმჯობესებას, რის გამოც მწარმოებლურობის მაჩვენებლები ძალიან დაბალია, შესაბამისად დაბალია უკუგებაც.

დამამუშავებელი საწარმოებისა და პროდუქტების შენახვის საცავების შექმნა;

ტექნიკისა და ტექნოლოგიების მიწოდების მექანიზმების სტიმულირება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს როგორც კონკურენტუნარიანი პროდუქტის შექმნას, ასევე, სურსათზე დანაკარგების შემცირებას. ისრაელის მაგალითის შესწავლამ გვიჩვენა, რომ ამ ქვეყნის სოფლის მეურნეობის წარმატება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებაზეა დაფუძნებული. მაგალითად, მორწყვის სისტემა თანამედროვე წვეთოვანი ტექნოლოგიებით ხდება. ქვეყანამ, სადაც წვიმა მხოლოდ

ზამთარში მოდის (სექტემბერი-აპრილი), შექმნა წყლის მარაგები რომელთა 75% სოფლის მეურნეობის საჭიროებებზეა განკუთვნილი. ფაქტიურად მოქმედებს პრინციპი - წყალი ყველა ნაკვეთში.

ცნობილია, რომ ისრაელის აგრობიზნესის სფეროს წარმატების საწინდარია თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება როგორც ნედლეულის წარმოების, ასევე, გადამამუშავების სექტორში. ბიბლიოგრაფიული კვლევით გამოვლინდა

ტექნოლოგიებზე დამყარებული ისრაელის სოფლის მეურნეობის წარმატების 10 მნიშვნელოვანი ფაქტორი:

1. აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტის 76% ხდება ევროკავშირის ქვეყნებში;
2. ტექნოლოგიების გამოყენებით ხილისა და ბოსტნეულის ორგანულ ლეპტიკური მაჩვენებლების გაუმჯობესება და გემური თვისებების შეცვლა;
3. ბოსტნეულის დამუშავება ხდება ფოტოტექნიკისა და კომპიუტერული ტექნიკის საშუალებით;
4. ნუშსა და ფინიკს კრეფენ სპეციალური კომბაინების საშუალებით;
5. სახელმწიფო ახდენს შესყიდული პროდუქტებისა და დანერგილი ტექნოლოგიების საერთო მოცულობიდან ფერმერთა 40%-ით სუბსიდირებას;
6. ძალიან მცირეა დანაკარგები ყურძნისა და სხვა სასოფლო სამეურნეო პროდუქციის ალების პროცესში;
7. სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოავლიანობიას და შინაური პირუტყვის პროდუქტიულობას გარკვეულ წილად ზრდიან სხვადასხვა გზებისა და მეთოდების გამოყენებით. მაგალითად: მსხვილფეხა რქოსან საქონელზე ცივი წყლის გადასხმით;
8. კვერცხმდებლობას ზრდიან ფერადი სათამაშოების გამოყენებით;
9. გლობალური და სისტემურია მავნებლებთან და დაავადებებთან ბრძოლა;
10. კარტოფილისა და ბევრი სხვა პროდუქციის შენახვის ვადებს ზრდიან სხვადასხვა დამცავი მექანიზმების გამოყენებით (ეთერზეთებით დამუშავება).

ზემოთ დასახელებული ტექნოლოგიების გამოყენების შედეგად საკმაოდ მცირდება პროდუქტების დანაკარგები. საქართველოში სურსათის დანაკარგები კი შენახვისას სურსათის მთლიანი რაოდენობის 30-40%-ს შეადგენს. შესაბამისად ეს არა მარტო საბოლოო შედეგებზე, აისახება სასურსათო ბაზრებზე და მოსახლეობის სურსათით თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლებზეც, ასეთი დანაკარგების გამო დიდია დისბალანსი კერძო სასურსათო ბაზარსა და მომხმარებელთან მიმართებაში (Giovannucci...2012). სურსათის დანაკარგები მინიმუმამდეა დაყვანილი ევროპის ქვეყნებში, ასევე, ისრაელში. სადაც მოსავლის წარმოებისა და ალების პროცესი ინდუსტრიულ საფუძველზე გადაყვანის გამო დანაკარგები უმნიშვნელოა, მაგალითად, ყურძნის ალება ხდება სპეციალური კომბაინის მეშვეობით და ხელით

კრეფასთან შედარებით დანაკარგები შემცირებულია 10%-დან 15%-მდე. იგივე ითქმის თითქმის სხვა ყველა კულტურის მიმართაც (ნუში, ხურმა და სხვ.).

აგრობიზნესის განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მიწის ფონდის, სასურსათო ბაზრებისა და რესურსების შესახებ საინფორმაციო სისტემების შექმნა. საინფორმაციო სისტემების შექმნა სტრატეგიული რესურსი იქნება მიწოდების ჯაჭვის სრულყოფისათვის და სასურსათო რეზერვებსა და საზოგადოებას შორის ახალი ურთიერთობების ჩამოყალიბებას გამოიწვევს (**Renting...2010**).

გასათვალისწინებელია სურსათის მიწოდების ურბანული სტრატეგიაც. საქართველოში განსაკუთრებით სუსტია რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების როლი სასურსათო უზრუნველყოფის პოლიტიკის გატარებაში. სასურსათო პოლიტიკის გააქტიურება ადგილობრივ დონეზე გამოიწვევს მთავრობასა და საზოგადოებას შორის ახალი დამოკიდებულების ფორმირებას და ასიმეტრიული ინფორმაციის აღმოფხვრას.

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში დღეს ფერმერობა არ განიხილება „პრესტიჟულ“ საქმიანობად, დაბალია მათი კვალიფიკაცია, მცირეა მათში ახალგაზრდების დაინტერესება და სხვ. აგრობიზნესის განმახიარებელი ევროპული ტიპის სასწავლო პროგრამების შექმნა და კვალიფიკაციის ამაღლების კურსების ფორმირება, ევროპულ ქვეყნებში სტაჟირების პროგრამების ამოქმედება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს აგრობიზნესის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად განვითარებას.

აგრობიზნესის განვითარებისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელია სახელმწიფოსგან პოლიტიკური მხარდაჭერის განხორციელება. ექსპერტული გამოკითხვის დროს მცირე და საშუალო ფერმერების მხრიდან ეს საკითხი ხშირად დასახელდა, როგორც პრობლემატური. ფერმერთა დიდი ნაწილისთვის ბუნდოვანი ან არასრულყოფილია საკანონმდებლო ბაზა, გაუგებარია სუბსიდირების, სტიმულირებისა და სხვა პროგრამების არსი და გაცემის პირობები, ასევე, დღესაც არ არსებობს კანონმდებლობა უშუალოდ ფერმერული მეურნეობების შესახებ, ჯერ კიდევ ძალიან მცირეა საბიუჯეტო მხარდაჭერა.

საქართველოში სოფლის მეურნეობის საბიუჯეტო მხარდაჭერა ევროკავშირთან შედარებით სუსტია (**სტრატეგია 2014:7**). საქართველოში დარგის

დახმარების მოცულობა 3.0%-ის ოდენობით არის განსაზღვრული (სფს 2021). ეს მაჩვენებელი კი მნიშვნელოვნად ჩამორჩება ევროპის ქვეყნების შესაბამის მაჩვენებლებს. ადეკვატური სახელმწიფო მხარდაჭერის გარეშე დახმარების ეს დონე საკმარისი არ არის მდგრადი სასურსათო უზრუნველყოფისა და 2030 წლის დღის წესრიგის მიზნების მისაღწევად. მაგალითად, ისრაელში სოფლის მეურნეობის პროგრამული უზრუნველყოფა, მიწის მორწყვის სისტემები, მოსავლის აღების ინოვაციური ტექნოლოგიები იაფია სახელმწიფო მხარდაჭერის გამო. სახელმწიფო დასახელებული მიმართულებებით ახდენს ფერმერთა სუბსიდირებას 40%-ის ფარგლებში. საქართველოში მხოლოდ რამდენიმე კულტურაზე გაიცემა არასაკმარისი მოცულობის სუბსიდიები.

ადგილობრივი ფერმერებისთვის ერთ-ერთ პრიორიტეტულ საჭიროებას წარმოადგენს აგროსასურსათო პროდუქტების შენახვის საცავები და სარწყავი სისტემების მოწესრიგება.

აგრობიზნესის პრიორიტეტულ საჭიროებებზე განვითარების პრიორიტეტულ საჭიროებებზე აქცენტების გაკეთება და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება ამ თვალსაზრისით ეფექტიანი აგრობიზნესის მოდელის შექმნის მნიშვნელოვანი პირობაა. მოდელის შექმნისადმი სისტემური მიდგომა უზრუნველყოფს მაღალხარისხიანი, უსაფრთხო და კონკურენტუნარიანი აგროსასურსათო პროდუქტების წარმოების სტაბილურ ზრდას, სასურსათო უსაფრთხოების მიღწევას, ადგილობრივი წარმოების ზრდით იმპორტის ჩანაცვლებას, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

2.3 სასურსათო უსაფრთხოება და აგრობიზნესის განვითარების

პოტენციური მოდელები

აგრობიზნესის განვითარება ხელს შეუწყობს მისი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილის სოფლის მეურნეობისა და მასთან დაკავშირებული დარგების ტრანსფორმაციას თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად, ასევე, გამოიწვევს

ცვლილებების განხორციელების აუცილებლობას განვითარების მოდელებში (DCFTA 2012).

აგრობიზნესის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორების გამოვლენისა და პრიორიტეტული საჭიროებების დადგენის შემდეგ, მიზანშეწონილია განისაზღვროს აგრობიზნესის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები და კომპლექსური შეფასების საფუძველზე განისაზღვროს ეფექტიანი აგრობიზნესის მოდელი.

ქმედითი და ეფექტიანი მოდელის ფორმირებისას მიზანშეწონილია გავითვალისწინოთ ქვეყნის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები, ასევე, განვითარების კონცეპტუალური გადაწყვეტილებები, ფორმირებული ბიზნეს გარემო, მოქმედი საკანონმდებლო რეგულაციების, მაკრო და მიკრო ეკონომიკური პრობლემების თავისებურებები და სხვ.

საქართველოს ეკონომიკამ ბოლო პერიოდში გარკვეული პროგრესი განიცადა, შეიქმნა როგორც ეროვნული ეკონომიკის, ასევე, მისი ცალკეული დარგის სტრატეგიული განვითარების პროგრამები, ჩამოყალიბდა ეკონომიკური პოლიტიკის სტრუქტურირებული ინსტიტუციური და სამართლებრივი ჩარჩოები.

აგრობიზნესის მოდელის შემუშავებისას ვიხელმძღვანელებთ კონცეფციით, რომლის თანახმადაც ამ სფეროში უმეტესწილად მცირემასშტაბიანი წარმოებაა, გავითვალისწინეთ საქართველოს ეკონომიკური განვითარების კონტექსტი და ტენდენციები, ბიზნეს გარემო და ეროვნული ეკონომიკის სექტორების მიმოხილვის შედეგები. ამასთან, დავეყრდენით კვლევებს, რომელიც ჩატარდა აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) ექვს ქვეყანაში (სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, საქართველო, მოლდოვას რესპუბლიკა და უკრაინა) მცირე ბიზნესის აქტის ხუთი ძირითადი სტრატეგიული მიმართულების შეფასებისა და მცირე ბიზნესის აქტის ათი პრინციპის დანერგვის შესახებ (მსს პოლიტიკის ინდექსი 2020). გავითვალისწინეთ საქართველოში აგრობიზნესის განვითარების გაუმჯობესების შესაძლებლობები, ქვეყნის წინაშე არსებული პრობლემები და სხვადასხვა კვლევით შემოთავაზებული რეკომენდაციები საჭირო პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ.

ევროპის მცირე ბიზნესის აქტი (SBA) წარმოადგენს მნიშვნელოვან პუბლიკაციას, რომელშიც განხილულია მრავალმხრივი ინფორმაცია აღმოსავლეთ

პარტნიორობის (EaP) ექვს ქვეყნებში მცირე ბიზნესის ფორმირების პრინციპების შესახებ. მასში ასახულია რამდენიმე სტრატეგიული მიმართულება, რომელსაც ქვეყნები უნდა ითვალისწინებდნენ მოდელების აგების დროს:

1) **სტრატეგიული მიმართულება A** – ბიზნესის საჭიროებებზე ორიენტირებული პოლიტიკა (ინსტიტუციური და სამართლებრივი ჩარჩო).

საქართველოში ფორმირებულია პოლიტიკის სტრუქტურირებული, ინსტიტუციური და სამართლებრივი ჩარჩოები. ქვეყანა ამჟამად ახორციელებს ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა სტრატეგიას. სტრატეგიები ჩამოყალიბებულია ხუთი ძირითადი მიმართულების საფუძველზე: სამეწარმეო და ინსტიტუციონალური გარემოს გაუმჯობესება; ფინანსებზე წვდომა; უნარების დახვეწა და სამეწარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობა; ექსპორტის წახალისება და საწარმოთა ინტერნაციონალიზაცია; ინოვაციებისა და სამეცნიერო კვლევებისა და ნაშრომების მხარდაჭერა). სტრატეგიის განხორციელებაში ჩართული სახელმწიფო უწყებები და ინსტიტუტები რეგულარულად ადგენენ ანგარიშებს მიღწეული პროგრესის შესახებ, ხოლო სტატისტიკის ეროვნული სამსახური ამზადებს ანგარიშს მიღწეულ შედეგებზე.

საქართველოში შექმნილია სტანდარტების შესაბამისი სამართლებრივი და სამეწარმეო გარემო, რომელმაც მოიპოვა საერთაშორისო აღიარება. საქართველო იყენებს ელექტრონული მართვის მომსახურების თანამედროვე პლატფორმას. ამჟამად მთავარია საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრების სისტემამ ხელი შეუწყოს საწარმოებისა და კერძო მოქალაქეების წვდომას სამთავრობო სერვისებზე. სამართლებრივი რეფორმის პოლიტიკის შედეგად, ბიზნეს ლიცენზიების რაოდენობა შემცირებულია 85%-ით და შემოღებულია ელექტრონული აუქციონი დარჩენილი ლიცენზიების განაწილებისთვის, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს კორუფციის შესაძლებლობას. საქართველომ შეიმუშავა კომპანიების რეგისტრაციის ულტრათანამედროვე სისტემა და დღეისათვის ქვეყანა 2020 წლის ბიზნესის კეთების ანგარიშის ბიზნესის დაწყების ინდიკატორის მიხედვით მეორე ადგილზეა, ახალი ზელანდიის შემდეგ. შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიის რეგისტრაცია მხოლოდ ერთ პროცედურას საჭიროებს, რამდენადაც მუშაობს ერთი ფანჯრის სისტემა, სადაც სრულდება ყველა საჭირო პროცედურა ახლადშექმნილი

კომპანიისთვის. ბიზნესის დაწყების მთელი პროცედურა სრულდება ერთ დღეში, ხოლო მომსახურების ღირებულება შეადგენს ქვეყნის ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის 2.1%-ს (აპქ 2020). გარდა ამისა, მცირე ზომის საწარმოებისთვის საქართველომ აამოქმედა მსუბუქი დაბეგვრის რეჟიმი. მიკროსაწარმოები, რომელთაც წლიური შემოსავალი 30 000 ლარზე ნაკლებია, გათავისუფლებულია მოგების გადასახადისაგან, ხოლო მცირე საწარმოები, რომელთა წლიური ბრუნვა არ აღემატება 500 000 ლარს, ექვემდებარება გადასახადის გადახდას დასაბეგრი შემოსავლის მხოლოდ 1%-ის ოდენობით.

სტრატეგიული მიმართულება B – სამეწარმეო და ადამისეული კაპიტალი.

აღნიშნული მიმართულებით გათვალისწინებულია „ევროპის მცირე ბიზნესის აქტით“ განსაზღვრული ადამიანისეული კაპიტალის კომპონენტები, აქცენტი გაკეთებულია მეწარმეობაზე, როგორც უმთავრეს კვალიფიკაციაზე. ამასთან, ყურადღება გამახვილებულია ფაქტორზე, რომელმაც საქართველო უნდა გაიყვანოს საერთაშორისო ბაზრებზე და გახადოს როგორც ქვეყანა, ასევე, დარგები კონკურენტუნარიანი, მზარდი სამუშაო ადგილებით.

დასახელებული სტრატეგიული მიმართულება განსაკუთრებულად უსვამს ხაზს სამეწარმეო უნარების განვითარების აუცილებლობას. სამეწარმეო უნარები აგრობიზნესის სფეროში ყველაზე უკეთ ყალიბდება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში. აგრობიზნესის სფეროსათვის საერთაშორისო დონის საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზება ხელს შეუწყობს და მოემსახურება დასაქმების პერსპექტივისა და კარიერული წინსვლის მიზანს, რის განხორციელებაში სამეწარმეო უნარ-ჩვევები გადამწყვეტ როლს შეასრულებს.

სასწავლო პროგრამისთვის გათვალისწინებული უნდა იქნას არსებულ სასწავლო საგნებზე დაფუძნებული ძირითადი სამეწარმეო უნარების განმავითარებელი ალტერნატიული შესაძლებლობები. გამოყენებული უნდა იყოს „ევროპის სამეწარმეო კომპეტენციების ჩარჩო“-ს მიმართულებები.

სტრატეგიული მიმართულება C – ფინანსებზე წვდომა.

აღნიშნული სტრატეგიული მიმართულება უნდა მოიცავდეს საბანკო და ფინანსური ინსტიტუტების, ასევე, საცალო და საბითუმო ვაჭრობის, კომუნალური მომსახურების პროვაიდერების შესახებ ინფორმაციებს.

საქართველოსთვის ჯერ კიდევ პრობლემურია კაპიტალის ბაზრის ფინანსებზე წვდომა. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლების მიერ იგი პრიორიტეტულად არის გამოცხადებული და დაგეგმილია შესაბამისი რეფორმების გატარება. დასახელებული ბაზარი დღეისათვის არ არის მდგრადი და მომხმარებელს ვერ სთავაზობს საწარმოებს ფინანსების რეალურ წყაროებს. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია მოხდეს კრედიტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდაც და დაკრედიტების გზების პროცესის გამარტივება.

სტრატეგიული მიმართულება D – ბაზრებზე წვდომა.

საქართველოში ამ მიმართულებით გარკვეული წინსვლა შესამჩნევია, მაგრამ აუცილებელია განხორციელდეს სახელმწიფო შესყიდვების რეგულირების მექანიზმების სრულყოფა, ელექტრონული შესყიდვების გაფართოება, შესაბამისი კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროპის ქვეყნების კანონმდებლობასთან და სხვა. უახლოეს პერიოდში სახელმწიფო შესყიდვების ბაზარზე საწარმოების მონაწილეობის დონის ამაღლების მიზნით, გასათვალისწინებელია სხვადასხვა სახის რეფორმის ჩატარება შემდგომი ინტერნაციონალიზაციის მიზნით (აპქ 2020). ინტერნაციონალიზაციის დონის ამაღლება საქართველოში, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ექსპორტის პოპულარიზაციასა და ექსპორტის დამხმარე სერვისებით მომსახურების გაუმჯობესებას, ხელს შეუწყობს აგრობიზნესის სექტორს საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის გაზრდაში. ბაზრებზე წვდომისა და ექსპორტის განხორციელებაში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია შესაბამისი ინიციატივებისა და მენეჯმენტის კურსების დანერგვასაც.

სტრატეგიული მიმართულება E – ინოვაცია და ბიზნესის მხარდაჭერა

ბიზნესის მხარდაჭერა ბიზნესის განვითარების სხვადასხვა სერვისების საშუალებით ხორციელდება შესაბამისი მხარდამჭერი პროგრამების გამოყენებით. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მიკრო და მცირე ბიზნესის მხარდამჭერი კომპონენტების გამოყენებას. ქვეპროგრამები კი მოიცავს ფინანსურ დახმარებას და სავალდებულო ტექნიკური დახმარების კომპონენტს, რაც ხელს უწყობს მეწარმეებს წვდომას ბიზნესის განვითარების სერვისებზე.

ზოგიერთი პროგრამა ემსახურება მეწარმეების სპეციფიკურ ქვეჯგუფებს, მაგალითად, ერთ-ერთი მათგანია „ახალგაზრდა მეწარმეების მხარდაჭერის პროგრამა,“ რომელსაც ახორციელებს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. ასევე, მოქმედებს პროგრამა „აწარმოე საქართველოში“, რომელსაც კოორდინაციას უწევს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

აგრობიზნესის განვითარების მოდელის ასაგებად მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ COVID-19-ის ზეგავლენის შედეგები, ასევე, სხვადასხვა ორგანიზაციების, მათ შორის გაეროს თანამშრომლობის სტრატეგიული პრიორიტეტები (გაერო 2020).

2014 წელს საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას და შეუერთდა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებას (DCFTA), რამაც ქვეყანას განსაკუთრებული სავაჭრო რეჟიმით სარგებლობის შესაძლებლობა მისცა. ევროკავშირის წევრობა ქვეყნის უმთავრესი პრიორიტეტია. გასათვალისწინებელია 2030 წლის დღის წესრიგის განვითარების სქემა, სადაც ასახულია ოთხი კომპონენტი (სოციალური ჩართულობა, ეკონომიკური განვითარება, მდგრადი ენერგორესურსები და გარემოს დაცვა და დემოკრატიული მმართველობა). მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში წარმატების ანალიზი ცხადყოფს, რომ ქვეყნის განვითარების სქემა და ასოცირების ხელშეკრულება ფარავნ ეროვნული მდგრადი განვითარების მიზნების 93%-ს და ეს ერთგვარი მოდელის აგებისას აუცილებელი იქნება ისეთი ფაქტორების გათვალისწინება, რომლებიც პროდუქტიულობის მკვეთრ ზრდას გამოიწვევს და ხელს შეუწყობს კერძო სექტორის ჩართვას განვითარების დაფინანსებაში, ხოლო ზრდის საკმარისად მაღალი დონის შენარჩუნება უზრუნველყოფს ფისკალურ სივრცეს ამგვარი დაფინანსებისთვის.

აგრობიზნესის განვითარების წინაშე არსებულ გამოწვევებს კიდევ უფრო ამძაფრებს ეკონომიკური სტრუქტურების ტრანსფორმაციის აუცილებლობა. ეკონომიკა ხასიათდება დუალიზმით, კერძოდ ძირითადად განვითარებულ ურბანულ ტერიტორიებთან თანაარსებობს ღარიბი სასოფლო-სამეურნეო რეგიონები, რომლებიც დაბალმწარმოებლური აგრობიზნესის განვითარებაზე დამოკიდებული

და სოციალური უსაფრთხოების ფუნქციას უფრო ასრულებს, ვიდრე ეკონომიკის განმავითარებელი სექტორისა.

აგრობიზნესის მოდელი მდგრად და ინკლუზიურ განვითარებას უნდა ემსახურებოდეს. ამასთან, აგრობიზნესის მოდელი თანხვედრაში უნდა იყოს მდგრადი განვითარების მიზნებთან, რითაც ქმნის ერთიან და ინტეგრირებულ გზას განვითარებისთვის, ასევე, უნდა შეესაბამებოდეს ასოცირების ხელშეკრულების დებულებებსა და სხვა ქვეყნებში მოქმედ საკანონმდებლო ბაზას. სასურველია მოდელში გათვალისწინებული იყოს ვარაუდები მოსალოდნელი ცვლილებებისა და რისკების შესახებ, რომლებმაც შესაძლოა გავლენა მოახდინონ განვითარების მიმართულებებზე.

საქართველოში აგრობიზნესის განვითარების კომპლექსური მოდელი დღემდე შემუშავებული არ არის, პრობლემები მხოლოდ ფრაგმენტულად ფასდება და აგრობიზნესის განვითარების კონცეფცია ერთ მოდელში არ არის წარმოდგენილი. ამ თვალსაზრისით მცირეა ჩატარებული კვლევებიც. აგრობიზნესის საჭიროებების სხვადასხვა კვლევასა და ანგარიშში სფეროს განვითარების მხოლოდ ცალკეული დეტალებია მოცემული.

საქართველოში ეკონომიკის მთავარ პრობლემად კვლავ მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფა უნდა განვიხილოთ. ამასთან, ამ პრობლემის მოგვარების მთავარი გზა მაღალმწარმოებლური სოფლის მეურნეობის მოდელის შექმნა უნდა იყოს. მდგრადი სასურსათო უზრუნველყოფა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სოფლის მეურნეობის განვითარებაზე (**Giovannucci...2012**).

აგრობიზნესის ეფექტიანი მოდელის შესამუშავებლად გასათვალისწინებელია ეკონომიკის სამი ტრადიციული სექტორის ურთიერთკავშირი: სოფლის მეურნეობის (პირველადი სექტორი), მრეწველობის (მეორეული სექტორი) და მომსახურების (მესამეული სექტორი). მიზანშეწონილია დასახელებული სექტორები განვიხილოთ თითოეულ სექტორში გამოყენებული საწარმოო ფაქტორების მიხედვით, მაგალითად, პირველად სექტორში მთავარ საწარმოო ფაქტორს ძირითადად მიწა და ბუნებრივი რესურსები წარმოადგენს, მეორეულ სექტორში საწარმოო ფაქტორებად ფიზიკური კაპიტალი, ხოლო მესამეულში სამუშაო ძალა უნდა განვიხილოთ. მეცნიერთა ნაწილი, ზოგჯერ, მეოთხეულ სექტორსაც განიხილავენ, როგორც ცოდნაზე დაფუძნებულ

ეკონომიკას, სადაც საწარმოო ფაქტორებად განიხილება ადამიანური კაპიტალი, განათლება, ცოდნა და ამ ინტელექტუალური საწარმოო ფაქტორებით „იწარმოება“ პროდუქცია. მეცნიერთა ნაწილის ასეთი მიდგომები სხვადასხვა მეცნიერული კვლევითაც არის დადასტურებული. ასეთი კონცეპტუალური გადაწყვეტილებები გახდა სწორედ ისრაელის სოფლის მეურნეობის ეკონომიკის მამოძრავებელი ძალა. ამ ტექნოლოგიებით ქვეყანამ შეძლო ექსპორტის მოცულობის ზრდა, რამაც, თავის მხრივ, მთელი ეკონომიკა აამოძრავა (ენციკლოპედია 2010). ასეთი კონცეპტუალური გადაწყვეტილებები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ქვეყნებისათვის, რომელთაც მცირე მოცულობის ბაზარი აქვთ. ამ კონცეფციაში მთავარი რგოლი არის სოფლის მეურნეობა. ისრაელის ეკონომიკის კონცეფციების შესწავლამ გვიჩვენა, რომ სწორედ ტრადიციული ეკონომიკიდან (სოფლის მეურნეობიდან) დაწყებული და ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის შექმნით შეძლო ქვეყანამ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება უკვე ეკონომიკის ყველა სფეროში და ლიდერის პოზიციების მოპოვება ევროკავშირის მომთხოვნ ბაზარზე.

საქართველოში აგრობიზნესის განვითარებისათვის სხვადასხვა მიმართულებით რიგი ღონისძიებები ტარდება, თუმცა, რადიკალური ცვლილებებისათვის საჭიროა კომპლექსური მიდგომები. დასაბუთებული აგრობიზნესის მოდელების შემუშავება ხელს შეუწყობს პრობლემების ერთგვაროვნებისა და პრიორიტეტების მიხედვით განსაზღვრას და მათი თანმიმდევრული გადაჭრის გზების შემუშავებას.

საქართველოში, ისე როგორც ზოგადად სოფლის მეურნეობაში, წარმოება უნდა შეფასდეს როგორც მრავალგანზომილებიანი, მრავალდონიანი, მონაწილეთა ფართო სპექტრის ჩართულობით მოქმედი პროცესი. დასახელებული სპექტრიც მიუთითებს აგრობიზნესის განვითარებისათვის საჭირო მოდელის შექმნის აუცილებლობასა და სირთულეზე.

აგრობიზნესის მოდელების შემუშავება ზემოთ დასახელებული კომპლექსური მიდგომების გათვალისწინებით გვიჩვენებს, რომ ამ სფეროს განვითარება ლოგიკურად იქნება დაკავშირებული სასოფლო ტერიტორიების განვითარების კონცეფციასთანაც.

სასოფლო განვითარების კონცეფცია ისტორიულად მუდმივ ცვლილებას განიცდიდა. თანამედროვე ეტაპზე რამდენიმე კონცეფცია განიხილება, მათგან ძირითადად დანერგილია სამი მიმართულება: 1. ნედლეულის წარმოებისა და გადამამუშავების სისტემაში დასაწყისში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება აგრარული სექტორის განვითარებას. მოცემულ შემთხვევაში უმთავრესია სოფლის მეურნეობისა და ნედლეულის გადამამუშავებელი კომპლექსის მოდერნიზება, წვრილმასშტაბური ფერმერული მეურნეობების გამსხვილების პროცესის განხორციელება, კლასტერული და/ან კოოპერირების ფორმების განვითარება და მართვა; 2. მთავარი აქცენტები კეთდება კონვერგენციაზე. ცნობილია, რომ როგორც სოფლის მეურნეობა, ასევე, ნედლეულის გადამამუშავებელი დარგები საერთო სტანდარტებს ჩამორჩებიან და საჭიროებენ მიზნობრივ მხარდაჭერას. დასახელებული კონცეპტუალური მიდგომები ძირითადად ჩამორჩენილი, დეპრესიული რეგიონებისთვის გამოიყენება; 3. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ტერიტორიის შესაძლებლობების კომპლექსურად გამოყენება, რაც ფართო გაგებით ითვალისწინებს როგორც რესურსული, ასევე, ადამიანისეული ფაქტორების მაქსიმალური ეფექტიანობით კომპლექსურ გამოყენებას (აგრობიზნესი 2015).

ყოველთვის მოსალოდნელია, რომ აგრობიზნესის მოდელის ფუნქციონირების პროცესში სხვადასხვა პრობლემა გაჩნდება, თუმცა, თუ მოდელი ინოვაციურ მიდგომებზე იქნება დაფუძნებული, იგი უდავოდ პროგრესულ მოვლენად უნდა განვიხილოთ. აგრობიზნესის განვითარებისათვის პრიორიტეტული საჭიროებების განსაზღვრამაც გვიჩვენა, რომ აგრობიზნესის მოდელი უნდა ითვალისწინებდეს ურბანული ცხოვრების სოციალურ-კულტურულ პირობებთან შესაბამისობას, ინფორმაციული, ინსტიტუციური, ინფრასტრუქტურული, მაღალტექნოლოგიური, ინოვაციური და ინკლუზიური ეკონომიკის სტრუქტურებით.

თანამედროვე აგრობიზნესის მოდელის ფორმირებისას, უპირველესად, გასათვალისწინებელია ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენება, ასევე, აგრობიზნესის მართვის კლასტერული პოლიტიკის შემუშავება. საქართველოში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეგიონების არათანაბარზომიერი

განვითარების დონეთა გათვალისწინება, შესაბამისად მოდელი უნდა ასახავდეს სუსტად განვითარებული რეგიონების თავისებურებებსა და ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობებს. აღნიშნულის შესაბამისად უაღრესად მნიშვნელოვანია ისეთი პროგრესული ტერიტორიული მოდელის ფორმირება, სადაც მთავარი ამოცანა იქნება აგრობიზნესის განვითარების დივერსიფიკაცია, ინკლუზიური განვითარება, კომპლექსურობა და რაციონალიზაცია. ასეთი მოდელის შემუშავებისას აუცილებელია დაფინანსების არხებისა და მართვის მრავალმხრივი სისტემების გათვალისწინებაც. ამგვარო მოდელის კონცეფციაში ორი მთავარი მიმართულება იკვეთება: 1. აგრარული სექტორის პრიორიტეტი; 2. დივერსიფიცირებული აგრობიზნესი განვითარების მრავალმხრივი შესაძლებლობებით. ასეთი მიდგომებით შემუშავებული აგრობიზნესის მოდელი მდგრადი იქნება, რადგან დაყრდნობილია ზოგადად ტერიტორიების და განსაკუთრებით, სასოფლო ტერიტორიების თავისებურებებს, პოლიტიკის კონცეპტუალურ, პროგრამულ და სამართლებრივ უზრუნველყოფაზე (კოლუაშვილი 2019).

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოსათვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა აგრობიზნესის განვითარებისათვის ისეთი კონკურენტუნარიანი მოდელის შემუშავება, რომელიც ცოდნაზე იქნება დაფუძნებული და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით შეუქმნის მოსახლეობას ხელმისაწვდომ და ხარისხიან სურსათს.


აგრობიზნესის მოდელი, უპირველესად, მდგრადი განვითარების პრინციპებს უნდა ითვალისწინებდეს. ამასთან, მასში უნდა აისახოს როგორც მოკლევადიანი, ასევე, საშუალო და გრძელვადიანი სტრატეგიული მიმართულებები და კონკრეტული ღონისძიებები.

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიული ხედვა, მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაყრდნობით, ითვალისწინებს ისეთი გარემოს შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს აგროსასურსათო სექტორში კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოების სტაბილურ ზრდას, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფას, სურსათის უვნებლობასა და სოფლად სიღარიბის დაძლევას (ეს 2015). აღნიშნული კონცეფციის

მიხედვით შემუშავებული მოდელი ხელს შეუწყობს აგრობიზნესის განვითარებას, რომლის რესურსული პოტენციალი ქვეყანაში არსებობს.

ზემოთ გაანალიზებული კონცეფციებისა და საერთაშორისო დონეზე შემუშავებული მიდგომების ანალიზის საფუძველზე საქართველოში აგრობიზნესის მოდელის ძირითადი სტრუქტურა შემდგენიერად იქნა წარმოდგენილი (იხ. სქემა 2.3.1.).

სქემა 2.3.1 საქართველოში აგრობიზნესის მოდელის ძირითადი სტრუქტურა



წყარო: სქემა შედგენილია ავტორის მიერ.

ბუნებრივ-რესურსული, ეკონომიკური, პოლიტიკური, ისტორიულ-კულტურული და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით საქართველოსთვის ეფექტიანი იქნება ისრაელისა და მსგავსი მცირემიწიანი ქვეყნების აგრობიზნესის მოდელების გათვალისწინება. მაგალითად, ისრაელს ტერიტორიის მიხედვით საქართველოსთან შედარებით 3,3-ჯერ ნაკლები ფართობი აქვს, მოსახლეობის მიხედვით 2-ჯერ მეტია. სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი ქვეყნის საერთო მიწის

ფონდში საქართველოში შეადგენს 49%-ს, ისრაელში 20%-ს. ე.ი ისრაელს საქართველოსთან შედარებით 2-ჯერ და მეტად ნაკლები სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი აქვს. მიუხედავად ამისა, ისრაელის სოფლის მეურნეობა მსოფლიო ექსპერტების მიერ შეფასებულია როგორც ფენომენი, ამის დასადასტურებლად ისიც საკმარისი, რომ მიწის ფონდის ასეთი შეზღუდული რესურსის პირობებში ისრაელში ფერმერთა 3,7% 95%-ით აკმაყოფილებს საკუთარი მოსახლეობის მოთხოვნებს (**ხარაიშვილი**).

ეროვნული მოდელის შესამუშავებლად მიზანშეწონილია წარმატებული მაგალითების გამოყენება. ამ მხრივ ისრაელის სოფლის მეურნეობა მთლიანად თანამედროვე ტექნოლოგიებზეა ორიენტირებული.

ამასთან, ისრაელის საქართველოსთან მნიშვნელოვანი მსგავსება რესურსული პოტენციალისა და აგროსასურსათო პროდუქტების წარმოებას უკავშირდება. აგროსასურსათო პროდუქტებზე დღეს მოთხოვნა მაღალია როგორც საქართველოში, ასევე, მსოფლიოში, შესაბამისად, თავისუფალი ბაზრის ფუნდამენტური კანონების მიხედვით საჭირო იქნება მიწოდებაც. ამისათვის აუცილებელია საქართველოში შეიქმნას თანამედროვე ცოდნასა და ტექნოლოგიებზე დაფუძნებული აგროსასურსათო სექტორი. ისრაელში სოფლის მეურნეობის პროდუქტებიდან ექსპორტზე ორიენტირებულია ციტრუსების, კვერცხის, ყვავილებისა და სხვათა წარმოება. საქართველოში აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტის სამეული ასეთია: თხილი, სპირტიანი სასმელები და ღვინო.

საქართველოში ისრაელისაგან განსხვავებით რესურსული პოტენციალი არაეფექტიანად გამოიყენება, მაგალითად, ისრაელში სოფლად მოსახლეობის 2,7%-ია დასაქმებული, მაგრამ ქვეყანა ლიდერია აგრარული წარმოების დარგში, რადგან მთავარი მამოძრავებელი ძალა არის ბიზნესი და არა კონკრეტულად სოფლის მეურნეობა. საქართველოში მოსახლეობის თითქმის ნახევარი (სოფლად მაცხოვრებელი) მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 7,3%-ს აწარმოებს (**შპს 2020**). ცხადია, ეს ძალიან მცირე მაჩვენებელია და ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა. მით უმეტეს, რომ საქართველოსთვის, 2030 მდგრადი განვითარების მიზნებიდან გამომდინარე, აქტუალურია დღის წესრიგით გათვალისწინებული 17

მიზნიდან პირველ ხუთეულში არსებული მიზნების მიღწევა, მათ შორისაა სიღარიბის აღმოფხვრა და სასურსათო უსაფრთხოება.

თავი 3. აგრობიზნესის განვითარების პრიორიტეტული საჭიროებები და პერსპექტიული მიმართულებები

3.1 აგრობიზნესის გარემო პირობების შეფასება SWOT და PESTEL ანალიზით

აგრობიზნესის განვითარების ტენდენციების სრულყოფილი ანალიზის, სფეროში არსებული პრობლემების გამოვლენისა და პერსპექტიული მიმართულებების დასადგენად მნიშვნელოვანია იმ მიკრო და მაკრო გარემო პირობების კომპლექსურად შეფასება, რომელშიც ბიზნეს უწევს ფუნქციონირება. შესაბამისად აგრობიზნესის სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, ტექნოლოგიური და სამართლებრივი გარემოს შეფასება განხორციელდა SWOT და PESTEL ანალიზის საშუალებით.

მცირე და საშუალო ზომის ფერმერებისა და სექტორის ექსპერტების მოსაზრებების ერთგვაროვნების დაჯგუფების საფუძველზე, SWOT ანალიზის მიზნებიდან გამომდინარე, განისაზღვრა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აგრობიზნესის განვითარების ძლიერი და სუსტი მხარეები, ასევე, დადგინდა ბიზნესის ამ სახეობის განვითარების შესაძლებლობები და საფრთხეები.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აგრობიზნესის განვითარების ძლიერ მხარეებად გამოვლინდა:

-) ბიზნესის განვითარებისათვის ხელსაყრელი რესურსული პოტენციალი;
-) აგრობიზნესის საქმიანობის ისტორია და ტრადიცია;
-) რესურსების დამუშავებისა და პროდუქტებით ვაჭრობის გამოცდილება;
-) აგროსასურსათო წარმოების დაბალი დანახარჯები და პროდუქტზე დაბალი ფასები;
-) ბიზნესის განვითარებისთვის ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობები;

-) საქმიანობის ტრადიცია;
-) სფეროში დაგროვილი ცოდნა და სხვ.

აგრობიზნესის განვითარების სუსტი მხარეებია:

-) ტექნიკურ და სხვა რესურსულ საშუალებებზე დაბალი ხელმისაწვდომობა;
-) დაბალმოსავლიანი და დაბალპროდუქტიული ჯიშების არსებობა;
-) არასტაბილური საერთაშორისო ბაზარი;
-) ფინანსური მხარდაჭერის დაბალი ხელმისაწვდომობა;
-) აგროსესხებზე, საგრანტო კონკურსებსა სხვ. საჭიროებებზე ინფორმაციის ნაკლებობა;
-) დაბალი ცოდნა თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ;
-) საირიგაციო სისტემების არარსებობა ან ტექნიკური მდგომარეობა;
-) ბაზარზე ფალსიფიცირებული პროდუქციის არსებობა;
-) აგროსასურსათო პროდუქტების შენახვასთან, ტრანსპორტირებასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარვეზები;
-) აგრონომებზე, ვეტერინარები, ზოოტექნიკოსებზე და აგრარული სექტორის სხვა კვალიფიციურ სპეციალისტებზე დაბალი ხელმისაწვდომობა;
-) კლიმატური პირობების ზეგავლენის მართვის არასათანადო დონე;
-) აგროპროდუქტების აგროდაზღვევის გაუმართავი სისტემა და დაბალი დონე;

SWOT ანალიზით შემდეგი შესაძლებლობები გამოიკვეთა:

-) აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აგრობიზნესის განვითარებით გარკვეული წვლილის შეტანა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში;
-) ახალი გადამამუშავებელი საწარმოების შექმნა;
-) მცირე ფერმერებზე გათვლილი ბიზნესსესხების და ბიზნესგრანტების პროგრამების განხორციელება;
-) მონათესავე და მხარდამჭერი სექტორების განვითარება;
-) აგროსასურსათო პროდუქტების წარმოებისა და ექსპორტის დივერსიფიკაცია;
-) კვალიფიციურ პერსონალზე ხელმისაწვდომობის გაზრდა;

-) ბიზნეს საკონსულტაციო მომსახურების მიწოდება;
-) მემცენარეობაში, მეცხოველეობაში, მეფრინველეობაში ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესება;
-) კოოპერატივების შექმნა;
-) ფერმერებისათვის სპეციალური სასწავლო კურსების მიწოდება;
-) ფალსიფიკაციის წინააღმდეგ ბრძოლა;
-) ნედლეულის გადამუშავების მოდერნიზაცია;
-) მწარმოებლურობის გაზრდა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით;
-) აგროდაზღვევის სისტემის სრულყოფა-განვითარება;
-) ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, ბუნებრივი საფრთხეებისა და რისკების ისტორიულ ჭრილში შეფასება-გათვალისწინება და სხვა.

გამოვლენილი საფრთხეები შემდეგნაირად დაჯგუფდა:

-) ბუნებრივი საფრთხეები (მაგალითად, მეწყერსაშიში ზონები, წაყინვები, წყალმოვარდნები, დიდთოვლიანობა, ქარები და სხვა);
-) გარემოს დაბინძურება;
-) საერთაშორისო ბაზრებზე პოზიციების შემცირება;
-) მიგრაცია და მოსახლეობის ინერტულობა;
-) მავნებელი დაავადებები, ეპიდემიური საფრთხეები და სხვ.

აგრობიზნესის გარემოს PESTEL ანალიზმა გვიჩვენა, რომ პოლიტიკური გარემო მეტნაკლებად სტაბილურია. თუმცა, რეგიონში ზოგჯერ შექმნილი კონფლიქტური სიტუაციები უარყოფითად მოქმედებს ქართული აგროსასურსათო პროდუქტების საერთაშორისო გადაზიდვებზე და გაყიდვებზე. საერთაშორისო ბაზრებზე სტაბილური ვაჭრობა მოითხოვს უპირველესად არაკონფლიქტურ გარემოსა და სტაბილურობას მეზობელ სახელმწიფოებთან. დღეისათვის ქვეყანაში ზოგადად ღია საერთაშორისო სავაჭრო პოლიტიკაა ფორმირებული.

აგრობიზნესის განვითარებისათვის ეკონომიკური გარემოს ანალიზმა გვიჩვენა, რომ საქართველო მცირემიწიანი ქვეყანაა და იგი, როგორც ღია მცირე ეკონომიკის მქონე ქვეყანა, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საგარეო ფაქტორებზე, განსაკუთრებით ეს ითქმის აგრობიზნესზე. პრობლემებს ბოლო პერიოდში დაემატა

არასტაბილური და მაღალი დოლარიზაციის მაჩვენებელი. ამ პროცესებმა კიდევ უფრო გაამწვავა საგარეო წყაროებზე დაფინანსების დამოკიდებულება, მით უმეტეს, რომ ქვეყნის შიგნითაც მთავარ გამოწვევად ამ სფეროში ფინანსურ რესურსების დეფიციტი რჩება.

შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკურ-ფინანსური რყევების მიმართ, ცხადია, აგრობიზნესის განვითარების ფინანსური სისტემაც მაღალმგრძობიარეა. აღნიშნული გამოწვევების საფუძველზე შესაფასებელია გლობალური მაკროფინანსური გარემო პირობები და კონკრეტულად ისეთი რისკები, როგორებიცაა მსოფლიოსა და ქვეყნის დონეზე ეკონომიკური ზრდის შენელება, ასევე, გეოპოლიტიკური და ეკონომიკური გარემოს გაუარესების მოლოდინები, განსაკუთრებით გასათვალისწინებელია განვითარებად ქვეყნებში რისკის პრემიების ზრდის მოლოდინები.

აგრობიზნესის სოციალური გარემოს შეფასება გვიჩვენებს, რომ ყველაზე დიდი პრობლემაა Covid-19-მა არსებითად შეცვალა საზოგადოების ქცევის ფორმები და მოსახლეობის ჩართულობა. ასევე, შეხედულებები და ცხოვრების რიტმი, ძირეულად გარდაქმნა აგრო ბიზნესის როლი, მნიშვნელობა და განხორციელების მექანიზმები. სოციალური გარემოს მნიშვნელოვანმა ცვლილებამ გამოიწვია საზოგადოების შეცვლილი მოთხოვნები პრიორიტეტებზე, მათ შორის სურსათზე. აგრო ბიზნესის სფეროში მთელი რიგი გამოწვევებია ტექნოლოგიური გარემოს თვალსაზრისით. აღსანიშნავია, რომ ინოვაციებისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვის პროცესების მხრივ ეს სფერო ჯერჯერობით განვითარების საწყის ეტაპზეა. გასათვალისწინებელია, რომ აგროსასურსათო პროდუქტის წარმოებისა და სურსათით უზენებლობის კუთხით მდგომარეობა შედარებით სტაბილურია, მაგრამ ამ მხრივაც რთული გამოწვევების წინაშეა საქართველო.

2014 წლის 27 ივნისს ხელი მოეწერა და 2014 წლის 18 ივლისს საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულ იქნა „ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირისა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება“, რომლის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს „ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ“ შეთანხმება (DCFTA). DCFTA IV თავი (სანიტარიული და

ფიტოსანიტარიული ზომები) ითვალისწინებს საქართველოს მიერ სურსათის უვნებლობის სფეროში დასახლოებული ევროკავშირის კანონმდებლობის ჩამონათვალის ევროკავშირისთვის წარდგენას. შესაბამისად დამტკიცდა 2015-2026 წლებში კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებები და ქართული კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა ევროკავშირის სტანდარტებთან (სსმ 2014).


ბუნებრივი გარემო აგროსასურსათო პროდუქტებისა და ფერმერული მეურნეობების კონკურენტუნარიანობის ერთ-ერთი მთავარი განმაპირობებელი ფაქტორია. ამ ფაქტორს განსაზღვრავს გეოგრაფიული მდებარეობა, მიწის რესურსები, ბუნებრივ-კლიმატური პირობები, რელიეფი და სხვა.

სამართლებრივი გარემოს მხრივ აგრობიზნესის სფეროში გარკვეული მიღწევები არსებობს, თუმცა, მოსაწესრიგებელია მთელი რიგი საკანონმდებლო რეგულაციები. საქართველოში, ასევე, კანონით სრულყოფილად არის დაცული დასაქმებულთა, დამსაქმებელთა და მომხმარებელთა უფლებები, რაც უარყოფითად აისახება წარმოების, გადამუშავებისა და გასაღების სფეროზე.

აგრობიზნესის გარემოს შეფასების, აგროსასურსათო პროდუქტებისა და ბაზრების დივერსიფიკაციის განსახორციელებლად, ასევე, ექსპორტის ზრდისათვის მნიშვნელოვან შესაძლებლობებს იძლევა საერთაშორისო რეიტინგებში ქვეყნის პოზიციები.

გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის (GCI) მიხედვით საქართველოს პოზიცია ბოლო პერიოდში უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც უარესდება. აღსანიშნავია, რომ თუ 2019 წელს 141 ქვეყანას შორის საქართველოს 74-ე ადგილი ეკავა 60.6 ქულით, 2018 წელს 140 ქვეყანას შორის ქვეყანა 66-ე ადგილზე იყო 60.9 ქულით [176]. 2020 წლის მონაცემებით მსოფლიო ბანკის რეიტინგის მიხედვით საქართველო მე-7 ადგილზეა 190 ქვეყანას შორის 83.7 ქულით (ბკ 2020). კორუფციის აღქმის ინდექსის (CPI) მიხედვითაც საქართველოს მდგომარეობა ამავე პერიოდში გაუარესდა და 41-ე ადგილიდან 44-ე ადგილზე გადაინაცვლა (კაი 2017). 2020 წლის მონაცემებით, საქართველო მე-12 ადგილზეა 77.1 ქულით (იხ. დიაგრამა 3.1.1).

დიაგრამა 3.1.1 საქართველოს რეიტინგი მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით, 2012-2020 წწ



წყარო: ეთი 2020: ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი 2020

http://www.economy.ge/uploads/files/2017/reitingebi/heritage_2020_geo_1.pdf მოძიებულია 15 მაისი 2021.

3.2 აგრობიზნესის განვითარების შესახებ რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევების შედეგების ანალიზი

აგრობიზნესის განვითარების ტენდენციებისა და მახასიათებლების გამოსავლენად და სამომავლო მიმართულებების დასადგენად ჩატარდა რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევა. რაოდენობრივი კვლევისათვის შემუშავდა კითხვარი და შეირჩა ბენეფიციარები აჭარის ა.რ.-ში აგრობიზნესის სფეროში დასაქმებულთა ბაზიდან, ხოლო თვისებრივი კვლევისათვის განისაზღვრა ექსპერტთა ჯგუფი და ამ ჯგუფებიდან მოხდა ფოკუს-ჯგუფების ფორმირება ზოგიერთი პრობლემის დასაზუსტებლად.

რაოდენობრივი კვლევის მიზანი იყო აგრობიზნესის განვითარების ტენდენციებისა და მახასიათებლების თანამედროვე გამოწვევების დადგენა და მათი გადაჭრის გზები შესაბამისად რეკომენდაციების შემუშავება. თვისებრივი კვლევა კი მიზნად ისახავდა პრობლემების გამომწვევი კონკრეტული მიზეზებისა და იმ მახასიათებლების დადგენას, რომელიც აჭარის ა.რ.-ში აგრობიზნესის განვითარების პრიორიტეტებს განსაზღვრას.

კვლევა ჩატარდა 2021 წლის აპრილი-მაისში. სულ გამოიკითხა 206 რესპონდენტი, როგორც ონლაინ, ისე ადგილებზე კითხვარის შევსების საფუძველზე. შედეგები დალაგდა პრობლემების გადაჭრის შემოთავაზებული გზების ერთგვაროვნების მიხედვით. კითხვარი მოიცავდა, როგორც დახურულ, ისე ღია კითხვებს.

კვლევაში მონაწილეობდა აჭარის ა.რ.-ში აგრობიზნესის სფეროში ჩართული ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების მწარმოებელი შემდეგი ფერმერული მეურნეობების წარმომადგენლები: მეციტრუსეები, მოცვის პლანტაციის მფლობელები, კაკლის (ჩანდლერის) მწარმოებლები, თამბაქოს, ბოსტნეულის, კარტოფილის და ჩაის მწარმოებლები.


რაოდენობრივი კვლევის მონაცემებმა დესკრიპტული (აღწერითი) ანალიზის გაკეთების საშუალება მოგვცა. დასმული კითხვების ტიპი იყო სტრუქტურირებული. გამოკითხვის პროცესში წარმოდგენილია რესპონდენტთა რეპრეზენტატიული რაოდენობა. შედეგები დამუშავებულია სტატისტიკური ანალიზის მეთოდებითა და SPSS პროგრამით. შეჯამებული მონაცემები გამოყენებულია აგრობიზნესის განვითარების პრიორიტეტების შეფასებისათვის, ასევე, დასკვნების და რეკომენდაციების შესამუშავებლად, სანდოობის დონემ შეადგინა 94.5%, შერჩევის ცდომილების დონე 2-დან 3%-მდე მერყეობს.

ფერმერები გამოიკითხა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხუთივე მუნიციპალიტეტში მოსახლეობის პროპორციულად. გამოკითხული ფერმერების რაოდენობა და სქესობრივი ჭრილი განსხვავებულია მუნიციპალიტეტების მიხედვით (იხ. დიაგრამა 3.2.1)

მიღებული შედეგების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ფერმერთა საერთო რაოდენობიდან კვლევაში მონაწილეობა მიიღო ქობულეთის მუნიციპალიტეტიდან 58-მა, ხელვაჩაურიდან 31-მა, ქედადან 43-მა, შუახევიდან 36-მა და ხულოდან 38-მა ფერმერმა. გამოკითხულთა საერთო რაოდენობაში ხუთივე მუნიციპალიტეტში ჭარბობს მამაკაცების რაოდენობა, რადგანაც, გამოკითხულთა საერთო რაოდენობაში ქალების წილმა შეადგინა 35,9%.

განსხვავებები დაფიქსირდა გამოკითხულთა ასაკის მიხედვითაც, კერძოდ, კვლევის მონაწილეები ასაკის მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა: გამოკითხული 206 ფერმერიდან 50-ზე მეტი ასაკისა 37%, 40-49 წლის 31%, 30-39 წლის 17% და 18-29 წლის 15%.


დიაგრამა 3.2.1 ფერმერთა რაოდენობა და სქესი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების მიხედვით



წყარო: დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევების შედეგების საფუძველზე.

მონაცემებიდან ჩანს, რომ ასაკის შემცირებასთან ერთად პროცენტულად მისი სიხშირე შემცირდა. მაშასადამე აგრობიზნესის საქმიანობებში ჩართული ახალგაზრდა ფერმერების რაოდენობა სხვა ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით მცირეა (იხ. დიაგრამა 3.2.2).


დიაგრამა 3.2.2 გამოკითხულ ფერმერთა ასაკობრივი ჭრილი



წყარო: დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევების შედეგების საფუძველზე.

კითხვაზე „რომელი ბაზრისთვის აწარმოებდა აგროსასურსათო პროდუქტებს?“ ფერმერთა აბსოლუტურმა უმეტესობამ (93%) უპასუხა, რომ პროდუქტს აწარმოებს ადგილობრივი ბაზრისთვის. მხოლოდ ფერმერთა 7%-ს აქვს შესაძლებლობა თავისი პროდუქტი გაიტანოს ექსპორტზე (იხ. დიაგრამა 3.2.3).

დიაგრამა 3.2.3 აგროსასურსათო პროდუქტების წარმოება ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრებისთვის




წყარო: დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევების შედეგების საფუძველზე.

როგორც ბიბლიოგრაფიული კვლევის პროცესში დადგინდა, შეზღუდული მიწისა და სხვა რესურსული პოტენციალის პირობებში გადამწყვეტია კოოპერატივების ფორმირება.

კოოპერატივების შექმნა და გაფართოება აუცილებელია სოფლის მეურნეობის მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფადაც. საქართველოში შესწავლილია ფერმერთა დამოკიდებულება კოოპერირების პროცესისადმი, ფერმერთა ქცევის ანალიზის საფუძველზე გამოვლენილია ამ პროცესის დადებითი და უარყოფითი შედეგები (**ხარაიშვილი 2017**). კოოპერირების პროცესის განვითარება მნიშვნელოვანია მასშტაბების ზრდისა და საერთაშორისო ბაზრებზე ადგილის დასამკვიდრებლადაც. ჩატარებულმა რაოდენობრივმა კვლევამ გვიჩვენა, რომ ფერმერთა 86% არ არის გაერთიანებული კოოპერატივებში. ისინიც კი ვინც გაერთიანებულია წლიდან წლამდე ნაკლები ფინანსური და მატერიალური რესურსების ბრუნვა უფიქსირდებათ შესაბამის ორგანიზაციებში, რაც მათ ნაკლებ სიცოცხლის უნარიანობაზე მიუთითებს.


დიაგრამა 3.2.4 გაწევრიანებული ფერმერების წილი გამოკითხულთა საერთო რაოდენობაში



წყარო: დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევების შედეგების საფუძველზე.

აგრობიზნესის განვითარებისა და საერთაშორისო ბაზარზე გასასვლელად მნიშვნელოვანია წარმოების მასშტაბების ანალიზი, უპირველესად წარმოების მთავარი ფაქტორის მიწის რესურსების განაწილება მწარმოებლებს შორის. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მიწის ნაკვეთების განაწილების ანალიზმა გვიჩვენა, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის გამოყენებული მიწების უმეტესობა წვრილკონტურიანია (იხ. დიაგრამა 3.2.5).

დიაგრამა 3.2.5 მიწის ფართობების განაწილება აჭარის ა/რ-ში, %




წყარო: დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევების შედეგების საფუძველზე.

როგორც დიაგრამა 3.2.5 გვიჩვენებს, 0-0.5 ჰექტარი მიწის ნაკვეთს ფლობს გამოკითხულ ფერმერთა უმეტესი რაოდენობა (37%), 0.5-1.0 ჰექტარი მიწის

მფლობელია ფერმერთა 30%, 1.0-3.0 ჰექტარ მიწის ფართობს ფლობს ფერმერთა 32%, ხოლო მხოლოდ 1%-ს გააჩნია 3.0 ჰექტარზე მეტი მიწის ფართობი.

კითხვაზე რა რაოდენობით მიწის ნაკვეთს ფლობთ, 206 გამოკითხული ფერმერიდან მაჩვენებლები მუნიციპალიტეტების მიხედვით შემდეგნაირად



საქართველოს მცირემიწიანობის მუნიციპალიტეტებიდან ქედამი 26 ფერმერი ფლობს 1.0-3.0 ჰექტარამდე მიწის ნაკვეთს, ეს მაჩვენებელი ქობულეთში შეადგენს 20-ს, ხულოში 11-ს, ხოლო ხელვაჩაურსა და შუაქვეში დასახლებული რაოდენობები საკმაოდ მცირეა და 1-2 ფერმერის ფარგლებში მერყეობს.

კვლევის პროცესში ფერმერებს დავუსვით კითხვა „რა პრობლემები გაქვთ წარმოების სფეროში?“ გამოკითხულთა სრული უმრავლესობა მათ საქმიანობაში არსებულ პრობლემებს შორის მცირემიწიანობას ასახელებს, ასევე, ამ ფაქტორებს შორის დასახელდა: თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიების ნაკლებობა, სიძვირის გამო სასუქებსა და მცენარეთა დაცვის საშუალებებზე შეზღუდული წვდომა, გასაღების ბაზრებზე ნაკლები წვდომა, იაფი აგროკრედიტების ნაკლებობა, განუვითარებელი ინფრასტრუქტურა, დამამუშავებელი საწარმოების ნაკლებობა და სხვა (იხ. დიაგრამა 3.2.7).

დიაგრამა 3.2.7 წარმოების სფეროში გამოვლენილი პრობლემები


წყარო: დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევების შედეგების საფუძველზე.

ზემოთ აღნიშნული პრობლემებიდან გამომდინარე, აგრობიზნესის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია ფერმერთა ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამებსა და დახმარებებზე. ამ მიზნით შევისწავლეთ რამდენად იცნობენ ფერმერები მათი საქმიანობის სფეროებში მოქმედ პროგრამებსა და დაფინანსების წყაროებს.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მუნიციპალიტეტების მიხედვით აგრობიზნესის სფეროში სახელმწიფო პროგრამებისა და დაფინანსების წყაროების შესახებ ცოდნა მუნიციპალიტეტების მიხედვით განსხვავებულია. საკმარისია აღინიშნოს, რომ ფერმერები შედარებით იცნობენ პროგრამას „აწარმოე საქართველოში,“ ასევე, სოფლად მეწარმეობის განვითარების პროგრამას. ინფორმაციის დაბალი დონე გამოჩნდა ისეთ პროგრამებზე, როგორებიცაა „დანერგე მომავალი“ და „კოოპერატივების ხელშემწყობი პროგრამა.“ გამოკითხვებმა ისიც დაადასტურა, რომ თითოეულ პროგრამაზე ინფორმაციის დონე

მუნიციპალიტეტების მიხედვით განსხვავებულია. ასე მაგალითად, ყველაზე მეტად ცნობადი პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ ფერმერები ქედასა და ქობულეთში უფრო იყენებენ, ვიდრე შუახევიში, ხულოსა და ხელვაჩაურში. ასევე, სოფლად მეწარმეობის განვითარების შესახებ პროგრამის შესახებ ინფორმაციის მაღალი დონე გამოვლინდა ქედაში, ხოლო შედარებით ნაკლები დანარჩენ მუნიციპალიტეტებში. ზოგადად, დაბალია ფერმერთა ინფორმაციის დონე იაფი აგროკრედიტების მიწოდების სფეროში. თუმცა, ქობულეთისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტების ფერმერები შედარებით კარად იცნობენ ამ პროგრამას, ვიდრე ქედასა და შუახევიში. კოოპერატივების ხელშეწყობის პროგრამაზე ფერმერთა ინფორმაციის დონის თვალსაზრისით ყველაზე საგანგაშოა, ხოლო მუნიციპალიტეტებს შორის ამ მხრივ დაბალი მაჩვენებლებით გამოირჩევა ქობულეთის და ქედის მუნიციპალიტეტის ფერმერები (იხ. დიაგრამა 3.2 8).


დიაგრამა 3.2.8 ფერმერთა რაოდენობა აგრობიზნესის სფეროში მოქმედი პროგრამებისა და დაფინანსების წყაროების ცოდნის შესახებ



წყარო: დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევების შედეგების საფუძველზე.

პრობლემის თვალნათლივ შესაფასებლად დიაგრამა 3.2.8-ში მოცემული მონაცემები პროცენტულადაც გავთვალეთ (იხ. დიაგრამა 3.2.9).

დიაგრამა 3.2.9 ფერმერთა წილი აგრობიზნესის სფეროში მოქმედი პროგრამებისა და დაფინანსების წყაროების ცოდნის შესახებ




წყარო: დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევების შედეგების საფუძველზე.

გამოკითხულ ფერმერთა 27% აღნიშნავს, რომ მისთვის ცნობილია პროგრამა „აწარმოე საქართველოში“, 20% იცნობს პროგრამას „სოფლად მეწარმეობის განვითარება“, 18% - „დანერგე მომავალს“, 11% იაფი აგროკრედიტების პროგრამას, 8% კოოპერატივების ხელშეწყობის პროგრამას, ხოლო 16% საერთოდ არ იცნობს ფერმერების დასახმარებლად განკუთვნილ პროგრამებსა და დაფინანსების წყაროებს.

ფერმერთა პროგრამებისა და დაფინანსების წყაროებზე ინფორმაცია არ ნიშნავს ამ პროგრამებით სარგებლობას, შესაბამისად, შევისწავლეთ სახელმწიფოსგან ფერმერების მიერ მიღებული დახმარებების სახეობები და რაოდენობრივი მაჩვენებლები (იხ. დიაგრამა 3.2.10).


დიაგრამა 3.2.10 ფერმერთა რაოდენობა, რომელთაც დახმარება მიიღეს სახელმწიფოსაგან



წყარო: დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევების შედეგების საფუძველზე.

კითხვაზე „რა დახმარება მიგიღია სახელმწიფოსგან?“ პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: ქობულეთის მუნიციპალიტეტში სახელმწიფოსაგან მიღებული დახმარებით ისარგებლა 14 ფერმერმა, შუახევეში 1-მა, ქედაში 12-მა, ხულოში 8-მა, ხელვაჩაურში 15-მა. მაჩვენებლების დაჯგუფებამ გვიჩვენა, რომ გამოკითხულ ფერმერთა 76%-ს საერთოდ არ მიუღია სახელმწიფოსგან დახმარება, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფერმერები სახელმწიფო დახმარებაში არ გულისხმობდნენ აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დაფინანსებულ მცირე მექანიზაციის საშუალებების დახმარებას როგორცაა კულტივატორი, შესასხურებელი აპარატი და ა.შ. (იხ. დიაგრამა 3.2.11).


დიაგრამა 3.2.11 ფერმერთა წილი, რომელთაც დახმარება მიიღეს სახელმწიფოსაგან



წყარო: დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევების შედეგების საფუძველზე

ბოლო პერიოდში აგრობიზნესის სფეროში გაუმჯობესდა აგროდაზღვევის კულტურა. აგროდაზღვევის სერვისებით სარგებლობის დონის დასადგენად გამოვიკითხეთ ფერმერები, შედეგად მივიღეთ, რომ ქობულეთისა და ქედის მუნიციპალიტეტებში აგროდაზღვევით სარგებლობს ფერმერთა მეტი რაოდენობა (შესაბამისად 16 და 11), ვიდრე ხელვაჩაურსა და ხულოში (შესაბამისად 9 და 7), შუახევის მუნიციპალიტეტში ამ სერვისით არავინ არ სარგებლობს. ფერმერთა საკმაოდ დიდი რაოდენობას საერთოდ არ აქვს ინფორმაცია დასახელებული სერვისის შესახებ.


დიაგრამა 3.2.12 სარგებლობთ თუა რა აგროდაზღვევით?



წყარო: დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევების შედეგების საფუძველზე.

აგროდაზღვევის მომსახურებით სარგებლობის შესახებ მონაცემების დაჯგუფებამ გვიჩვენა, რომ ფერმერთა დიდი ნაწილი (65%) არ სარგებლობს აგროდაზღვევის სერვისებით, მხოლოდ გამოკითხულ ფერმერთა 21% აცხადებს, რომ ისინი იყენებენ აგროდაზღვევას, ხოლო 14%-ს საერთოდ არ სმენია ამ სერვისის შესახებ (იხ. დიაგრამა 3.2.13).

დიაგრამა 3.2.13 ფერმერები, რომლებიც აგროდაზღვევით სარგებლობენ




წყარო: დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევების შედეგების საფუძველზე.

წარმოების მცირე მასშტაბებისა და ნაკვეთების წვრილკონტურიანობის პირობებში ვერ ხერხდება აგროსასურსათო პროდუქტის საერთაშორისო ბაზრებზე გატანა, ასევე, გარკვეული პრობლემებია ადგილობრივ ბაზარზე იმპორტულ პროდუქტებთან კონკურენციის თვალსაზრისითაც.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აგრობიზნესის საქმიანობაში ჩართული ფერმერთა და მეწარმეთა მიერ პროდუქციის ექსპორტით დაინტერესებისა და არსებული გამოწვევების შესახებ ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ საერთაშორისო ბაზარზე პროდუქციის გატანის სურვილს და ინტერესს გამონაკლისი თუ გამოთქვამს (იხ. დიაგრამა 3.2.14).

დიაგრამა 3.2.14 ხართ თუ არა დაინტერესებული თქვენი პროდუქციის ექსპორტით?




წყარო: დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევების შედეგების საფუძველზე.

ქობულეთის მუნიციპალიტეტში 32 მეწარმეობელი არ არის დაინტერესებული თავისი პროდუქციის საერთაშორისო ბაზარზე გატანით, ეს მაჩვენებელი ხულოს მუნიციპალიტეტში შეადგენს 24-ს, ხელვაჩაურში 24-ს, ქედასა და შუახევში კი იგი

თანაბარი რაოდენობითაა წარმოდგენილი და შეადგენს 14-ს. აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტიორთა შორის რაოდენობრივი მაჩვენებლით მოწინავეა ქობულეთის მუნიციპალიტეტი (10 მწარმოებელი), შემდეგ მოდის ქედის მუნიციპალიტეტი (7 მწარმოებელი), ხელვაჩაურსა და ხულოში პროდუქციის ექსპორტს მხოლოდ 1 მწარმოებელი ახდენს, ხოლო შუახევის მუნიციპალიტეტიდან არცერთი. თუ ამ მაჩვენებლებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დონეზე პროცენტული მაჩვენებლებით შევადგებთ, აღმოჩნდება, რომ მწარმოებელთა ნახევარზე მეტი ჯერჯერობით დაინტერესებული არ არის აგროსასურსათო პროდუქტის ექსპორტით (იხ. დიაგრამა 3.2.15).

დიაგრამა 3.2.15 აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტით დაინტერესებული მწარმოებელთა წილი, %




წყარო: დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევების შედეგების საფუძველზე.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის აგროსფეროში მწარმოებელთა 36% დაინტერესებულია აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტით, მაგრამ არ აქვს საჭირო ინფორმაცია აღნიშნულის თაობაზე. მწარმოებელთა 9% გამოხატავს ამ პროცესისადმი ინტერესს, როგორც ჩანს აქვს შესაბამისი ინფორმაციები და ემზადება ექსპორტის განსახორციელებლად. მწარმოებელთა მხოლოდ 3% არ არის

დაინტერესებული პროდუქციის ექსპორტით და ურჩევნია მისი რეალიზაცია ადგილობრივ ბაზარზე.

გამოკითხვამ აჩვენა, რომ მოცემულ ეტაპზე მწარმოებელთა მცირე ნაწილს გააქვს პროდუქცია ექსპორტზე, თუმცა, დაინტერესებული არიან მისი საერთაშორისო ბაზარზე გატანით. შესაბამისად კვლევის ერთ-ერთი მიზანი იყო იმ ფაქტორების გამოვლენა, რომლებიც ხელს უშლის ექსპორტის განხორციელებას. კითხვაზე „რა ფაქტორები გიშლით ხელს ექსპორტის განხორციელებაში?“ პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა (იხ. დიაგრამა 3.2.16).

დიაგრამა 3.2.16 რა ფაქტორები გიშლით ხელს ექსპორტის განხორციელებაში?



წყარო: დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევების შედეგების საფუძველზე.


თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში ექსპორტის განხორციელებაში მთავარ ხელშემშლელ ფაქტორად პროდუქციის წარმოების მცირე მოცულობა დასახელდა. ხულოს მუნიციპალიტეტში 30 მწარმოებელი მიიჩნევს, რომ ექსპორტის მთავარი

ხელშემშლელი ფაქტორი სწორედ ეს არის, ქობულეთში - 27, ქედაში - 24, შუახევში 18, ხელვაჩაურში 14.

მწარმოებელთა მხრიდან ექსპორტის მნიშვნელოვან ხელშემშლელ ფაქტორად, ასევე, დასახელდა მცირე ფინანსური შემოსავლები და შესაძლებლობები. ქობულეთის მუნიციპალიტეტში გამოკითხულთა უმეტესობა (26 მწარმოებელი) თვლის, რომ ექსპორტის განხორციელებაში ხელი ეშლება მცირე ფინანსური შემოსავლების გამო. ხელვაჩაურსა და ქედაში შესაბამისად 16 და 15, შუახევში 13, ხულოში 6. მესამე მიზეზი ექსპორტის ხელშემშლელ ფაქტორთა შორის დასახელდა ინფორმაციისა და შესაბამისი ცოდნის ნაკლებობა გასაღების ბაზრების შესახებ. ქობულეთის მუნიციპალიტეტში აღნიშნულ ფაქტორს ასახელებს 19 მწარმოებელი, ქედაში 9, შუახევში 6, ხულოში 3, ხოლო ხელვაჩაურში 2. ექსპორტის ხელშემშლელ ფაქტორთა შორის მე-4 მიზეზად დასახელდა ბიუროკრატიული მექანიზმები. ამ ფაქტორს ხელშემშლელად მიიჩნევს ქობულეთის მუნიციპალიტეტში 12 მწარმოებელი, ქედაში 5, ხოლო დანარჩენ მუნიციპალიტეტებში მხოლოდ 1 მწარმოებელი.

მწარმოებელთა მიერ ექსპორტის ხელშემშლელი ფაქტორების ჩამონათვალი პროცენტულად ზოგადად შემდეგნაირად გადანაწილდა (იხ. დიაგრამა 3.2.17).

დიაგრამა 3.2.17 ექსპორტის ხელშემშლელი ფაქტორები აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, %




წყარო: დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევების შედეგების საფუძველზე.

მწარმოებელთა უმეტესობა, კერძოდ 45% მიიჩნევს, რომ აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტის მთავარი ხელშემშლელი ფაქტორია წარმოების მცირე მასშტაბები, 31%-ის აზრით ამ ფაქტორად დასახელდა მცირე ფინანსური შემოსავლები, 16%-ის მიერ ინფორმაციისა და ცოდნის ნაკლებობა გასაღების ბაზრების შესახებ, ხოლო 8%-ის მიერ ბიუროკრატიული მექანიზმები.

აგრობიზნესის განვითარებისათვის ჩვენს მიერ პრიორიტეტული სექციების შემუშავებისას ფორმირებული მიმართულებებისა და გამოთქმული ჰიპოთეზების დასაზუსტებლად მწარმოებლებს დავუსვით კითხვა „რა პრიორიტეტული საქმიანობების განხორციელებაა საჭირო აგრობიზნესის განვითარებისათვის? პასუხები ამ კითხვაზე შემდეგნაირად გადანაწილდა (იხ. დიაგრამა 3.2.18).

დიაგრამა 3.2.18 თქვენი აზრით აგრობიზნესის განვითარებისათვის რა პრიორიტეტული საქმიანობების განხორციელებაა საჭირო?




წყარო: დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევების შედეგების საფუძველზე.

გამოკითხულთა უმეტესობა (113მწარმოებელი) აგრობიზნესის განვითარებისათვის პრიორიტეტულ საქმიანობებს შორის მიწის ნაკვეთების გამსხვილებასა და წარმოების მასშტაბების ზრდას მიიჩნევს. აგრობიზნესის საინფორმაციო მხარდაჭერის გაზრდა მიაჩნია აუცილებლად 73 მწარმოებელს, იაფ აგროკრედიტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის აუცილებლობას მიიჩნევს 51 მწარმოებელი, ასევე, მწარმოებელთა უმეტესობას მნიშვნელოვნად მიაჩნიათ გადამამუშავებელი საწარმოების შექმნაში ხელშეწყობა.

კორონავირუსით გამოწვეული პრობლემების გამოვლენის მიზნით მწარმოებლებს დავუსვით კითხვა: კორონავირუსის გავრცელებით რა დამატებითი პრობლემები შეგექმნათ? პასუხები ამ კითხვაზე შემდეგნაირად განაწილდა (იხ. დიაგრამა 3.2.19).

დიაგრამა 3.2.19 კორონავირუსის გავრცელებით რა დამატებითი პრობლემები შეგექმნათ?



წყარო: დიაგრამა შედგენილია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევების შედეგების საფუძველზე.

გამოკითხულთა 56 % მიიჩნევს, რომ შეეზღუდა პროდუქციის ადგილობრივ ბაზარზე გატანა, 35%-ს შეზღუდვები არ შექმნია, 8%-ს შეეზღუდა პროდუქტის საერთაშორისო ბაზარზე გატანა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია სათანადო შეფასების გაკეთება.

დასკვნები და რეკომენდაციები

აგრობიზნესის მოდელების შესახებ ჩატარებული ბიბლიოგრაფიული კვლევის, სფეროს განვითარების შემაფერხებელი ფაქტორების გამოვლენის, რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის, აგრობიზნესის გარემოს შეფასების საფუძველზე საქართველოში და მათ შორის აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში გაკეთებულია დასკვნები და შემუშავებულია რეკომენდაციები აგრობიზნესის განვითარების მოდელებისა და მიმართულებების შესახებ.

) საქართველოში აგრობიზნესის სფეროში წარმოების ზრდის ტენდენცია და ტემპი საკმარისი არ არის სასურსათო უსაფრთხოებისა და მდგრადი სასურსათო უზრუნველსაყოფისათვის. ზრდის ტემპების დასაჩქარებლად მნიშვნელოვან როლს შეასრულებს აგრობიზნესის განვითარების ალტერნატიული მოდელების შექმნა, რისთვისაც საჭიროა განხორციელდეს უცხოეთის გამოცდილების შესწავლა შესაბამისი კვლევების ჩატარების საფუძველზე.

) საქართველოში აგრობიზნესის განვითარების მოდელების შემუშავებისას, უცხოური გამოცდილების გაზიარების თვალსაზრისით, რეკომენდებულია საქართველოს იდენტურ ქვეყნების შერჩევა სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, რესურსული პოტენციალის, კულტურული, ისტორიული და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით. სასურველია, ერთი მხრივ, დასახელებული ფაქტორული ანალიზის ჩატარება, მეორე მხრივ, წარმატებული მაგალითების შერჩევა. ეკონომიკის განვითარების კანონზომიერებების, პოლიტიკური და ისტორიულ-კულტურული ფაქტორების მიხედვით, ასევე, ქვეყნის შიგნით, ევროპისა და სხვა საერთაშორისო სასურსათო ბაზრებზე წარმატებულობის გათვალისწინებით, ამ ორ კრიტერიუმს მნიშვნელოვნად აკმაყოფილებს ისრაელი. შესაბამისად, საქართველოსათვის მიზანშეწონილია ისრაელის აგრობიზნესის განვითარების მოდელზე ადაპტირება.

) საქართველოში აგრობიზნესის განვითარებას აბრკოლებს განუვითარებელი ფერმერული მეურნეობები, ასევე, მიწების წვრილკონტურიანობა და მცირე ფერმერული მეურნეობათა მაღალი წილი ფერმერულ მეურნეობათა საერთო

რაოდენობაში, გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარების დაბალი დონე. აგრობიზნესის განვითარების მოდელების შემუშავებისას გასათვალისწინებელია ნედლეულის წარმოებასა და დამამუშავებელ საწარმოებს შორის ურთიერთკავშირების ფორმებისა და უკუკავშირის ეფექტების ფუნქციონირება, წარმოების მოცულობაზე ორიენტაცია, „სტარტაპების“ პროცესის განვითარება კოოპერაციის პროცესის სტიმულირება და სხვა.

) მდგრადი აგრობიზნესის მოდელი მნიშვნელოვან როლს შეასრულებს სურსათის წარმოების ზრდაში. ამასთან, ნებისმიერი მოდელი უნდა ითვალისწინებდეს გაეროს ორგანიზაციის „ათასწლეულის განვითარების მიზნების" სახელმძღვანელო პრინციპებს და განიხილავდეს სურსათისა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების კონცეფციას, მათ შორის სურსათის უვნებლობის საკითხებს ჰოლისტიკური და სისტემური განზომილებით. მოდელი, ასევე, უნდა ითვალისწინებდეს აგრობიზნესის სფეროში ფორმირებულ მიწოდების ჯაჭვს. მოდელში უნდა აისახოს კორელაცია მეურნეობის (ტექნიკური მიზნები), ოჯახის (სოციალური მიზნები) და საზოგადოების (კოლექტიური ორიენტაციის) პროექტებთან მიმართებაში. აგრობიზნესის მოდელი უნდა შეესაბამებოდეს სოფლის განვითარების კონცეფციასაც. ამ ფაქტორთა გათვალისწინებით აგებული აგრობიზნესის მოდელი უზრუნველყოფს აგრობიზნესის სფეროში კომერციალიზაციის პრინციპების გაძლიერებას, ხელს შეუწყობს სოფლის დასახლებებში ერთი ფანჯრისა და საცალო მაღაზიების გახსნას, გადამამუშავებელი და მასთან დაკავშირებული დარგების განვითარებას და ა.შ.

) სასურსათო ბაზრებსა და აგრობიზნესის მოდელებს შორის დამოკიდებულებას მნიშვნელოვნად აფერხებს სირთულეები მიწოდების ჯაჭვში. აგრობიზნესის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია სურსათის მიწოდების დრო იყოს შემჭიდროებული, რაც სასურსათო რეზერვებსა და საზოგადოებას შორის ახალი ურთიერთობების ჩამოყალიბებას გამოიწვევს, ასევე, გამოიწვევს სურსათზე დანაკარგების შემცირებას.

ს) აგრობიზნესს მოდელების აგების დროს გასათვალისწინებელია სასურსათო უსაფრთხოების ძირითადი მიმართულებები: 1. მოსახლეობის უზრუნველყოფა საკმარისი რაოდენობისა და ხარისხის სურსათით; 2. მოსახლეობის უზრუნველყოფა სრულფასოვანი, ბალანსირებული სურსათით; 3. მოსახლეობის უზრუნველყოფა უვნებელი სურსათით; 4. მოსახლეობის უზრუნველყოფა ხელმისაწვდომი სურსათით. კვლევამ გვიჩვენა, რომ საქართველოში სასურსათო უსაფრთხოების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი პრობლემებია და ოთხივე კომპონენტის მოთხოვნები დარღვეულია.

აგრობიზნესის ეფექტიანი მოდელის ფორმირება ხელს შეუწყობს რესურსების ეფექტიანად გამოყენებას, სურსათის წარმოების ზრდას, სურსათით თვითუზრუნველყოფისა და სასურსათო უსაფრთხოების პრობლემების გადაჭრას.

ს) აგრობიზნესის ნებისმიერ მოდელში კონცეპტუალურად სამ მთავარ მიმართულებაზე უნდა გაკეთდეს აქცენტი: 1. დარგები, რომლებიც უზრუნველყოფენ სოფლის მეურნეობისათვის საწარმოო საშუალებებისა და შესაბამისი მომსახურების მიწოდებას; 2. საკუთრივ სოფლის მეურნეობა; 3. დარგები და საწარმოები, რომლებიც ახდენენ პროდუქციის გადამამუშავებას, დამზადებას, გაყიდვებს და აგროსასურსათო პროდუქტის მომხმარებლებამდე მიტანას. შესაბამისად აუცილებელია აგრობიზნესის სფეროში გამოყენებული რესურსების კლასიფიკაცია შემდეგი ჯგუფების მიხედვით: ა) ბუნებრივი რესურსები; ბ) ბიოლოგიური რესურსები; გ) შრომითი რესურსები; დ) წარმოების ძირითადი საშუალებები; ე) წარმოების საბრუნავი საშუალებები; ვ) საწარმოო პოტენციალი.

ს) აგრობიზნესის განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორების გამოვლენა დასაბუთებული კვლევების საფუძველზე უნდა წარიმართოს. „გადაუდებლობა-ზეგავლენის ხარისხის“ მატრიცის გამოყენებამ, ექსპერტებისა და სპეციალისტების გამოკითხვის შედეგებმა გვიჩვენა, რომ საქართველოში აგრობიზნესის განვითარების დაბალ ტემპებს შემდეგი ძირითადი ფაქტორები განაპირობებს:

- ✓ წარმოების მცირე მასშტაბები და მწარმოებლურობის დაბალი დონე განსაკუთრებით ნედლეულის წარმოების სფეროში;
 - ✓ ნედლეულის გადამამუშავებელი საწარმოებისა და პროდუქტების შენახვის საცავების ნაკლებობა;
 - ✓ ტექნიკურ საშუალებებსა და თანამედროვე ტექნოლოგიებზე შეზღუდული წვდომა;
 - ✓ შეზღუდული ფინანსური რესურსები, მათ შორის იაფ კრედიტებზე ხელმისაწვდომობის დაბალი დონე;
 - ✓ შიდა და საერთაშორისო სასურსათო ბაზრების, რესურსების შესახებ ინფორმაციების ნაკლებობა;
 - ✓ აგრობიზნესის სფეროს თანამედროვე გამოწვევების შესახებ ცოდნის დაბალი დონე;
 - ✓ არასრულყოფილი და ზოგჯერ ბუნდოვანი საკანონმდებლო ბაზა და სხვა.
- .) აგრობიზნესის გარემოს შესწავლით SWOT და PESTEL ანალიზებით გამოიკვეთა, რომ სუსტია აგრობიზნესის განვითარების პოლიტიკური მხარდაჭერის ფორმები, გასაუმჯობესებელია სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური და კულტურული გარემო. მიზანშეწონილია სასურსათო უსაფრთხოებისა და უვნებლობის, ასევე, სტანდარტების შესახებ საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა, მისაღებია კანონი ფერმერული მეურნეობების შესახებ, საბიუჯეტო მხარდაჭერის გაზრდის მიზნით მიზანშეწონილია საკანონმდებლო რეგულირების მექანიზმების შემუშავება.
- .) რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტებში აგრობიზნესის სფეროში კოოპერირების პროცესი ჯერ კიდევ განვითარების საწყის ეტაპზეა. წარმოების მცირე მასშტაბების პირობებში ამ პროცესის განვითარება აუცილებელია. კვლევით გამოვლინდა, რომ მწარმოებელთა უმრავლესობა სკეპტიკურადაა განწყობილი კოოპერატივების მიმართ. ამასთან, კოოპერირება აგრობიზნესის ყველა სფეროს არ მოიცავს და ძირითადად წარმოების პროცესითაა წარმოდგენილი. საჭიროა კოოპერაციის კონცეფციის თანამედროვე იდეების ფორმირება და მწარმოებელთათვის შესაბამისი ინფორმაციების მიწოდება.

ასევე, მიზანშეწონილია განხორციელდეს კოოპერირების პროცესის სტიმულირება, რაც თავის მხრივ გამოიწვევს აგრობიზნესის სფეროების დაფარვის გაფართოებას. საჭიროა კოოპერატივის წევრებისათვის მეთოდური სახელმძღვანელოების შემუშავება და მიწოდება სფეროში არსებული მოთხოვნების მიხედვით. კოოპერატივების სახეობებისა და მისგან მიღებული სარგებლის შესახებ ცოდნისა და უნარ-ჩვევების დაბალი დონის გამო სასურველია მწარმოებელთა საჭიროებებზე მორგებული ცოდნის მიწოდება ეფექტიანი ფორმებით.

ს) აგრობიზნესის სფეროში დაბალია ინვესტირების დონე. აგრობიზნესის სფეროში ჩართული მეწარმეებისათვის არ არსებობს იაფი გრძელვადიანი და დაბალპროცენტული იაფი აგროკრედიტები. აგრობიზნესის განვითარების ახალი პარადიგმების შესაბამისად საჭიროა დაკრედიტების ახალი მიდგომების გამოყენება, საპროცენტო განაკვეთის ცვლილება, კერძო სესხების დაზღვევის მექანიზმის შემუშავება და სხვა. აგროკრედიტებზე მიწოდების ფორმების შესამუშავებლად საჭირო იქნება დამატებითი, მაღალკვალიფიციური ექსპერტების მოზიდვაც.

ს) ექსპერტული შეფასებით სახელმწიფო მიწების წილი სასოფლო-სამეურნეო მიწების მთლიან რაოდენობაში მაღალია. საქართველოში, მათ შორის აჭარაში, მიწების ინვენტარიზაცია ჯერ კიდევ დამუშავების პროცესშია არ არის დასრულებული მიწის რეფორმა. თუმცა, FAO-ს კვლევის მიხედვით, მთლიანი სასოფლო-სამეურნეო მიწების მხოლოდ 25%-ია პრივატიზებული. შესაბამისად, 801,8 ათასი ჰა სახნავ-სათესი მიწის 55% პრივატიზებულია და 363,3 ათასი ჰა კვლავ სახელმწიფოს საკუთრებაა. სახელმწიფო მიწების იდენტიფიკაციის სირთულე, რა თქმა უნდა, ხელს უშლის მათი შეძენით დაინტერესებულ პირებს და შესაბამისად, მიწების გამსხვილების პროცესს, შესაბამისად აგრობიზნესის განვითარებას. მონაცემების ანალიზის საფუძველზე გამოვიტანეთ დასკვნა, რომ საქართველოში მიწის ბაზრის განვითარების დონე დაბალია, არ არსებობს ერთიანი მექანიზმი, რომლის საშუალებით მარტივად და ეფექტიანად მოხდება მიწის გაყიდვისა და შეძენის მსურველთა დაკავშირება. საკმაოდ რთულია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების შესახებ ინფორმაციის

მოპოვება და შექმნა. საბოლოო ჯამში, მიწის ბაზრის განუვითარებლობა აფერხებს აგრო ბიზნესის განვითარების პროცესს. მიწის ბაზრის განვითარების ხელშემწყობი ფაქტორების ამოქმედებით შესაძლებელია მიწის ნაკვეთების ფრაგმენტაციის აღმოფხვრა. ამ პროცესში გადამწყვეტი როლის შესრულება შეუძლია მიწის ერთიანი ბანკის შექმნა, რაც გაადვილებს მიწის შესახებ ერთიან საინფორმაციო ბაზაზე ხელმისაწვდომობას. მიწის ბანკის შესაქმნელად საჭირო იქნება შემდეგი ღონისძიებების გატარება:

- ✓ რეგიონებში არსებული ინფორმაციის სისტემატიზაცია მიწის დანიშნულების (სახნავი, სათიბ-სამოვრები და კერძო ნაკვეთები) და ნიადაგის ნოყიერების მიხედვით;
- ✓ მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნა დაინტერესებულ ინსტიტუტებთან მუშაობის კოორდინაციის გზით;
- ✓ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკადასტრო რუკების შედგენა.

მდგრადი განვითარების პირობების შესაქმნელად მნიშვნელოვანია აგრარული ექსტენციის მიწოდების მექანიზმების შექმნაც რეგიონებში.

) აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში შეღავათიანი აგროკრედიტების მიწოდების მექანიზმების შესწავლამ გამოავლინა, რომ არსებული კრედიტების მიწოდებისა და გამოყენების სისტემა ეფექტიან გავლენას ვერ ახდენს კოოპერირების პროცესზე. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ კრედიტების გაცემის პროცესში გადაწყვეტილების მიღებისას კოოპერატივებისადმი სკეპტიკური დამოკიდებულებაც გამოიკვეთა. სესხების ქვედა ზღვრის აწევა კოოპერირების შემთხვევაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს აგრობიზნესის განვითარების პროცესში, განსაკუთრებით წარმოების მასშტაბების გამსხვილების კუთხით. ეს უკანასკნელი გამოავლენს კოოპერირების იდეისადმი ახალ მიდგომებს და დაინტერესებას მისცემს ბანკებს კოოპერატივებთან დაკავშირებით დადებითი გადაწყვეტილების მისაღებად.

) აგრობიზნესის სფეროში შეღავათიანი აგროკრედიტების გაცემის პროცესში აუცილებელია კვლევებზე დაყრდნობით მოხდეს კოოპერაციის განვითარების

ფინანსური და არაფინანსური საჭიროებების გამოვლენა. შეღავათიანი აგროკრედიტების გაცემისას უნდა გაითვალისწინონ საშეღავათო პერიოდი, შესამუშავებელია სესხების მიწოდების მექანიზმები, გასამარტივებელია ბანკებთან კომუნიკაციის პროცესი. ამ საშუალებებით პრობლემების მოგვარება გამოიწვევს შეღავათიანი სესხების მიღების პერსპექტივის გაფართოებას და აგრობიზნესის სფეროში საქმიანობის დივერსიფიკაციას.

) აგრობიზნესის განვითარებაზე შეღავათიანი კრედიტების გავლენის ეფექტიანობის შეფასება რთულია. მნიშვნელოვანია რამდენად სიცოცხლისუნარიანი იქნება აგრობიზნესის სფეროს საქმიანობა ამ პროგრამის ვადის გასვლის შემდეგ. აგრობიზნესის განვითარებაზე შეღავათიანი აგროკრედიტების გავლენის საბოლოო შეფასება გრძელვადიან პერიოდს მოითხოვს. თუმცა, პროგრამის ზეგავლენის ზოგადი ტენდენციის გამოვლენა შედარებით მოკლევადიან პერიოდშიც შესაძლებელია, ძირითადად მონაცემთა ანალიზის, ფერმერთა და ექსპერტთა შეფასებებისა და ხედვების მიხედვით გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ შეღავათიანი აგროკრედიტების გაცემა აგრობიზნესის განვითარებაზე ახდენს როგორც დადებით, ასევე, ნეგატიურ ზეგავლენას.

) აგრობიზნესის გარემოს PESTEL ანალიზმა გვიჩვენა, რომ პოლიტიკური გარემო მეტნაკლებად სტაბილურია. თუმცა, რეგიონში ზოგჯერ შექმნილი კონფლიქტური სიტუაციები უარყოფითად მოქმედებს ქართული აგროსასურსათო პროდუქტების საერთაშორისო გაყიდვებზე. საერთაშორისო ბაზრებზე სტაბილური ვაჭრობა მოითხოვს უპირველესად კონფლიქტების თავიდან აცილებასა და სტაბილურობას მეზობელ სახელმწიფოებთან. ქვეყანაში ზოგადად ღია საერთაშორისო სავაჭრო პოლიტიკაა ფორმირებული.

) აგრობიზნესის განვითარებისათვის ეკონომიკური გარემოს ანალიზმა გვიჩვენა, რომ საქართველო მცირემიწიანი ქვეყანაა და იგი, როგორც ღია მცირე ეკონომიკის მქონე ქვეყანა, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საგარეო ფაქტორებზე, განსაკუთრებით ეს ითქმის აგრობიზნესზე. პრობლემებს ბოლო პერიოდში დაემატა არასტაბილური და მაღალი დოლარიზაციის მაჩვენებელი. ამ პროცესებმა კიდევ უფრო გაამწვავა საგარეო წყაროებზე დაფინანსების

დამოკიდებულება, მით უმეტეს, რომ ქვეყნის შიგნითაც მთავარ გამოწვევად ამ სფეროში ფინანსურ რესურსების დეფიციტი რჩება.

) აგრობიზნესის სფეროში არსებული ცოდნა და უნარები საკმარისი არ არის ეფექტიანი მოდელების ფორმირების, შეღავათიანი აგროკრედიტების მიღებისა და განკარგვის, ასევე, საბანკო სტანდარტებისა და პროცედურების შესახებ, მათთვის შეზღუდულია თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ინფორმაციებზე წვდომა. ფერმერებს შორის გავრცელებული ოფიციალური თუ არაფორმალური ინფორმაცია მნიშვნელოვნად განაპირობებს ფერმერთა დამოკიდებულებებს და აყალიბებს მათ მოლოდინებს. მიზანშეწონილია სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისმა სამსახურებმა, ასევე, რეგიონებში არსებულმა ფერმერთა საკონსულტაციო ცენტრებმა მოახდინონ შესაბამისი საინფორმაციო ბანკების შექმნა და ფერმერთათვის ეფექტიანი მიწოდება. ფერმერთა ცოდნის დონის ამაღლება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით უზრუნველყოფს დაფინანსების შესახებ ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღებას.

) ექსპერტებთან და ფერმერებთან ინტერვიუებმა შეღავათიანი აგროკრედიტების მიმართულებით შემდეგი პრობლემები გამოავლინა:

- ✓ სესხებზე ხელმისაწვდომობა დაბალია, რაც ძირითადად მაღალი დონის უზრუნველყოფის მექანიზმების არსებობით არის გამოწვეული;
- ✓ არ არსებობს საშეღავათო პერიოდი;
- ✓ გაცვლითი კურსების ხშირი და არასტაბილური ცვალებადობა, განსაკუთრებით პანდემიის პირობებში, უარყოფითად აისახა უცხოურ ვალუტაში აღებულ სესხებზე;
- ✓ სირთულეებია ბანკებთან კომუნიკაციის პროცესში;
- ✓ შეღავათიანი აგროკრედიტების პროგრამა არ ითვალისწინებს მცირე ფერმერებზე ან გლეხურ მეურნეობებზე სესხების გაცემას;
- ✓ შესამუშავებელია სესხების დაზღვევის მექანიზმები და სხვა.

) მცირე და საშუალო ზომის ფერმერებისა და სექტორის ექსპერტების მოსაზრებების ერთგვაროვნების დაჯგუფების საფუძველზე, SWOT ანალიზის მიზნებიდან გამომდინარე, განისაზღვრა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აგრობიზნესის

განვითარების ძლიერი და სუსტი მხარეები, ასევე, დადგინდა ბიზნესის ამ სახეობის განვითარების შესაძლებლობები და საფრთხეები.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აგრობიზნესის განვითარების ძლიერ მხარეებად გამოვლინდა:

- ✓ ბიზნესის განვითარებისათვის ხელსაყრელი რესურსული პოტენციალი;
- ✓ აგრობიზნესის საქმიანობის ისტორია და ტრადიცია;
- ✓ რესურსების დამუშავებისა და პროდუქტებით ვაჭრობის გამოცდილება;
- ✓ აგროსასურსათო წარმოების დაბალი დანახარჯები და პროდუქტზე დაბალი ფასები;
- ✓ ბიზნესის განვითარებისთვის ხელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობები;
- ✓ საქმიანობის ტრადიცია; ნაყოფიერი ნიადაგები; სფეროში დაგროვილი ცოდნა და სხვ.

აგრობიზნესის განვითარების სუსტ მხარეებად დასახელდა:

- ✓ ტექნიკურ და სხვა რესურსულ საშუალებებზე დაბალი ხელმისაწვდომობა;
- ✓ დაბალმოსავლიანი და დაბალპროდუქტიული ჯიშების არსებობა;
- ✓ არასტაბილური საერთაშორისო ვაჭრობა;
- ✓ ფინანსური მხარდაჭერის დაბალი ხელმისაწვდომობა;
- ✓ აგროსესხებზე, საგრანტო კონკურსებსა სხვ. საჭიროებებზე ინფორმაციის ნაკლებობა;
- ✓ დაბალი ცოდნა თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ;
- ✓ საირიგაციო სისტემების არარსებობა ან გაუმართაობა;
- ✓ ბაზარზე ფალსიფიცირებული პროდუქციის არსებობა;
- ✓ აგროსასურსათო პროდუქტების ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული ხარვეზები;
- ✓ კვალიფიციურ აგროსპეციალისტების (ვეტერინარები, ზოოტექნიკოსები, აგრონომები) ხელმისაწვდომობა;
- ✓ ხშირი კლიმატური პირობების ზეგავლენის გაუთვალისწინებლობა და ზეგავლენა;
- ✓ აგროდაზღვევის პროდუქტების სიმცირე და სხვ.

SWOT ანალიზით შემდეგი შესაძლებლობები გამოიკვეთა:

- ✓ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აგრობიზნესის განვითარებით ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში გარკვეული წვლილის ეტანა;
- ✓ ახალი გადამამუშავებელი საწარმოების შექმნა;
- ✓ მცირე ფერმერებზე გათვლილი ბიზნესსესხების და ბიზნესგრანტების პროგრამების განხორციელება;
- ✓ მონათესავე და მხარდამჭერი დარგების, სფეროების და სექტორების განვითარება;
- ✓ აგროსასურსათო პროდუქტების წარმოებისა და ექსპორტის დივერსიფიკაცია;
- ✓ კვალიფიციურ პერსონალზე ხელმისაწვდომობის გაზრდა;
- ✓ ბიზნეს საკონსულტაციო მომსახურების მიწოდება;
- ✓ მემცენარეობაში და მეცხოველეობაში მაღალმოსავლიანი და მაღალპროდუქტიული ჯიშებით ჩანაცვლება;
- ✓ კოოპერატივების შექმნა;
- ✓ ფერმერებისათვის სპეციალური სასწავლო კურსების მიწოდება;
- ✓ ფალსიფიცირებული პროდუქციის წინააღმდეგ ბრძოლა;
- ✓ ნედლეულის გადამამუშავების მოდერნიზაცია;
- ✓ მწარმოებლურობის გაზრდა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით;
- ✓ აგროდაზღვევის პროდუქტების განვითარება;
- ✓ ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, ბუნებრივი საფრთხეების ზიანის შემცირება და სხვ.

გამოვლენილი საფრთხეები შემდეგნაირად დაჯგუფდა:

- ✓ ბუნებრივი საფრთხეები (მაგალითად, მეწყრები, წყალმოვარდნები, უხვი ნალექი, ქარები და ა.შ.);
- ✓ გარემოს დაბინძურება;
- ✓ საერთაშორისო ბაზრებზე პოზიციების შემცირება;
- ✓ მიგრაცია და მოსახლეობის ინერტულობა;
- ✓ ეპიდემიური დაავადებები და სხვ.

ქ) პრიორიტეტების სქემით გამოვლინდა აგრობიზნესის განვითარების შემდეგი პრიორიტეტული საჭიროებები:

- (1) წარმოების მასშტაბების ზრდისა და მიწის ბაზრის განვითარების ხელშეწყობა;
- (2) გადამამუშავებელი საწარმოებისა და პროდუქტების შენახვის საცავების შექმნა;
- (3) ტექნიკისა და ტექნოლოგიების მიწოდების მექანიზმების სტიმულირება;
- (4) აგრობიზნესის სფეროს დაფინანსების წყაროების მოზიდვა, იაფფასიანი გრძელვადიანი კრედიტების მიწოდების უზრუნველყოფა;
- (5) მიწის ფონდის, სასურსათო ბაზრებისა და რესურსების შესახებ საინფორმაციო სისტემების შექმნა;
- (6) აგრობიზნესის სფეროში ცოდნისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამების მიწოდება;
- (7) საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება და საერთაშორისო კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია.

ქ) აგრობიზნესის განვითარების ტენდენციებისა და მახასიათებლების გამოსავლენად და სამომავლო მიმართულებების დასადგენად ჩატარდა რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევა. რაოდენობრივი კვლევისათვის შემუშავდა კითხვარი და შეირჩა ბენეფიციარები აჭარის აგრობიზნესის სფეროში დასაქმებულთა ბაზიდან, ხოლო თვისებრივი კვლევისათვის განისაზღვრა ექსპერტთა ჯგუფი და ამ ჯგუფიდანვე მოხდა ფოკუს-ჯგუფების ფორმირება ზოგიერთი პრობლემის დასაზუსტებლად. რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევით შემდეგი დასკვნები და რეკომენდაციები გამოიკვეთა:

- ✓ აგრობიზნესში დასაქმებული ქალების ხვედრითი წონა მცირეა მამაკაცებთან შედარებით, თუმცა, არც ისე საგანგაშო. ქალთა დასაქმების წილის გასაზრდელად სასურველია მათთვის აგრობიზნესის ხელშეწყობი გარემო პირობების შექმნა;
- ✓ აგრობიზნესის სფეროში დასაქმებულთა შორის მცირეა ახალგაზრდების წილი; სტარტაპებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვით მიზანშეწონილია ახალგაზრდების მოტივაციის გაზრდა აგრობიზნესში

დასაქმებისათვის. სასურველია მათთვის სპეციალიზებული საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზება, საერთაშორისო პრაქტიკებსა და სტაჟირებებში ჩართვა.

- ✓ აგრობიზნესის სფეროში დასაქმებულთა უმეტესობა (თითქმის 97%) პროდუქტს ადგილობრივი ბაზრისთვის აწარმოებს. საჭიროა ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება და შესაბამისი საინფორმაციო სისტემების შექმნა საერთაშორისო ბაზრებზე აგროსასურსათო პროდუქტების გასატანად;
- ✓ აგრობიზნესის სფეროში დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 86% გაერთიანებული არ არის კოოპერატივებში, მაშინ, როდესაც ისინი ფლობენ მწირ, მათ შორის მცირე ფინანსურ რესურსებს. ამ მაჩვენებლის პირობებში რთული იქნება მწარმოებლურობის ზრდისა და მასშტაბების გამსხვილების პროცესის განხორციელება, საერთაშორისო ბაზრებზე გასვლა. აუცილებელია მწარმოებელთათვის საინფორმაციო სისტემების მიწოდება კოოპერაციის როლსა და მნიშვნელობაზე, საჭიროა ამ მხრივ საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა და სხვ.
- ✓ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტებიდან ქედამი 26 ფერმერი ფლობს 1.0-3.0 ჰექტრამდე მიწის ნაკვეთს, ეს მაჩვენებელი ქობულეთში შეადგენს 20-ს, ხულოში 11-ს, ხოლო ხელვაჩაურსა და შუახევში დასახლებული რაოდენობები საკმაოდ მცირეა და 1-2 ფერმერის ფარგლებში მერყეობს. გამოკითხულთა სრული უმრავლესობა მათ საქმიანობაში არსებულ პრობლემებს შორის მცირემიწიანობას ასახელებს, ასევე, ამ ფაქტორებს შორის დასახელდა: თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიების ნაკლებობა, სასუქებსა და მცენარეთა დაცვის საშუალებებზე შეზღუდული წვდომა, გასაღების ბაზრებზე ნაკლები წვდომა, იაფი აგროკრედიტების ნაკლებობა, განუვითარებელი ინფრასტრუქტურა, დამამუშავებელი საწარმოების ნაკლებობა და სხვა. პირველ ეტაპზე მიზანშეწონილია მიწის ბაზრის განვითარება და იაფ კრედიტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, ასევე, მნიშვნელოვანია თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება წარმოებისა და გადამამუშავების სფეროში, ინფრასტრუქტურის განვითარება.

- ✓ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მუნიციპალიტეტების მიხედვით აგრობიზნესის სფეროში სახელმწიფო პროგრამებისა და დაფინანსების წყაროების შესახებ ცოდნა მუნიციპალიტეტების მიხედვით განსხვავებულია. გამოკითხულ ფერმერთა 27% აღნიშნავს, რომ მისთვის ცნობილია პროგრამა „აწარმოე საქართველოში“, 20% იცნობს პროგრამას „სოფლად მეწარმეობის განვითარება“, 18% - „დანერგე მომავალს“, 11% იაფი აგროკრედიტების პროგრამას, 8% კოოპერატივების ხელშეწყობის პროგრამას, ხოლო 16% საერთოდ არ იცნობს ფერმერების დასახმარებლად განკუთვნილ პროგრამებსა და დაფინანსების წყაროებს. გამოკითხვებმა ისიც დაადასტურა, რომ თითოეულ პროგრამაზე ცოდნის დონე მუნიციპალიტეტების მიხედვით განსხვავებულია. ასე მაგალითად, ყველაზე მეტად ცნობადი პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ ფერმერები ქედასა და ქობულეთში უფრო იყენებენ, ვიდრე შუახევში, ხულოსა და ხელვაჩაურში. ასევე, სოფლად მეწარმეობის განვითარების შესახებ პროგრამის ცოდნის მაღალი დონე გამოვლინდა ქედაში, ხოლო შედარებით ნაკლები დანარჩენ მუნიციპალიტეტებში. ზოგადად, დაბალია ფერმერთა ცოდნის დონე იაფი აგროკრედიტების მიწოდების სფეროში. თუმცა, ქობულეთსა და ხელვაჩაურში ფერმერთა შედარებით კარგი ცოდნაა ამ პროგრამაზე, ვიდრე ქედასა და შუახევში. კოოპერატივების ხელშეწყობის პროგრამას ფერმერთა ცოდნის დონის თვალსაზრისით ყველაზე საგანაგშო მაჩვენებელი აქვს, ხოლო მუნიციპალიტეტებს შორის ამ მხრივ დაბალი მაჩვენებლებით გამოირჩევა ქობულეთი და ქედა. საჭიროა სახელმწიფო პროგრამებისა და დაფინანსების წყაროების შესახებ ინფორმაციების მიწოდების ეფექტიანი სისტემის შექმნა.
- ✓ აგროდაზღვევის სერვისებით სარგებლობის დონის შესახებ კვლევის შედეგად მივიღეთ, რომ ქობულეთისა და ქედის მუნიციპალიტეტებში აგროდაზღვევით სარგებლობს ფერმერთა მეტი რაოდენობა, ვიდრე ხელვაჩაურსა და ხულოში, შუახევის მუნიციპალიტეტში ამ სერვისით არავინ არ სარგებლობს. ფერმერთა საკმაოდ დიდი რაოდენობას საერთოდ არ აქვს ინფორმაცია დასახელებული სერვისის შესახებ. მაშასადამე, ფერმერთა დიდი ნაწილი (65%) არ სარგებლობს აგროდაზღვევის სერვისებით, მხოლოდ გამოკითხულ ფერმერთა

21% აცხადებს, რომ ისინი იყენებენ აგროდაზღვევას, ხოლო 14%-ს საერთოდ არ სმენია ამ სერვისის შესახებ. აგრობიზნესის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებათა შორის უნდა განვიხილოთ აგროდაზღვევის პროდუქტების გამრავალფეროვნება და ეფექტიანი მოწოდების მექანიზმების შექმნა.

- ✓ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მწარმოებელთა 36% დაინტერესებულია აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტით, მაგრამ არ აქვს საჭირო ინფორმაცია აღნიშნულის შესახებ. მწარმოებელთა 9% გამოხატავს ამ პროცესისადმი ინტერესს, როგორც ჩანს აქვს შესაბამისი ინფორმაციები და ემზადება ექსპორტის განსახორციელებლად. მწარმოებელთა მხოლოდ 3% არ არის დაინტერესებული პროდუქციის ექსპორტით და ურჩევნია მისი გაყიდვა ადგილობრივ ბაზარზე. გამოკითხვამ აჩვენა, რომ მოცემულ ეტაპზე მწარმოებელთა მცირე ნაწილს გააქვს პროდუქცია ექსპორტზე, თუმცა, დაინტერესებული არიან მისი საერთაშორისო ბაზარზე გატანით. კვლევის გამოვლინდა ფაქტორები, რომლებიც ხელს უშლის ექსპორტის განხორციელებას: მწარმოებელთა უმეტესობა, კერძოდ 45% მიიჩნევს, რომ აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტის მთავარი ხელშემშლელი ფაქტორია წარმოების მცირე მასშტაბები, 31%-ის აზრით ამ ფაქტორად დასახელდა მცირე ფინანსური შემოსავლები, 16%-ის მიერ ინფორმაციისა და ცოდნის ნაკლებობა გასაღების ბაზრების შესახებ, ხოლო 8%-ის მიერ ბიუროკრატიული მექანიზმები.
- ✓ კორონავირუსით გამოწვეული პრობლემების შესწავლით დადგინდა, რომ გამოკითხულთა 56 % მიიჩნევს, რომ შეუზღუდა პროდუქციის ადგილობრივ ბაზარზე გატანა, 35%-ს შეუზღუდვები არ შეჰქმნია, 8%-ს შეუზღუდა პროდუქტის საერთაშორისო ბაზარზე გატანა.

გამოყენებული ლიტერატურა:

სახელმძღვანელოები და ჟურნალები:

1. ახალაძე...2020: ახალაძე ზ., შალამბერიძე მ., სასურსათო უსაფრთხოების შეფასების საკითხები
<https://atsu.edu.ge/EJournal/BLSS2015/eJournal/Papers/AkhaladzeZeinab.pdf>
2. ამგ: აგრობიზნესის მოდელის განხორციელება. The implementation of the model for an agribusiness <https://www.wekembe.org/what-we-offer/training/the-implementation-of-the-model-for-an-agribusiness/>
3. ერქომაიშვილი 2016: ერქომაიშვილი გ., საქართველოს განვითარების ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებები, თბილისი, უნივერსალი~, 2016.
4. ევროკავშირის...2020: ევროკავშირის და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის ექსპერტების შეფასება საქართველოში სურსათის დანაკარგების შესახებ <http://enpard.ge/ge>
5. ეთი 2020: ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი 2020
6. თეთრაძე 2017: გ. თეთრაძე. აგრობიზნესის, როგორც სამეწარმეო საქმიანობის აქტუალური პრობლემები საქართველოში დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია. 2017.
https://gtu.ge/bef/pdf/Doqtorantura/avtoreferatebi_2017/BA_05.05.17/avtoreferati_g.tetradze.pdf
7. კოლუაშვილი 2019: კოლუაშვილი პ., სოფლის განვითარების ევროპული მოდელი, 2019 <https://for.ge/view/173422/soflis-ganviTarebis-evropuli-modelebi-da-saqarTvelo.html>
8. ლუკაშვილი 2016: ლუკაშვილი მ., სოფლის მეურნეობაში მწარმოებლურობის ზრდა დაუმუშავებელი მიწების ათვისებითაა შესაძლებელი
<http://eugeorgia.info/ka/article/534/soflis-meurneobashi-mwarmoeblurobis-zrda-daumushavebeli-miwebis-atvisebitaa-shesadzlebeli/>
9. მამარდაშვილი...2020: მამარდაშვილი ფ., გელაშვილი ს., კაცია ი., დეისაძე ს., რა ზეგავლენას მოახდენს COVID-19 სურსათის მიწოდების ჯაჭვზე

- საქართველოში? 2020, <https://bm.ge/ka/article/ra-zegavlenas-moaxdens-covid-19-sursatis-miwodebis-jachvze-saqartveloshi-/53731>
10. **მახარაშვილი 2011:** მახარაშვილი ჯ. აგრობიზნესის რესურსული პოტენციალის ეფექტური გამოყენების პრობლემები და ამალღების გზები საგარეუბნო მეურნეობის მაგალითზე. დისერტაცია, თბ., 2011, გვ. 11.
 11. **მღებრიშვილი 2020:** მღებრიშვილი ვ., რა გამოწვევების წინაშე დააყენა ქართველი ფერმერები COVID-19-მა - კვლევა, <https://bm.ge/ka/article/ra-gamowvevebis-winashe-daayena-qartveli-fermerebi-covid-19-ma---kvleva/53613>
 12. **ნარჩემაშვილი 2019:** ვლადიმერ ნარჩემაშვილი. 2019. აგრობიზნესის განვითარების პერსპექტივები საქართველოში (კაკლის ბიზნესის განვითარების მაგალითზე) <https://openscience.ge/bitstream/1/379/1/Samagistro%20Vladimer%20NarCemaSvili.pdf>
 13. **პავლიაშვილი...2014:** პავლიაშვილი ს., გუბელაძე დ., ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების ძირითადი კრიტერიუმები, 2014, <https://for.ge/view/36048/erovnuli-sasursaTo-usafrTxoebis-ZiriTadi-kriteriumebi.html>
 14. **პაპავა 2020:** პაპავა ვლ., რეკომენდაციები „კორონომიკური“ კრიზისის ფონზე და პოსტკრიზისული მოლოდინები, 3 აპრილი, 2020 გვ.13.
 15. **პავლიაშვილი 2021:** პავლიაშვილი ს., „აუციელებელია შეექმნათ ისეთი მოდელი, რომელიც საშუალებას მოგვცემს შევამციროთ ბუნებრივ რესურსებზე ზეწოლა“. <https://mepa.gov.ge/Ge/News/Details/20336>
 16. **სსეს 2019:** საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური., საქართველოს სოფლის მეურნეობა 2019. თბილისი 2020 გვ 34
 17. **სუ 2015:** სასურსათო უსაფრთხოება, როგორც პოლიტიკის დაგეგმარების გამჭოლი კონცეფცია, 2015, <http://enpard.ge/ge/food-security-as-a-crosscutting-concept-for-policy-making-in-georgia/>
 18. **ქეშელაშვილი...2017:** ქეშელაშვილი ო., კოლუაშვილი პ., საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროგნოზი. გამომცემლობა „საარი“, თბ., 2017.

19. **ჩხეიძე 2017:** ჩხეიძე შ., მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოების დაცვის მდგომარეობა საქართველოში, 2017 <http://agronews.ge/mosakhleobis-sasursatho-usaphrthkhoebis-datsvis-mdgomareoba-saqarthveloshi/>
20. **ჭითანავა 2018:** ჭითანავა ნ., საქართველოს ეკონომიკის გამოწვევები და სტრატეგია. თბ., 2018
21. **ხარაიშვილი 2017:** ხარაიშვილი ე., სოფლის მეურნეობის განვითარების თანამედროვე ტენდენციები და გამოწვევები: საქართველო-ისრაელის შედარებითი ანალიზი, ჟურნალი „სტუდენტური კვლევები და პროექტები“ #1, 2017.
22. **ხარაიშვილი 2017:** ხარაიშვილი ე., სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარება საქართველოში - ფერმერთა დამოკიდებულებები და შეფასებები, 2017
23. **ხარაიშვილი:** ხარაიშვილი ე., საქართველოსა და ისრაელის შედარებითი ანალიზი.
<http://eprints.tsu.ge/1245/1/Research%20on%20current%20issues%20of%20Israeli%20economics%20and%20business%20in%20the%20student%20center%20Idea.pdf>
